

178  
1975



# სახჭოთა სამკათალი

სა ქართულს კვ სანგრაღური კომიგავის გავრცელებოგა

1975**6**



# საბჭოთა სამართალი

# № 6

1975 წელი

ნოემბერი — დეკემბერი

შურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, კრიკორაძეძისა და  
უმაღლესი სასამართლოს ორგანო  
ორთვიური ჟურნალი

## შინაარსი

ა. კეთილადე — უნგაროდ ვემსახუროთ ხალხს	3
გ. ხეცურიანი — კომუნისტური მორალის მნიშვნელობა სამოქალაქო სამართლის ნორმების ფორმირებაში	5
დ. გელუჯაშვილი — ზიანით წარმოშობილ ვალდებულებებში არასრულწლოვანთა ქონებრივი უფლება-მოვალეობები	18
გ. ნაჭყეზია — მოქმედების აუცილებლობის ბუნება და პასუხისმგებლობის დასაბუთების პრობლემა საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით	27
გ. ბაბილაშვილი — პასუხისმგებლობა ავტოტრანსპორტის გატაცებისათვის	43
ვ. ბენიძე — ავტორთა უფლებების საიმედო ქომაგი	55
ქ. სიღეშელი — იურიდიული ფაქტების დადგენის საქმეების განხილვისას სასამართლოების შეცდომათა შესახებ	63
ა. ქუმსიაშვილი — კერძო განჩინებები სამოქალაქო სამართლის საქმეებზე	68
ც. კვარაცხელია — მუდმივად ვამალლოთ კაღრების კვალიფიკაცია	71
რეცენზია ქართული სწავლული იურისტიკის ნაშრომზე პოლონურ ჟურნალში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში	78
არბიტრაჟის პრაქტიკა	80
მოწინავეთა პორტრეტები	82
ოფიციალური მასალა	83
ინფორმაცია	87
ბიბლიოგრაფია	93
ნეკროლოგი	96

56487

## СО ДЕРЖАНИЕ

К. Кетиладзе — Беззаветно служить народу . . . . .	3
Дж. Хецуриани — Роль коммунистической морали в формировании гражданско-правовых норм . . . . .	8
Л. Гелукашвили — Имущественные права и обязанности несовершеннолетних в обязательствах, возникших из причинения вреда . . . . .	18
Г. Начкебия — Природа необходимости действия и проблема обоснования ответственности по советскому уголовному праву . . . . .	27
Дж. Бабилашвили — Ответственность за угон автотранспортных средств . . . . .	43
В. Бенидзе — Надежно защищать права авторов . . . . .	55
К. Хидешели — О судебных ошибках при рассмотрении дел об установлении юридических фактов . . . . .	63
А. Кумсиашвили — Частные определения судов по гражданским делам . . . . .	68
Ц. Кеарацхелиа — Постоянно повышать квалификацию кадров . . . . .	71
Рецензия на труд грузинского ученого-юриста в польском журнале . . . . .	75
В Президиуме Верховного Совета Грузинской ССР . . . . .	78
Арбитражная практика . . . . .	80
Портреты передовиков . . . . .	82
Официальный материал . . . . .	83
Информация . . . . .	87
Библиография . . . . .	93
Некролог . . . . .	96



### სარედაქციო კოლეგია

შმგვ. № 4589  
ტრა. 19.750  
შე 40:5

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი,  
თ. დადიანი, გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე,  
მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, ა. ტაკიძე, ვ. ქვაჩხია,  
თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

© „საბჭოთა სამართალი“, 1975 წ. ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლехანოვის პროსპ. 103. ტელ. 95-58-87; 95-88-49

გადაეცა წარმოებას 19/XII-75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/III-76 წ. ქალაქის ზომა 70X108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,87.

საქ. კვ. ცვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

## უანგაგორე ვემსახუროთ ხალხს

პ. კატილაძე,

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი, შინაგანი სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი

საბჭოთა მილიცია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირ-  
მშაა. იგი შეიარაღებული აჯანყების გამარჯვების მეორე დღესვე, 1917 წლის  
10 ნოემბერს შეიქმნა ხალხის პირველი შეიარაღებული რაზმების სახით, რო-  
მელთაც დაეველა რევოლუციის დიად მონაპოვართა დაცვა და ახალ საზოგა-  
დობრივ ურთიერთობათა განმტკიცება.

საფუძველი ჩაუყარა რა მუშურ-გლეხურ მილიციას, კომუნისტური პარ-  
ტია ხელმძღვანელობდა ლენინური მოძღვრებით პროლეტარიატის დიქტატურ-  
ის შესახებ. „პროლეტარიატის დიქტატურა — გვასწავლის ვ. ი. ლენინი —  
არის შეუპოვარი ბრძოლა, სისხლისმღვრელი და უსისხლო, ძალდატანებითი და  
მშვიდობიანი, სამხედრო და სამეურნეო, პედაგოგიური და ადმინისტრაციული,  
ქველი საზოგადოების ძალების და ტრადიციების წინააღმდეგ“<sup>1</sup>. „დიქტატურა  
არის რკინის ხელისუფლება, რევოლუციურ-გაბედული და სწრაფი დაუნდო-  
ბელი როგორც ექსპლოატატორების ისე ხულიგნების დათრგუნვაში“<sup>2</sup>.

მილიციის დაბადების პროცესი, მისი მოღვაწეობა საბჭოთა ხელისუფლე-  
ბის პირველ წლებში უმტკივნეულო და ადვილი როდი იყო. მრავალ სიძნელეთა  
შორის მთავარი ის იყო, რომ სოციალისტური მართლწესრიგის პრინციპები იმ-  
ვებოდა შეიარაღებული ბრძოლის ქარცეცხლში, შიმშილისა და ნგრევის პირო-  
ბებში. ასეთ ვითარებაში მშრომელი მასებიც კი ერთბაშად, ხელის ერთი დაკვრით  
ვერ ითვისებდენ ახალი ხელისუფლების სამართლებრივ პრინციპებს. სოციალის-  
ტურ ურთიერთობებს, რომელთაც საფუძველი ჩაეყარა რევოლუციის პრო-  
ცესში, მილიცია იცავდა მწვავე, უკომპრომისო ბრძოლაში ძველ მორალთან,  
რომელიც ქადაგებდა ძალადობას, სიხარბეს, მომხვეჭელობას, ეგოიზმს. კაპი-  
ტალიზმის მგლური მორალი, ჩვეულებები და წარმოდგენები, რომლებიც აბუ-  
ჩად იგდებდენ ადამიანის ღირსებებს, საუკუნეების მანძილზე მკვიდრდებოდა,  
ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს.

ახალი ცხოვრების პირველი წლების ეს ისტორიული თავისებურება არა  
მარტო აძნელებდა საბჭოთა მილიციის საქმიანობას, არამედ მისგან მოითხოვ-  
და ჭეშმარიტად გმირულ ნებისყოფას. ამან განაპირობა მილიციის საქმიანო-  
ბისა და მუშაობის იმდროინდელი ფორმები და მეთოდები.

ბრძოლა პოლიტიკურ და სისხლსამართლებრივ ბანდიტიზმთან, სპეკულ-  
აციასთან, ძარცვასთან, ყალბი ფულის მოჭრასთან, ეკონომიურ საბოტაჟთან,  
ვ. ი. ყოველივე იმასთან, რაც შეადგენდა იმ საზოგადოების ატრიბუტს, რო-  
მელიც აგებული იყო ექსპლოატაციასა და ჩაგვრაზე, უმრავლესობის ხარჯზე  
მცირერიცხოვანთა გამდიდრებაზე, კაპიტალიზმის ამ ყველაზე უფრო ნათ-

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 35.

2 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 235-236.

ლად გამოხატულ ნიშნებზე — საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფრონტად იქცა. ამ ფრონტის მოწინავე პოზიციებზე იდგა მუშურ-გლეხური მილიცია.

ახლაც, ორმოცდათვრამეტი წლის შემდეგ, როდესაც თვალს ვავლებთ საბჭოთა მილიციის გმირულ ისტორიას, წამოიჭრება ხოლმე კითხვა: რა წყარო ასაზრდოებდა იმ ყოფილი მუშებისა და გლეხების, ჯარისკაცებისა და მეზღვაურების ენერგიას, რომლებმაც ჩაიცივეს მილიციის ფორმა; რა დაეხმარა მათ, ცუდად ჩაცმულებს და ნახევრად მშვივრებს, გაეტეხათ წვრილბურჯუაზიული სტიქიის სასტიკი წინააღმდეგობა?

ოქტომბრის რევოლუციის ქარცეცხლში შობილ მუშურ-გლეხურ მილიციას ასაზრდოებდა მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეები. იგი ემსახურებოდა ყველაზე უფრო სამართლიან საზოგადოებრივ წყობილებას, იცავდა ინტერესებს მილიონობით ადამიანისა, რომლებიც წინათ დამონებულნი და ელემენტარულ ადამიანურ უფლებებს იყვნენ მოკლებულნი.

დიადი მიზანი შობს დიად ენერგიას. ყველაზე კეთილშობილური და ჰუმანური იდეების დაცვამ შვა დაუშრეტელი ენერგია, საბჭოთა მილიციის მუშაკთა მასობრივი გმირობა.

საბჭოთა მილიციის მთელი გმირული ისტორია ეს არის ხალხისადმი მისი უანგარო სამსახურის ისტორია.

იცვლებოდა საბჭოთა მილიციის მუშაობის ფორმები და მეთოდები, იხვეწებოდა მისი საქმიანობა, მაგრამ უცვლელი რჩებოდა ერთი რამ: ერთგულება პარტიისა და ხალხისადმი.

საბჭოთა ხალხთან ერთად მილიცია იცავდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარს სამოქალაქო ომის ფრონტებზე. მასთან ერთად ებრძოდა იგი ნგრევასა და შიმშილს. პარტიის, მოწოდების საპასუხოდ მთელ ხალხთან ერთად მილიციამ გზა გადაუღო მისხაკისფერ კირს, რომელმაც მსოფლიო ჩაითრია ძალადობის, სისასტიკისა და განადგურების ძორეკში. დღეს ჩვენ თავს ვხრით იმათი ხსოვნის წინაშე, რომლებმაც თავისი სიცოცხლის ფასად მოგვიტანეს ნანატრი გამარჯვება საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში.

წლეულს ვიზეიმეთ დიადი გამარჯვების 30 წლისთავი და ჩვენ ვამაყობთ, რომ საბჭოთა მილიციის მუშაკები იმათ მხარდამხარ იბრძოდნენ, ვინც გამოქვედა გამარჯვება მოსკოვთან, სტალინგრადთან, ლენინგრადთან და კავკასიონის მთავარი ქედის თოვლიან უღელტეხილზე.

სამამულო ომში გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ხალხი დაუბრუნდა მშვიდობიან შრომას, მაგრამ დაიწყო ბრძოლა ახალი, კაპიტალიზმის მანკიერებისაგან განთავისუფლებული ადამიანისათვის, შემოქმედისა და მშენებელისათვის, რომელშიც შერწყმული იქნება კომუნისტური რწმენა, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფილება. ამ ბრძოლაში საპატიო როლს ასრულებენ საბჭოთა მილიციის, შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები.

თავისი სამსახურებრივი მოვალეობის უნაკლოდ შესრულებამ, პროფესიული ოსტატობის მუდმივმა სრულყოფამ, სოციალისტური მართლწესრიგისათვის ბრძოლაში ნამდვილი გმირობის გამოჩენამ — ყველა ამ თვისებამ მილიციის მუშაკებს მოუხვეჭა საყოველთაო პატივისცემა, აღიარება და მადლობა.

ჩვენ ყოველდღიურად ვგრძნობთ მოსახლეობის ფართო ფენების მხურვალე მხარდაჭერას მართლწესრიგის დაცვაში. ასობით ნებაყოფლობითი სა-

ხალხო რაზმეული აერთიანებს ათასობით რაზმელს. დიდ როლს ასრულებენ მართლწესრიგის განმტკიცებაში ამხანაგური, სასამართლოები, სამართალდარღვევების პროფილაქტიკური საბჭოები საწარმოებსა და საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, საბინაო კომიტეტები, წესრიგის დაცვის საყრდენი პუნქტები, სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებს უკვე რამდენიმე წელია.

შემთხვევითი არ არის, რომ ბოლო ხანს საბჭოთა მილიცია დიდ ყურადღებას აქცევს სამართალდარღვევის პროფილაქტიკას, მათ თავიდან აცილებას. ამაში პოულობს თავის გამოხატულებას სოციალისტური სახელმწიფოს ჰუმანობაში, საბჭოთა მილიციის არსებითი განსხვავება კაპიტალისტური ქვეყნების პოლიციური ორგანოებისაგან. ჩვენს მთავარ ამოცანად ითვლება: დროულად დავეხმაროთ ანტისაზოგადოებრივ საქმიანობის გზაზე დამდგარ ადამიანს იპოვოს თავისი ადგილი ცხოვრებაში, პატივი სცეს სოციალისტური თანაცხოვრების ნორმებს.

საბჭოთა სახელმწიფო არც წინათ ისახავდა და არც ახლა ისახავს მიზნად უპირატესობა მიანიჭოს დასჯას როგორც სამართალდარღვევისათვის ადამიანის აღზრდის ერთადერთ საშუალებას. არ უნდა დავივიწყოთ ვ. ი. ლენინის ის მითითება, რომ ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იძულებისა და დარწმუნების მეთოდების სწორ შეთავსებას. პროლეტარიატის დიქტატურის წარმატება იმით იყო გაპირობებული, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, რომ იგი შესანიშნავად ახამებდა იძულებისა და დარწმუნების მეთოდს... ჩვენ მაშინ სწორად და წარმატებით ვიყენებდით იძულებას, რომელსაც საფუძვლად ედო დარწმუნება.<sup>3</sup>

ბურჟუაზიული მორალი ქადაგებს, რომ ადამიანი დაბადებიდანვე თანდაპყვება გამოუსწორებელი მანკიერებანი. ექსპლოატატორული საზოგადოების მთელი წყობა, ცხოვრების მთელი წესი იქიდან ამოდის, რომ ადამიანი ადამიანისათვის მგელია.

საბჭოური იდეოლოგია, კომუნისტური მორალი, პირიქით ემყარება ადამიანისადმი ღრმა რწმენას, მის გონიერებას და უნარს, იყოს მორალურად სრულყოფილი. ადამიანი ადამიანისათვის მეგობარი, ამხანაგი და ძმაა—აი ჩვენი მორალური კანონი.

მილიციამ თავისი მოღვაწეობის ძირითად მიმართულებად აირჩია პროფილაქტიკა. დღეს პროფილაქტიკის სამსახური ითვლება ნომერ პირველ სამსახურად. პროფილაქტიკის სპეციალიზებული ქვეგანყოფილების შექმნა და მათთვის მნიშვნელოვანი ფუნქციების გადაცემა, საზოგადოებრიობის როლის ამღლება, წესრიგის დაცვის საყრდენი პუნქტების შექმნა, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელება კომპლექსური გეგმების შესაბამისად — ყოველივე ეს ქმნის წინამძღვრებს წარმატებისათვის დამნაშავეობის აცილებაში,

პროფილაქტიკა ჩვენი კადრებისაგან დიდ ოსტატობას მოითხოვს. მარტოოდენ მისწრაფება, გააკეთო კეთილი საქმე, არ კმარა. უნდა შეგვეძლოს აგრეთვე, მისი კარგად გაკეთება. ამიტომ მილიციის მუშაკები უნდა დაეუფლონ პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის საფუძვლებს, მკვეთრად აიმაღლონ თავისი იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონე.

პარტია დღეს პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს დანაშაულის თა-

<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 42, გვ. 128-139, 216.

ვიდან აცილებას. მისი განხორციელებისათვის მილიციის ორგანოებმა ძალღონე არ უნდა დაიშურონ, რათა ხორცი შესახან მეორე ლენინურ დებულებასაც ჩადენილი დანაშაულისათვის დასჯის გარდაუვალობის შესახებ. არც ერთი დამნაშავე არ უნდა დარჩეს დამსახურებული სასჯელის გარეშე. დასჯის აღმზრდელობითი მნიშვნელობა, ამბობდა ვ. ი. ლენინი, მდგომარეობს არა მის სისასტიკეში, არამედ მის გარდუვალობაში, სამწუხაროდ ეს მოთხოვნა ყოველთვის როდი სრულდება, და ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

ჩვენი საზოგადოების შემდგომი დემოკრატიზაციის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სოციალისტური კანონიერების განმტკიცების ლენინური პრინციპის განუხრელად დაცვა. ამასთან თვით მოქალაქენიც განუხრელად იცავენ საბჭოთა კანონებს. ეს არის ორი ერთარსიანი ამოცანა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სამუდამოდ მოვლო ბოლო კანონიერების დარღვევას, ამის შესახებ ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა: „როცა ვლაპარაკობთ სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაზე, ჩვენ მხედველობაში გვაქვს საქმის ორი მხარე: ჯერ ერთი, ეს არის მოქალაქეთა უფლებების უმკაცრესი დაცვა, თვითნებობის ყოველგვარი გამოვლინების, მათ შორის თანამდებობის პირთა თვითნებობის შეუწყნარებლობა. მეორე, ჩვენ მხედველობაში გვაქვს, რომ ყველა მოქალაქე უაღრესად მტკიცედ იცავდეს საბჭოთა კანონებს, საზოგადოებრივ წესრიგს“<sup>4</sup>.

დიდ პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას, რომელსაც ეწევა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი პარტიული, სახელმწიფოებრივი და შრომითი დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის, მხურვალედ უჭერენ მხარს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის თანმიმდევრული კურსი მიმართულია იმ ნეგატიური მოვლენების ბოლომდე აღმოფხვრისაკენ, რომლებიც თითქმის ორი ათეული წელი ვრცელდებოდა რესპუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში.

შინაგან საქმეთა ორგანოებმა ბოლო წლებში ბევრი რამ გააკეთეს კომბინატორების, მექრთამეების, სოციალისტური საკუთრების დამტაცებლების, საქმოსნების გამოსამყდვენებლად, ქალაქებსა და სოფლებში მართლწესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობის შესამცირებლად. ამ მუშაობას ჯეროვანად აფასებენ რესპუბლიკის პარტიული კომიტეტები და მოსახლეობა.

კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი კადრების ინტელექტუალური დონე და განათლების ცენზი მნიშვნელოვნად ამაღლდა. იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ თვისებრივი ნახტომი, რაც ვაკეთდა ამ მხრივ, მოვიტანთ შემდეგ ფაქტს: სამოქალაქო ომისდროინდელი წერა-კითხვის მცირემცოდნე მილიციონერებიდან ჩვენ მივედით სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში აკადემიის გახსნამდე, სადაც მუშაობენ მეცნიერებათა დოქტორები და კანდიდატები, აკადემიისა, რომელიც ამზადებს ხელმძღვანელ კადრებს მილიციისათვის.

როგორი უნდა იყოს საბჭოთა მილიციის მუშაი? ვინ უნდა შეგვცვალოს ხვალ ჩვენ მართლწესრიგის სადარაჯოზე?

<sup>4</sup> გაზეთი კომუნისტი, 15 ივნისი, 1974 წ.

მილიციის ოფიცერი უნდა იყოს უმაღლესი, ან საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირი, პროფესიულად ფლობდეს დანაშაულის პროფილაქტიკისა და გახსნის ხელოვნებას, შეეძლოს, მოსახლეობაში მუშაობა, იყოს ხალხის ღირსეული წარმომადგენელი. იგი უნდა იყოს არა მარტო გამოცდილი პროფესიონალი, არამედ ტაქტიანი, მაღალი ინტელექტის ადამიანი, ფსიქოლოგი და პედაგოგი. როგორც ცნობილია, არცერთ უმაღლეს სასწავლებელს არ ძალუძს ასეთი კადრის გამოშვება. თვით ცხოვრება, პრაქტიკა, გამოცდილება აქცევს ადამიანს ასეთად. შეიძლება იკითხონ, რა არის მილიციის მუშაკის საქმიანობა: პროფესია თუ მოწოდება? როგორც ჩანს, ერთიც და მეორეც. ერთი მხრივ, ეს არის მუდმივი და განუწყვეტელი ბრძოლა სახიფათო და ცბიერ მტერთან — დამნაშავესთან, რაც უპირველეს ყოვლისა მოითხოვს ვაჟკაცობასა და ნებისყოფას, დიდ პროფესიულ ოსტატობას. მეორე მხრივ, ეს არის ზრუნვა ადამიანებისათვის, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ ჩვენს გვერდით, მაგრამ გარკვეულ გარემოებათა გამო განუდგნენ საზოგადოებას, რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში მოხვდნენ. ჩვენი ჰუმანური ვალია არ მივცეთ მათ საშუალება დაარღვიონ კანონი. დავეხმაროთ, რათა კვლავ დაუბრუნდნენ ოჯახს, კოლექტივს, ჩადგნენ ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში. ეს არის უკეთილშობილესი ამოცანა. ამ ამოცანის გადასაჭრელად საბჭოთა მილიციის მუშაკებს უნდა ჰქონდეთ განსაკუთრებული სულიერი თვისებები, უნდა შეეძლოთ მოიპოვონ მუშების, კოლმეურნეების, ინჟინრების, ექიმების, მასწავლებლების, მოსწავლეებისა, სტუდენტების, სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანების პატივისცემა.

მიხეილ ივანეს ძე კალინინი ამბობდა-მილიცია „საბჭოთა ხელისუფლების იდეების გამტარებელია“-ო. მხოლოდ პარტიის იდეალურ მებრძოლებს, პოლიტიკურად მომწიფებულ ადამიანებს შეუძლიათ ატარონ მილიციის მუშაკის საპატიო მუნდირი. მილიციის ყოველ თანამშრომელს უნდა ახსიათებდეს ღრმა იდეურობა, პრინციპულობა, აზროვნების სიცხადე და სიმკაცრე, მუდმივი ლტოლვა ცოდნისაკენ, დაუშრეტელი ენერჯია, გაბედულება, პატიოსნება, უანგარობა, თავმდაბლობა.

ლდეს უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ გვყავს ასეთი ხალხი. შესაძლოა ისინი ბოლომდე არ პასუხობენ ყველა მოთხოვნას, მაგრამ ხალხთან მჭიდრო კავშირმა, კომუნისმის დიადი იდეალებისადმი ერთგულებამ აღამაღლა თავმდაბალი და შეუმიჩნეველი ადამიანები გმირობამდე.

მილიციის ყველა რანგის ხელმძღვანელი, პოლიტმუშაკი, პირად შემადგენლობას ზრდის საბჭოთა მილიციის გმირული ტრადიციების სულისკვეთებით, განუწყვეტლივ ზრუნავს ჩვენი მუშაკების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, რათა მილიციის მუშაკის მორალური სახე, პროფესიული ოსტატობა და საბრძოლო თვისებები შეესაბამებოდეს იმ გმირულ ეპოქას, რომელშიც ვცხოვრობთ და ვშრომობთ.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით საბჭოთა მილიცია უანგაროდ და ერთგულად ემსახურებოდა და ემსახურება თავის ხალხს. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები კვლავაც არ დაზოგავენ ძალღონეს, რათა შეასრულონ მათზე დაკისრებული რთული და საპატიო მოვალეობა.





# ქოვენისჯარი მოკალის მნიშვნელობა სამოქალაქო სამართლის ნორმების ფორმირებაში

პ. ხავერიანი

სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების ფორმირება სამოქალაქო ურთიერთობათა მოწესრიგების ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა. მისი ხარისხსა და დონეზე ბევრად არის დამოკიდებული სამოქალაქო ურთიერთობათა რეგულირების ეფექტურობა.

სამართლებრივი ნორმების ფორმირებაში იგულისხმება როგორც საკანონმდებლო და სხვა სამართალშემოქმედებითი ორგანოს უშუალო საქმიანობა, ისე ყველა იმ სოციალური ფაქტორების ურთიერთმოქმედებაც, რომლებიც საფუძველია სამართალშემოქმედებითი პროცესის დაწყებისა და პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოიხატება მოქმედი სამართლის შინაარსსა თუ ფორმაში<sup>1</sup>. სამართალშემოქმედება კი არის სახელმწიფო ორგანოების მიზანდასახული, შეგნებული საქმიანობა, რომლის შედეგადაც ხდება სამართლის ნორმების დადგენა, შეცვლა თუ გაუქმება<sup>2</sup>. მაშასადამე, სამოქალაქო სამართლის ნორმების ფორმირება მოიცავს იმ სოციალურ ფაქტორებს, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ განაპირობებენ სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების შინაარსს და ამ სოციალური ფაქტორების საფუძველზე აღმოცენებულ სამართალშემოქმედებითს საქმიანობას, რომლის შედეგიც არის სამოქალაქო სამართლის ნორმების დადგენა, შეცვლა თუ გაუქმება.

მორალი, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალური ფაქტორი, გარკვეულ როლს ასრულებს სამოქალაქო სამართლის ნორმების ფორმირების მთელ ამ პროცესში.

სამართალშემოქმედება, რომელიც სახელმწიფო ორგანოთა შეგნებული საქმიანობაა, სუბიექტთა თვითნებობას კი არ ემყარება, არამედ განპირობებულია საზოგადოებაში გაბატონებული კლასის მოთხოვნილებებით და ინტერესებით, რაც თავის მხრივ, საბოლოო ანგარიშით, განსაზღვრულია წარმოებითი ურთიერთობებით, საწარმოო ძალების განვითარებითა და გაცვლის ურთიერთობებით<sup>3</sup>. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საზოგადოების ბაზისი განსაზღვრავს მის ზედნაშენს; როგორც არის ბაზისი, ისეთივეა ზედნაშენიც. სამოქალაქო სამართალი რეაგირებას ახდენს ბაზისში მომხდარ ცვლილებებზე, ასახავს მათ და ამავდროს უკუშემოქმედებას ახდენს მასზე. ასეთია სამოქალაქო სამართლისა და საზოგადოების ეკონომიური წყობის დამოკიდებულების დიალექტიკა.

მაგრამ ეკონომიური წყობა, წარმოების წესი უშუალოდ როდი განსაზღვრავს სამოქალაქო სამართლის ნორმების შინაარსს. როგორც ფ. ენგელსი აღნიშ-

<sup>1</sup> См. Правотворчество в СССР. под. ред. А. В. Мицкевича, «Юрид. лит-ра», М., 1974, стр. 5.

<sup>2</sup> См. Марксистско-ленинская общая теория государства и права. Социалистическое право. «Юрид. лит-ра», М., 1973, стр. 314.

<sup>3</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 21, стр. 310.

ნავდა, ეკონომიური ურთიერთობები ავტომატურად კი არ ახდენენ ზემოქმედებას, არამედ თვით ხალხი ქმნის თავის ისტორიას; მაგრამ მოცემულ, მათ მიერ განპირობებულ გარემოში, უკვე არსებული რეალური ურთიერთობების ბაზაზე, რომელთა შორის ეკონომიური პირობები რა ძალითაც არ უნდა ახდენდეს მათზე ზეგავლენას, პოლიტიკური და იდეოლოგიური ფაქტორები, საბოლოო ჯამში, მაინც გადამწყვეტ როლს თამაშობენ და ქმნიან იმ ხაზს, რომელიც წითელზოლივით გასდევს განვითარების მთელ პროცესს.<sup>4</sup> რასაკვირველია, არ შეიძლება პირდაპირ დაფუკავშიროთ ერთმანეთს ეკონომიური პირობები და სამოქალაქო სამართლის ნორმები, რადგან ბაზისის მოთხოვნები სამოქალაქო სამართალში გამოხატულებას პოულობს მხოლოდ მთელი რიგი შუამდებარე რგოლების — პოლიტიკის, მეცნიერების, მართლშეგნების, მორალის და ა. შ. გავლის შემდეგ. ეკონომიურ წყობასა და სამოქალაქო სამართალს შორის ასეთი რგოლების არსებობა დიდ გავლენას ახდენს სამოქალაქო სამართლის ნორმების ფორმირებაზე, ამ ნორმების შინაარსზე.

ის დებულება, რომ მართლშეგნება გადამწყვეტ როლს ასრულებს სამართლის ნორმების ფორმირებაში, აღიარებულია იურიდიულ ლიტერატურაში. მაგრამ მართლშეგნება, სამართლებრივი იდეები არ არის მხოლოდ ერთადერთი იდეოლოგიური ფაქტორი, რომელიც სამოქალაქო სამართლის ნორმების ფორმირებაზე ახდენდეს გავლენას. სამართლებრივ შეხედულებებს ხშირად საფუძვლად უდევთ მორალური მოთხოვნები და ეს უკანასკნელნი მართლშეგნებასთან ერთად საგრძნობ გავლენას ახდენენ სამართლის ნორმების ჩამოყალიბებაზე. გამომდინარე აქედან, სამოქალაქო სამართლის ნორმების ფორმირების იდეოლოგიურ ფაქტორებად გვევლინება არა მარტო მართლშეგნება, არამედ საზოგადოებრივი ცნობიერების სხვა ფორმებიც, განსაკუთრებით კი მორალი. რომელიც გარკვეული ზომით განსაზღვრავს სამოქალაქო სამართლის ნორმების შინაარსს.

ამასთან, მართლშეგნება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ფორმებისაგან განსხვავებით, განსაკუთრებულ როლს ასრულებს სამოქალაქო სამართლის ნორმების ჩამოყალიბების პროცესში. იგი წარმოადგენს სვეალდებულო ფორმას, რომელიც უნდა გაიაროს და რომელშიც გამოხატულება უნდა ჰპოვოს მორალურმა მოთხოვნებმა, სანამ ისინი კანონის სახეს მიიღებდნენ.

მორალური ცნობიერება, რომელიც ასახავს სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირების მოთხოვნებს, აფასებს მათ თავისი კატეგორიებით და საბოლოოდ ყალიბდება მორალური მოთხოვნის სახით. მორალური მოთხოვნა კი როგორც წესი, გამოხატულებას პოულობს საზოგადოებრივ აზრში, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა ხალხის შეხედულებებს სოციალური ცხოვრების საკითხებზე, ეხება საერთო ინტერესებსა და მოითხოვს პრაქტიკული გადაწყვეტილების მიღებას.<sup>5</sup> მაგრამ იმისათვის, რომ საზოგადოებრივი აზრით გამოხატულმა მორალურმა მოთხოვნამ ასახვა ჰპოვოს სამოქალაქო სამართლის ნორმებში, მან უნდა წიიღოს სამართლებრივი მოთხოვნის ფორმა, კერძოდ, უნდა წარმოადგენდეს მსჯელობას რაიმეს აკრძალვის, ნებართვის თუ სხვათა შესახებ. ამ როლს კი უკვე მართლშეგნება ასრულებს. ამდენად, მართლშეგნება გვევლინება გარდამავალ

<sup>4</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 39, стр. 175.

<sup>5</sup> См. А. К. Уледов, Общественное мнение советского общества, М., 1983, стр. 89.

საფეხურად მომავალ სამოქალაქო სამართლებრივ ნორმასა და მორალურ მოთხოვნას შორის, რომელიც, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა აისახოს სამოქალაქო სამართლებრივ ნორმებში. მართლშეგნება საშუალებას გვაძლევს შევადგინოთ ეს წინადადება მოქმედი სამოქალაქო სამართლისა და დამკვიდრებული მართლწესრიგის თვალსაზრისით. იგი ასრულებს სპეციალურ ფუნქციას შეათანხმოს საზოგადოებრივი აზრი მოქმედ სამოქალაქო სამართალთან, მის შინაარსსა და კანონზომიერებებთან. მაშასადამე, მართლშეგნება არის ის უშუალო არხი, რომლის საშუალებითაც მორალი უკავშირდება სამოქალაქო სამართალს მისი ნორმების ფორმირების დროს, ახდენს გავლენას სამოქალაქო სამართლის ნორმების ფორმირების მთელ პროცესზე.

ამასთან, საზოგადოებრივი აზრის ღირებულება განისაზღვრება იმით, თუ რაოდენ სწორად ასახავს იგი საზოგადოებაში მომწიფებულ მოთხოვნებს, რა ზომით პასუხობს იგი საზოგადოებრივ ინტერესებს და ხელს უწყობს თუ არა ამ მოთხოვნილებებისა და ინტერესების გამოვლინებასა და განვითარებას. მაგალითად, სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის განხილვისას ბევრე განყოფილების, „საკუთრების უფლების“ თაობაზე გამოთქმული იყო აზრი დაწესებულებათა შექმნითი ხანდაზმულობა ქონებაზე, რომლის გამოთხოვის უფლება არ ექნებოდა მესაკუთრეს ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.<sup>6</sup> ეს წინადადება არ გაიზიარა კანონმდებელმა, რადგანაც მარტოდენ ხანდაზმულობის ვადის გასვლა, კომუნისტური მორალის თვალსაზრისით, არ არის საკმაო საფუძველი, რომ ნივთის მფლობელი მივიჩნიოთ მის მესაკუთრედ.

სამოქალაქო სამართლის ნორმების შემუშავების პროცესში კანონმდებელი ითვალისწინებს საზოგადოების მორალურ დონეს და მის შესაბამისად შეაქვს ცვლილებები სამოქალაქო სამართლებრივ რეგულირებაში. ამ დებულების სისწორეში თვალნათლივ დავრწმუნდებით, თუ შევადარებთ მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობის ზოგიერთ ნორმას ადრემოქმედი კანონმდებლობის ანალოგიურ ნორმასთან. მაგალითისათვის ავიღოთ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 139-ე მუხლი, რომელიც ადგენს დაკარგული ნივთის ან ფულის მპოვნელის ვალდებულებას დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ დამკარგველს და დაუბრუნოს მას ნაპოვნი. ასეთი ქცევა კომუნისტური მორალის მოთხოვნებიდან გამომდინარეობს და ყოველი კეთილსინდისიერი მოქალაქე მოვალეა მოიქცეს მის შესაბამისად. ადრემოქმედი კანონმდებლობა კი, ამასთან ერთად, ითვალისწინებდა ნივთის დამკარგველის მოვალეობას გადაეხადა მპოვნელისათვის ნივთის საბაზრო ფასის 20 პროცენტი.<sup>7</sup> ასეთი განსხვავების მთელი არსი მდგომარეობს იმაში, რომ კანონმდებელი მაშინ შეგნებულად უშვებდა ისეთ ფაქტორს მორალურ ურთიერთობაში, როგორცაა პატიოსნებისათვის გარკვეული გასამრჯელოს მიღება, რათა თავიდან აეშორებინა უფრო დიდი ბოროტება — ნაპოვნი ნივთის მითვისება. ამ თვალსაზრისით, ნამდვილად პატიოსანი და მაღალი მორალური პრინციპების მქონე ადამიანი დააბრუნებს ნაპოვნი ნივთს და არ მოითხოვს ამისათვის გასამრჯელოს, ხოლო, პირიქით, მორალურად არამტკიცე პიროვნების ანგარებაში წახალისებამ შეიძლება დაიფაროს იგი უპატიოსნობისაგან. მორალის ცალკეულ მოთხოვნებს — პატიოსნებასა და უანგარო-

<sup>6</sup> См. И. И. Ковалев, Участие общественности в обсуждении проектов Основ. «Советское государство и право», 1962, № 2, стр. 22.

<sup>7</sup> საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი, თბილისი, 1955, მუხლი 683.

ბას შეიძლება ექნეთ არათანაბარი მნიშვნელობა და მათი დაპირისპირებისას, თუ კი სხვა გზა არ არსებობს, უპირატესობა უნდა მფიქნით უფრო ღირებულს. კანონმდებელი ითვალისწინებდა მაშინ საზოგადოების მორალურ დონეს და შეგნებულად უშვებდა ასეთ წესს სამოქალაქო ურთიერთობათა რეგულირებაში.

თანამედროვე პირობებში კი, როდესაც საბჭოთა საზოგადოების მატერიალური, კულტურული და მორალური დონე შესამჩნევად ამაღლდა, საზოგადოება პატიოსნებისათვის ასეთი ჯილდოს მიღებას ამორალურად მიიჩნევს<sup>8</sup>. ამიტომ სამოქალაქო სამართლის ადრემოქმედი ეს ნორმა წინააღმდეგობაში აღმოჩნდა განვითარებულ მორალურ დონესთან. საჭირო გახდა ამ წინააღმდეგობის აღმოფხვრა. ეს მისია მართლაც შეასრულა მოქმედმა სამოქალაქო კანონმდებლობამ, რომელიც აღარ ითვალისწინებს ნივთის დამკარგველის ვალდებულებას გადაუხადოს ნივთის მპოვნელს გარკვეული საზღაური.

როგორც ვხედავთ, სამოქალაქო სამართლისა და კომუნისტური მორალის ცალკეულ ნორმებს შორის, საერთო საფუძვლის მიუხედავად, შესაძლებელია გარკვეული წინააღმდეგობაც არსებობდეს. რასაკვირველია, წინააღმდეგობას სოციალისტურ სამოქალაქო სამართალსა და მორალს შორის არ შეიძლება კლასობრივი ხასიათი ჰქონდეს, მაგრამ ეს გარემოება როდი გამოირიცხავს მათ შორის სხვა, არაანტაგონისტური წინააღმდეგობის არსებობის შესაძლებლობას. ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის განმსაზღვრელ ფაქტორს, — როგორც სამართლიანად მიუთითებს ნ. ა. ტროფიმოვი, — წარმოადგენს ცვლილება საზოგადოების ეკონომიურ ცხოვრებაში, რომელიც, საბოლოო ჯამში, მორალისა და სამართლის სხვადასხვა კავშირის გამო ზედნაშენურ მოვლენებთან, განსაკუთრებით კი პოლიტიკურ იდეოლოგიასთან და სახელმწიფოსთან იწვევს არაერთდროულ და არაერთნაირ ცვლილებებს მორალისა და სამართლის სფეროში.<sup>9</sup> გამომდინარე აქედან, შესაძლებელია, როგორც სამოქალაქო სამართლის ნორმების ჩამორჩენა განვითარებულ მორალურ დონესთან, ასევე მორალის ჩამორჩენაც სამოქალაქო სამართლის ახალ ნორმებთან შედარებით. მაგრამ სოციალისტური სამოქალაქო სამართლისა და მორალის მჭიდრო კავშირის გამო ასეთი ჩამორჩენა კონფლიქტში, ანტაგონისტურ წინააღმდეგობაში კი არ გადაიზრდება, არამედ ხდება მათი შეგნებული გადაჭრა საზოგადოების პროგრესული განვითარების შესაბამისად.

ასეთი სახის წინააღმდეგობის შემცველია მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობის ზოგიერთი ნორმაც, მაგალითად, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 547-ე მუხლი ადგენს, რომ სამკვიდროს დამტოვებლას არასრულწლოვან ან არაშრომისუნარიან შვილებს (მათ შორის შვილობილებს), აგრეთვე გარდაცვლილის არაშრომისუნარიან მეუღლეს, მშობლებს (მშვილებლებს) და მის რჩენაზე მყოფ სხვა მემკვიდრეებს, რა შინაარსისაც არ უნდა იყოს ანდრძი, ეკუთვნით სამკვიდრო წილი, რომელიც არ შეიძლება იყოს იმ წილის ორ მესამედზე ნაკლები, რაც თითოეულ მათგანს კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს ერგებოდა (სავალდებულო წილი). სავსებით ცხადია, რომ ეს ნორმა მიმართულია არასრულწლოვანი და არაშრომისუნარიანი მემკვიდრეების მატერიალურ-

<sup>8</sup> С. Ю. Борин, Честность за вознаграждение? «Известия» от 18.2.1960 г.

<sup>9</sup> Н. А. Трофимов, О противоречиях в процессе взаимодействия права и морали социалистического общества. «Ученые записки» Уральского гос. ун-та, 1957, № 21, стр. 9.

რი უზრუნველყოფისაკენ. ამ ნორმაში გამოხატულება ჰპოვა მემკვიდრეობის სოციალურმა დანიშნულებამ სოციალისტურ საზოგადოებაში, რომ იგი, პირველ რიგში, მიმართული უნდა იყოს სამკვიდროს დამტოვებლის ოჯახის პერიკლზონთან და არაშრომისუნარიანთა მატერიალური უზრუნველყოფისაკენ, მაგრამ, ამავე დროს, მემკვიდრეობით სამართალში არის ნორმა, რომელიც აღგენს, რომ მოქალაქეს, რომელსაც აქვს ანაბარი სახელმწიფო შრომით შემნახველ სალაროში ან სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში, უფლება აქვს მიხსნას შეძახველ სალაროს ან ბანკს განკარგულება, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ანაბარი მიეცეს მის მიერ დასახელებულ პირს ან სახელმწიფოს ანდა ცალკეულ სახელმწიფო, კოოპერაციულ თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციას. ასეთ შემთხვევაში ანაბარი არ შედის სამკვიდრო ქონების შემადგენლობაში და მასზე სავალდებულო წილის უფლება არ ვრცელდება (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 570-ე მუხლი). პრაქტიკულად კი ეს იმას ნიშნავს, რომ სამკვიდროს დამტოვებელმა ანაბარის განკარგვის გზით შეიძლება დატოვოს მისი არასრულწლოვანი და არაშრომისუნარიანი მემკვიდრეები სავალდებულო წილის გარეშე. ასეთი ნორმა კი ეწინააღმდეგება არა მარტო საბჭოთა სამოქალაქო და საოჯახო სამართლის არსსა და დანიშნულებას, არამედ სოციალისტური საზოგადოების მორალურ პრინციპებსაც. ამიტომ ასეთი ნორმის არსებობა საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობაში არასამართლიანია, მორალურად გაუმართლებელია და აგი უნდა ჩეიკვალოს.

კომუნისტური მორალის მოთხოვნების საფუძველზე უნდა გადაწყდეს პიროვნების სიცოცხლის გადარჩენასთან დაკავშირებით წარმოშობილი ვალდებულებების შემოღების საკითხიც. როგორც ცნობილია, სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველების 95-ე მუხლი და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსების ანალოგიური მუხლები ითვალისწინებენ მოქალაქისათვის სოციალისტური ქონების გადარჩენის დროს მომხდარი ზიანის ანაზღაურებას, მაგრამ ანაზღაურდება თუ არა ზიანი, რომელიც მოქალაქემ განიცადა სხვა პირის ჯანმრთელობის თუ სიცოცხლის გადარჩენის დროს? ამაზე სამოქალაქო კანონმდებლობა არაფერს გვეუბნება, თუმცა მოქალაქე ასეთ შემთხვევაში, ისევე როგორც სოციალისტური ქონების გადარჩენის დროს, ასრულებს თავის მორალურ მოვალეობას.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ პიროვნების სიცოცხლის გადარჩენის დროს მომხდარი ზიანის ანაზღაურებისათვის გამოიყენოთ დელიქტური ვალდებულებების ნორმები.<sup>10</sup> ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ, რადგანაც ზიანის მიყენებიდან წარმომდგარი ვალდებულებების ნორმების გამოყენება ასეთ შემთხვევებზე ეწინააღმდეგება როგორც ამ ვალდებულებების ბუნებასა და პრინციპებს, ისე მის აღმზრდელობით დანიშნულებასაც. დელიქტური ვალდებულება იმიტომ იწოდება დელიქტურად, რომ იგი წარმოიშობა პირის არამართლზომიერი მოქმედებისაგან, სამართალდარღვევისაგან, ამიტომ მისი ნორმების გამოყენება პიროვნების სიცოცხლის გადარჩენის დროს წარმოშობილი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად არამართებელია, რადგანაც ამ უკანასკნელის დროს საქმე გვაქვს არა მართლსაწინააღმდეგო, არამედ პირიქით, მართლზომიერ მოქმედებასთან, არა სამართალდარღვევასთან, არამედ სოცია-

<sup>10</sup> См. Б. С. Антимонов, Гражданская ответственность за вред, причиненный источником повышенной опасности, Госюриздат, 1952, стр. 198.

ლურად სასარგებლო ქცევასთან. ამასთან, ზიანის მიყენებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში აუცილებელია ზიანის მიმყენებლის ფიგურა. ადამიანის სიცოცხლის გადარჩენასთან დაკავშირებულ ვალდებულებებში კი მას ხშირად ვერ ვხვდებით.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე მუხლი და შოკავ-შირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები დანაშაულად მიიჩნევენ სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის დახმარების აღმოუჩენლობას, თუ ამ დახმარების აღმოჩენა დამნაშავეს შეეძლო თავისი თავისათვის ან სხვა პირისათვის სერიოზული საშიშროების გარეშე. ზოგიერთი ავტორი, რომელიც არ ეთანხმება პიროვნების სიცოცხლის გადარჩენისაგან წარმომდგარი ვალდებულების შემოღების იდეას, მიუთითებს სწორედ აღნიშნულ გარემოებაზე და თვლის, რომ სისხლის სამართლის ამ ნორმის შესრულება არ შეიძლება გახდეს ქონებრივი კომპენსაციის საფუძველი.<sup>11</sup> ჩვენი აზრით, ასეთი მტკიცება საფუძველს მოკლებულია, რადგან, ჯერ ერთი, მოცემულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების საფუძველი არის არა სიხლის სამართლის ნორმის შესრულება, არამედ მოქალაქის მიერ თავისი მორალური მოვალეობის განხორციელება (დახმარება გაუწიოს საფრთხეში მყოფ პირს); მეორეც, სისხლის სამართლის ეს ნორმა ითვალისწინებს დახმარების აღმოჩენის ვალდებულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ დახმარების აღმოჩენა პიროვნებას შეეძლო თავისი თავისათვის სერიოზული საშიშროების გარეშე. ჩვენი მსჯელობის საგანს კი წარმოადგენს ძირითადად ისეთი სიტუაციები, როდესაც რისკი დიდია და მოქალაქე უშუალო საფრთხეში აყენებს თავის ჯანმრთელობას ან სწირავს კიდევაც სიცოცხლეს. ასეთი ქცევის ჩადენას კი სამართლის არცერთი ნორმა არ ავალდებულებს პიროვნებას; მესამეც, მოქალაქის ვალდებულებას დახმარება აღმოუჩინოს სხვა პიროვნებას გარკვეულ შემთხვევებში და გადაარჩინოს იგი, უნდა შეესაბამებოდეს მისი უფლება ამ დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. და, თუ ჩვენ ვცნობთ ასეთ უფლებას ისეთ შემთხვევებში, როდესაც გადამრჩენი მოქმედებდა თავისი თავისათვის სერიოზული საშიშროების გარეშე, მითუმეტეს საფუძვლიანია ზიანის ანაზღაურების დაწესება, როდესაც მოქალაქე უშუალო საფრთხეში აგდებდა თავის სიცოცხლეს და ასრულებდა არა სისხლის სამართლის ნორმის მოთხოვნას, არამედ მოქმედებდა მორალური მოვალეობის კარნახით.

იურიდიულ ლიტერატურაში განსაკუთრებით სადავოა აღნიშნული ვალდებულების სუბიექტების საკითხი, ე. ი. თუ ვის უნდა დაეკისროს ზიანის ანაზღაურება. ო. ს. იოფე მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით გაუმართლებლად მიიჩნევს ზიანის ანაზღაურების დაკისრებას იმ პირებზე, რომელთა სიცოცხლე საფრთხეში იყო და შევლას საჭიროებდა.<sup>12</sup> ა. ი. კაბალკინი და ვ. გ. ვერდნიკოვი თვლიან, რომ მოქალაქეთა მატერიალური შესაძლებლობის შეზღუდულობის გამო პიროვნების სიცოცხლის გადარჩენის დროს დაზარალებული პირის (გადამრჩენის) სრული მატერიალური უზრუნველყოფა მომავლის საქმეა და იგი ანაზღაურდება საზოგადოებრივი ფონდებიდან. აქედან გამომდინარე, ისინი ამ ვალდებულების შემოღებას მიზანშეუწონლად, ნაადრევად თვლიან.<sup>13</sup>

<sup>11</sup> См. О. С. Иоффе, Новое обязательство в советском гражданском праве. «Вестник Ленинградского ун-та», 1962, № 11, стр. 97.

<sup>12</sup> О. С. Иоффе, Митотებული პრობა, გვ. 96.

<sup>13</sup> В. Г. Вердников, А. Ю. Кабалкин, Применение статьи 95 Основ гражданского законодательства, «Социалистическая законность», 1964, № 3, стр. 44.



ჩვენი აზრით, ეს არგუმენტები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. პიროვნების მატერიალური შესაძლებლობა როდია მისი სამართლის სუბიექტად მიჩნევის განმსაზღვრელი. ამ ავტორებს რომ დავეთანხმოთ, მაშინ გამოდის, რომ მატერიალურად ნაკლებზრუნველყოფილი მოქალაქე საერთოდ არ უნდა მივიჩნიოთ ვალდებულების სუბიექტად, რაც საბჭოთა სამართლის პრინციპების მიხედვით დაუშვებელია. რასაკვირველია, სამოქალაქო სამართალი მხედველობაში იღებს მოქალაქეთა მატერიალურ მდგომარეობას, მაგრამ ამ გარემოებას შეიძლება ანგარიში ვაეწიოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოცემულ პირებს ვალდებულების სუბიექტებად მივიჩნევთ. კერძოდ, სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 93-ე მუხლი სასამართლოს უფლებას აძლევს შეამციროს მოქალაქის მიერ მიყენებული ზიანის საზღაური მისი ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით.

პიროვნების სიცოცხლის გადარჩენის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურება გადარჩენილი პირის ვარდა შეიძლება დაეკისროს აგრეთვე იმ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს, რომლებიც ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ადამიანთა უსაფრთხოება ან რომლებსაც ეკისრებათ სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნაში.<sup>14</sup>

რამდენიმე წლის წინათ ქ. კუბიშვილის „სამტრესტის“ ღვინის ქარხანაში მოხდა შემთხვევა, რომელმაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა პრესაში. ღვინის ქარხანაში რეცხავდნენ დაცილილ ცისტერნებს. რამინ ახმეტხანოვი, რომელიც ამ სამუშაოს ასრულებდა, ცისტერნებში ჩადიოდა, ცოლი კი ნავთის ლამპით უნათებდა. ახმეტხანოვმა გარეცხა ოთხი ცისტერნა და ჩავიდა მეხუთეში, სადაც თურმე დაგროვილიყო წყალბადგოგირდი. დაგაზიანებულ ცისტერნაში ახმეტხანოვმა გონება დაკარგა. ცოლის ყვირილზე მოიბრინა შოფერმა ნიკოლოზ კონსტინმა. იგი უყოყმანოდ ჩავიდა ცისტერნაში, მაგრამ მანაც გონება დაკარგა.

ღვინომასალების საამქროს უფროსმა რევაზ ჩიქოვანმა ყვირილის გაგონებაზე მიიბრინა შემთხვევის ადგილზე და ჩაძვრა ცისტერნაში. მან მოახერხა ცისტერნის შორეულ კუთხიდან კონსტინის ამოყვანა. ჩიქოვანმა ახმეტხანოვის გადარჩენაც გადაწყვიტა, მაგრამ ძალღონე გამოეცალა და ცისტერნის ფსკერზე წაიქცა.

ამის შემდეგ ცისტერნაში აირწინალიანი კაცი ჩავიდა. ჩიქოვანი და ახმეტხანოვი ზევით ამოიყვანეს. სასწრაფო დახმარების მანქანამაც აღარ დაყოვნა, ექიმებმა კონსტინი და ახმეტხანოვი კი გადაარჩინეს, მაგრამ ჩიქოვანს ვერაფერი უშველეს.<sup>15</sup>

რ. ჩიქოვანის მამაკური საქციელი ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენის მეტად საინტერესო შემთხვევაა. მისი ანალიზი საშუალებას მოგვცემს დავრწმუნდეთ ჩვენს მიერ ნათქვამი დებულებების სისწორეში.

ჩიქოვანი პიროვნების სიცოცხლის გადარჩენის დროს ასრულებდა თავის მოქალაქეობრივ, მორალურ მოვალეობას. იგი მოქმედებდა არა იურიდიული, არამედ მორალური მოვალეობის კარნახით — გადაერჩინა სიცოცხლისათვის საფრთხეში მყოფი პირები. მან ამისათვის საკუთარი სიცოცხლეც კი არ დაიშუ-

<sup>14</sup> См. П. Р. Стависский, Возмещение вреда при спасании социалистического имущества, жизни и здоровья граждан, «Юрид. лит-ра», М., 1974, стр. 121.

<sup>15</sup> იხ. ვაზეთი „კომუნისტი“, 1971 წ. 21 აპრილი.

რა. ასეთ ვითარებაში თუ კი დადგებოდა მისი ოჯახის წევრთა მიმართ მარჩენა-ლის დაკარგვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საკითხი, იგი უნდა ანაზღაუროს ღვინის ქარხანამ, რადგანაც სწორედ მას აკისრია პასუხისმგებლობა მუშაკთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. ზიანი არ შეიძლება ანაზღაურდეს დელიქტური ვალდებულების ნორმებით, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხე ორგანიზაციამ შეიძლება დასევას საკითხი რ. ჩიქოვანის უხეში გაუფრთხილებლობის შესახებ (იგი ხომ უაირწინალოდ ჩავიდა დავაზიანებულ ცისტერნაში), რაც გამოორიცხავდა ორგანიზაციის პასუხისმგებლობას. სინამდვილეში კი დაინახა, რომ თანამშრომელთა სიცოცხლეს აშკარა საფრთხე ელოდა, რ. ჩიქოვანს არ ჰქონდა არც დრო და არც საშუალება, რათა პირადი უსაფრთხოების ზომები მიეღო და იძულებული იყო პიროვნებათა სიცოცხლის გადარჩენის მიზნით საკუთარი სიცოცხლე გაეწირა. მან თანამშრომელთა სიცოცხლის გადარჩენის დროს გამოავლინა დიდი შეგნებულობა, სიმამაცე და თავგანწირულობა. გამომდინარე აქედან, აუცილებელია მოქალაქეთა სიცოცხლის გადარჩენის დროს წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების შესახებ სამოქალაქო სამართლის ნორმის მიღება, რომელიც ასახავდა ყველა იმ გარემოებებსა და თავისებურებებს, რაც ზემოთ ითქვა, ხოლო მის მიღებამდე უნდა გამოვიყენოთ სამართლის ანალოგია.

შეიძლება თქვან, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების საერთო ტენდენციებიდან გამომდინარე მორალური რეგულირების სამართლებრივად შეცვლა ყოველთვის დადებით მოვლენად ვერ მიიჩნევა;<sup>16</sup> რომ მორალური რეგულირების სამართლებრივით შეცვლა ხშირად იმაზე მიგვანიშნებს, რომ საზოგადოების მორალური დონე და საზოგადოებრივი აზრი არ არის სათანადო სიბალღზე. მაგრამ ეს შენიშვნა არ შეიძლება გავტყუდვს ჩვენს მიერ მოყვანილ დებულებაზე, რადგანაც იგი კი არ აკანონება მორალურ ვალდებულებას, არამედ მხოლოდ ხელს უწყობს მის შესრულებას გადაჩრჩენისაღვის ქონებრივი მდგომარეობის აღდგენის გზით. ასეთი ვალდებულების შემოღების დროს ლაპარაკია არა ჯილდოზე მორალური ქცევის შესრულებისათვის, არამედ ზიანის ანაზღაურებაზე, იმ მოქალაქისათვის დახმარების გაწევაზე, რომელმაც გამოიჩინა სიმამაცე და გამბედაობა, სიკვდილისაგან იხსნა პიროვნება და ამ აქტის შესრულებისას თვითონაც დაშავდა. მოქალაქემ, რომელმაც იხსნა სხვა პირის სიცოცხლე თუ ჯანმრთელობა და ამასთან თვითონ განიცადა ზიანი, რომელიც არ აუნაზღაურდება, სხვა ანალოგიურ სიტუაციაში მისი მორალური რეაქცია ნომხდარ ფაქტზე საგრძნობლად დაეცემა და, პირიქით, როდესაც პირმა ცის, რომ სხვა პირის სიცოცხლის გადარჩენის დროს მას ზიანი აუნაზღაურდება, იგი უფრო აქტიურად იბრძობებს ამ სიკეთეთა გადასარჩენად, რასაც, თავის მხრივ, დიდი სოციალური ღირებულება ექნება. აქვე უნდა ითქვას, რომ იურიდიულ ლიტერატურასა და პრესაში ამ ბოლო დროს ხშირად მიუთითებენ ასეთი ურთიერთობების სამოქალაქო სამართლებრივი გზით მოწესრიგების აუცილებლობაზე.<sup>17</sup>

რაც შეეხება უშუალოდ სამართალშემოქმედებით პროცესს, მასში მორალის ნორმის გამოყენება შეიძლება სამი მიმართულებით მოხდეს.

პირველი: ხშირად სამოქალაქო სამართლის ნორმების დადგენის დროს მას

<sup>16</sup> См. Е. М. Пеньков, Социальные нормы - регуляторы поведения личности. «Мысль», М., 1972, стр. 189.

<sup>17</sup> И. Р. Стависский, Митითებული შრომა, გვ. 4-5.



საფუძვლად უშუალოდ მორალური პრინციპები ედებათ. უფრო სწორად რომ ვთქვათ, სახელმწიფო ანიჭებს ცალკეულ მორალურ ნორმებს იურიდიულ ძალას. ასეთ შემთხვევებში მორალური ნორმები და პრინციპები გამოდის როგორც თარგი, რომლის საფუძველზეც სამოქალაქო სამართლის ნორმა უნდა „გამოიჭრას“. ასეთი სახითაა ჩამოყალიბებული, მაგალითად, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 139-ე მუხლი, რომლის ძალითაც ნივთის მთხოვნელი ვალდებულია დაუბრუნოს იგი პატრონს, აგრეთვე 165-ე მუხლი, სადაც ჩაწერილია, რომ ყოველი მხარე ვალდებულია გაუწიოს მეორე მხარეს ყოველგვარი დახმარება მის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებაში; ასეთივეა აღნიშნული კოდექსის 430-ე მუხლი, რომლის მიხედვით მოქალაქეთა შორის დადებული შენახვის ხელშეკრულებით შემნახველი მოვალეა იმგვარადვე იზრუნოს მისთვის შესანახად მიბარებულ ქონებაზე, როგორც საკუთარზე და ა. შ. ძნელი არ არის მოვებნოთ ის მორალური ნორმები თუ პრინციპები, რომლებიც სამოქალაქო სამართლის ამ ნორმებს დაედო საფუძვლად. ესენია: პატიოსნება, სიმართლე, კოლექტივიზმი, ამხანაგური ურთიერთდახმარება და ა. შ.

მეორე: ზოგჯერ სამოქალაქო სამართლის ნორმების დადგენაში მორალური ნორმა პირდაპირ არ მონაწილეობს, მაგრამ კანონმდებელი საზოგადოებაში მოქმედ მორალურ ნორმებსა და პრინციპებს ამა თუ იმ ზომით მიიხედვება და ითვალისწინებს. მაგალითად, დებულებაში „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ აკრძალულია სასაქონლო ნიშნებად გამოყენებული იქნეს ისეთი გამოსახულება, რომელიც ეწინააღმდეგება სოციალისტური მორალის მოთხოვნებს.<sup>18</sup>

მესამე: სამართალშემოქმედების პროცესში ნორმის შინაარსისა და ფორმის განსაზღვრისას კანონმდებელი ხშირად იყენებს ტერმინებს: „კეთილსინდისიერება“, „არაკეთილსინდისიერება“, „ავზრახულად თავის არიდება“, „ბოროტგანზრახვით შეთანხმება“ და ა. შ. ამ კატეგორიებში შეფასების მორალური კრიტერიუმებია ნაგულისხმევი და მათი შინაარსის გახსნისას იმავე მორალის ნორმებით და პრინციპებით უნდა ვიხელმძღვანელოთ. სამართლის ნორმის შინაარსში ასეთი ცნებების შემოტანას სიცხადე და გარკვეულობა შეაქვს სამოქალაქო ურთიერთობათა რეგულირებაში.


ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ სამოქალაქო სამართლის ნორმების ფორმირების დროს კომუნისტური მორალის ნორმების გავლენა და მათი გათვალისწინება ერთგვარად განსაზღვრავს სამოქალაქო სამართლის ნორმების მორალურ შინაარსს და განპირობებს სამოქალაქო სამართლისა და მორალის ურთიერთმოქმედებას საზოგადოებრივი ურთიერთობათა მოწესრიგებაში. სამართალშემოქმედების პროცესში მორალური ფაქტორისათვის ასეთი მნიშვნელობის მინიჭება შემდეგ, ცხოვრებაში იწვევს ერთგვარ მორალურ-სამართლებრივ ურთიერთობებს, რომელთა სტრუქტურა გამოიხატება საზოგადოებრივი ურთიერთობების მორალური შინაარსისა და სამართლებრივი ფორმის ურთიერთმოქმედებაში, რასაც თავის მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც სამოქალაქო სამართალი და მორალი დაკავშირებულია ადამიანთა საქმიანობის მხოლოდ ცალკეულ მხარეებთან, სხვაგვარად

<sup>18</sup> См. Постановление Совета Министров СССР от 15 мая 1962 г. № 442.

რომ ვთქვათ, სამოქალაქო სამართალიც და მორალიც განიხილავენ საზოგადოებრივი ადამიანის ერთსა და იგივე საქმიანობას, მაგრამ განიხილავენ ერთმანეთისაგან განსხვავებით, თავისებურად. „მორალი და სამართალი, — წერდა ჰეგელი, — ვერ იარსებებენ ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად, რადგანაც სამართალს აკლია სუბიექტური მომენტი, მორალიც ასევე ცალმხრივია, ვინაიდან მხოლოდ სუბიექტურობით ხასიათდება და ამის გამო ორივე დამოუკიდებლად ვერ გამოხატავენ სინამდვილეს“.<sup>19</sup> ამიტომ სამართალშემოქმედების პროცესშივე თუ ჩაეყრება საფუძველი მათი ნორმების ერთიანობასა და ურთიერთშეთანხმებულობას, მაშინ მათი რეალიზაციის ეტაპზე გადალახული იქნება საზოგადოებრივ ურთიერთობებზე მათი ზემოქმედების ეს შეზღუდულობა თუ ცალმხრივობა.

1979

<sup>19</sup> Гегель, Соч. т. 7, М., 1934, стр. 177.



# ზიანიტ ნაკომოზიკ ვადეაუბაეპუი აკასრდნლოვანთა ქონებრივი უფება-მოვადეოპეი

ლ. გელუკაზვილი

ზიანი არის მოსპობა ან შემცირება საბჭოთა სამართლით დაცული სიკეთისა, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ნივთები, ასევე ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და სხვ. განადგურებული ან დაზიანებული მატერიალური სიკეთე შეიძლება შეიცვალოს იმავე გვარის და ღირებულების სიკეთით, ანაზღაურდეს ფულით, რაც საჭიროა მის აღსადგენად. სხვა ხასიათისაა ანაზღაურება სიკეთე. შეუძლებელია ადამიანის სიცოცხლის აღდგენა ან მისი ანაზღაურება ფულით, მაგრამ აგარდაცვალებულის ანლობებისათვის მისი სიკვდილი უკავშირდება მატერიალური სიკეთის შემცირებას; გარკვეულ ქონებრივ სიკეთესთან არის დაკავშირებული აგრეთვე პიროვნების ჯანმრთელობის დაზიანება (სანატორიული მკურნალობა, დამატებითი კვება, პროთეზირება და სხვა).

საბჭოთა სამოქალაქო სამართალი უშვებს მხოლოდ ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას და არ ითვალისწინებს მორალური ზიანის ფულად ანაზღაურებას. ზიანი ქონებრივად ჩაითვლება, თუ ის გამოხატულია ზარალის სახით. ზარალად ითვლება დაზარალებულის მიერ გაწეული ხარჯები, მისი ქონების დაკარგვა ან გაფუჭება, აგრეთვე ის შემოსავალი, რომელსაც მიიღებდა, მისთვის ზიანი რომ არ მიეყენებინათ.

ზოგჯერ ქონებრივ ზიანს იწვევს არასრულწლოვანის მოქმედება. ამიტომ აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს თუ ვინ უნდა აგოს პასუხი მის მიერ მიყენებული ზიანისათვის და რა სამართლებრივ საფუძველს ემყარება პასუხისმგებლობა.

არასრულწლოვანები მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და აქვთ უფლება-მოვალეობები. თუმცა მნიშვნელოვან წილად შეზღუდული ბევრ უფლებასა და მოვალეობას ისინი დამოუკიდებლად ვერ ახორციელებენ.

წინამდებარე სტატიაში ჩვენ განვიხილავთ არასრულწლოვანთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხს. კანონმდებელი განსაზღვრავს თუ როგორ უნდა ანაზღაურდეს არასრულწლოვანის მიერ მიყენებული ზიანი და მას წყვეტს არასრულწლოვანის ასაკის მიხედვით.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსით (მუხ. 464) „თხუთმეტი წლის ასაკს მიუღწეველი არასრულწლოვანის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებენ მისი მშობლები, მშვილებლები ან მეურვე, თუ ვერ დაამტკიცებენ, რომ მათ ზიანის მიყენებაში ბრალი არ მიუძღვით.

თუ თხუთმეტი წლის ასაკს მიუღწეველმა არასრულწლოვანმა ზიანი იმ დროს მიაყენა როდესაც იგი სასწავლო დაწესებულების, სააღმზრდელო ან სამკურნალო დაწესებულების ზედამხედველობაში იმყოფებოდა, უკანასკნელნი პასუხს აგებენ იმ ზიანისათვის, თუ ვერ დაამტკიცებენ, რომ ზიანის მიყენებაში მათ ბრალი არ მიუძღვით“.

როგორც ვხედავთ, კანონი პასუხისმგებლობის სუბიექტებს შორის უწინარესად მშობლებს ასახელებს. ეს ბუნებრივიც არის, რადგან ბავშვების აღზრდა და მათზე ზედამხედველობა უპირველეს ყოვლისა მშობლების მოვალეობაა. საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 58-ე მუხლი ადგენს, რომ მშობლებმა თავიანთი შვილები უნდა აღზარდონ კომუნიზმის მშენებლის

მორალური კოდექსის სულისკვეთებით, იზრუნონ მათი ფიზიკური განვითარებისა და სწავლებისათვის, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობისათვის მათს მოსამზადებლად. ბავშვების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდა წარმოადგენს მშობლების, მეურვეების, მზრუნველების, საბავშვო დაწესებულებებისა და სხვა იმ პირთა საქმიანობის შინაარსს, რომლებსაც ევალებათ ბავშვების აღზრდა.

როგორც ითქვა, თხუთმეტ წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა მიერ ზიანის მიყენებისას ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მშობლებს, მეურვეებს, საბავშვო დაწესებულებებს და სხვ. ეს იმგვარად ხომ არ უნდა გავიგოთ, რომ ისინი პასუხს აგებენ ბავშვის მაგივრად? ეს საკითხი იურიდიულ ლიტერატურაში მწვავე დავას იწვევს. ავტორთა ნაწილის აზრით, მშობლები პასუხს აგებენ ბრალის გამო, რაც გამოიხატება არასრულწლოვანისადმი უმეტველყურებაში<sup>1</sup>. კერძოდ, ა. ი. პერგამენტი თვლის, რომ არასწორი იქნება მშობლების გათავისუფლება პასუხისმგებლობისაგან მაშინაც კი, თუ ისინი დაამტკიცებენ, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მათ არ შეეძლოთ მეთვალყურეობის გაწევა, თუ კი საქმიდან ჩანს და დადგენილია, რომ ბავშვი სწორად არ არის აღზრდილი<sup>2</sup>.

ავტორთა ერთი ნაწილის აზრით, მშობლის პასუხისმგებლობა დაფუძნებულია სხვის, თვითონ შვილების ბრალზე. მშობლები პასუხს აგებენ თავიანთ არასრულწლოვან შვილების ბრალისათვის. ისინი თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებენ, რომ ბავშვებს არ შეეძლოთ თავიდან აცილებინათ ზიანი<sup>3</sup>.

გ. მ. სვერდლოვის აზრით არასრულწლოვნების (15 წლამდე) მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებენ მშობლები, სულ ერთია მიუძღვით თუ არა მათ ბრალი ზედამხედველობის განუხორციელებაში. პასუხისმგებლობას იწვევს ბავშვების მიერ ზიანის მიყენების ფაქტი<sup>4</sup>.

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე პასუხს იძლევა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 464-ე მუხლი, რომელშიც ნათქვამია, რომ ჩამოთვლილი პირები პასუხს აგებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვერ დაამტკიცებენ, რომ ზიანის მიყენებაში მათ ბრალი არ მიუძღვით. მაშასადამე, კანონი ბავშვის ქმედობას კი არ თვლის აღნიშნულ პირთა პასუხისმგებლობის საფუძვლად, არამედ თვით მათ მოქმედებას ან უმოქმედობას.

მშობლების პასუხისმგებლობის საფუძვლად მიიჩნევა ბავშვებზე არასათანადო ზედამხედველობის გაწევა და მათი ცუდად აღზრდა.

ბავშვის მიერ ვინმესათვის ზიანის მიყენება, უპირველეს ყოვლისა, მშობლების უმოქმედობის შედეგია, რაც ბავშვის აღზრდისა და მასზე ზედამხედველობის გაწევის ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოიხატება. მშობლების უმოქმედობა გამოიხატება ბავშვის ცუდად აღზრდაში.

<sup>1</sup> იხ. Ответственность родителей за вред, причиненный детьми (обзор) «Советское государство и право», 1949 г., № 5, стр. 70—71; К. К. Яичков — Ответственность родителей за причиненный детьми вред «Социалистическая законность», 1950 г., № 6, стр. 37—38.

<sup>2</sup> იხ. А. И. Пергамент — К вопросу о правовом положении несовершеннолетних. «Ученые записки ВИЮН», вып. 3, Госюриздат, 1955 г., стр. 65—66.

<sup>3</sup> იხ. В. С. Талевосян — Ответственность родителей за вред, причиненный детьми. «Советское государство и право», 1949 г., № 4, стр. 30. В. С. Сereбровский — «Советское гражданское право», М., 1950 г., стр. 524.

<sup>4</sup> იხ. Г. М. Свердлов — Охрана интересов детей в советском семейном и гражданском праве, М., 1955 г., стр. 147.

თუ მშობლები თავიანთი მოქმედებით ხელს უწყობენ ბავშვის შეგნებაში ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო შეხედულებებისა და ჩვევების ჩამოყალიბებას, არ შეიძლება ვთქვათ, რომ ისინი ასრულებენ აღზრდის ვალდებულებას. ამიტომ მშობლების მიერ ბავშვის ცუდად აღზრდა, მასში ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო შეხედულებებისა და ჩვევების ჩამოყალიბება საზოგადოებრივი ინტერესების თვალსაზრისით უმოქმედობაა.

ბავშვებზე არასათანადო ზედამხედველობის გაწევა და მათი ცუდი აღზრდა შეიძლება მრავალი სახით გამოვლინდეს. მაგალითად, სასამართლომ მშობლების პასუხისმგებლობის საფუძვლად ჩათვალა ის, რომ ბავშვი ხანგრძლივი დროის განმავლობაში იზრდებოდა ღრმად მოხუცებულ ბებიასთან, რომელიც ფაქტიურად ვერ ახორციელებდა ბავშვზე ზედამხედველობას. უპატრონოდ მიტოვებული ბავშვი იპარავდა ნივთებს მეზობლის ბინიდან და აყენებდა მას ქონებრივ ზიანს.

მშობლების ცუდი ყოფაქცევა, ბილწსიტყვაობა და ჩხუბი ოჯახში, ბავშვების ჯანმრთელობისადმი, მათი ცხოვრების პირობების, კვების, ჰიგიენისადმი უყურადღებობა და სხვა მრავალი, შეიძლება გახდეს მშობლების პასუხისმგებლობის წარმოშობის საფუძველი ბავშვების მიერ ზიანის მიყენებისას.

ზოგიერთი ავტორის აზრით, მშობლების ბრალი ზიანის მიყენების მომენტში ბავშვზე უზედამხედველობაა. ავტორთა უმრავლესობა კი იმ აზრისაა, რომ მშობლების ბრალი დგება ბავშვზე არასათანადო ზედამხედველობისათვის როგორც ზიანის მიყენების მომენტში, ასევე მშობლების მიერ საერთოდ ბავშვების აღზრდის მოვალეობის შეუსრულებლობისათვის ზიანის მიყენებამდე<sup>5</sup>.

ეს მოსაზრება გაიზიარა სასამართლო პრაქტიკამაც რსფსრ უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1967 წლის 7 თებერვლის დადგენილებით მშობლების ბრალში ნაგულისხმევია როგორც სათანადო ზედამხედველობის გაუწევლობა ბავშვებისათვის ზიანის მიყენების მომენტში, ასევე უპასუხისმგებლობა მათი აღზრდისადმი ან და შევილების მიმართ თავიანთი უფლებების არამართლზომიერი გამოყენება, რასაც შედეგად მოჰყვა ბავშვების მხრივ — ზიანის მიყენება (ხულიანობა, ბავშვების უმეთვალყურეობა, უყურადღებობა და სხვა).

საბავშვო დაწესებულებათა პასუხისმგებლობის საფუძველია ბავშვებზე სათანადო ზედამხედველობის გაუწევლობა ზიანის მიყენების მომენტში. ამის თაობაზე ლიტერატურაში მრავალი შეხედულებაა გამოთქმული. პროფ. მ. მ. ავარკოვის აზრით, 14 წელს მიუღწეველი არასრულწლოვანის მიერ მიყენებული ზიანისათვის შესაბამის ვითარებაში პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ დაწესებულების (სკოლების, ბავშვთა სახლების და სხვა) თანამდებობის პირებს<sup>6</sup>.

<sup>5</sup> იხ. **К. К. Яичков** — Доклад в институте государства и права Академии наук СССР, «Советское государство и право», 1949 г., стр. 70. **О. С. Иоффе** — Обязательства по возмещению вреда, изд-во ЛГУ, 1952 г., стр. 59; **Ю. К. Толстой** — Новый Гражданский кодекс РСФСР, изд-во ЛГУ, 1965 г., стр. 370; **А. И. Пергамент** — К вопросу о правовом положении несовершеннолетних, «Ученые записки ВИЮН», Госюриздат, 1955 г., стр. 66; **М. В. Гордон** — Лекции по советскому гражданскому праву, ч. 2, изд-во Харьковского государственного университета, 1960 г., стр. 253; **Л. А. Майданик** — Ответственность за вред, причиненный недееспособным, «Социалистическая законность», 1962 г., № 7, стр. 33; Советское гражданское право, т. 2, «Юридическая литература», 1965, стр. 342.

<sup>6</sup> იხ. Советское гражданское право — Учебник для юридических институтов, 1944 г., т. 1, стр. 33.

ამავე მოსაზრებისაა ვ. ი. სერებროვსკი იურიდიული სკოლების სამოქალაქო სამართლის სახელმძღვანელოში<sup>7</sup>.

განიხილავს რა ამ საკითხს, ვ. ს. თადევოსიანი აღნიშნავს, რომ თუ ბავშვი საბავშვო სახლში ან სასწავლო დაწესებულებაში იმყოფებოდა, მაშინ პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის უნდა დაეკისროს პირს, რომლის მზრუნველობაშიც არის ბავშვი<sup>8</sup>.

ე. ა. ფლეიშიცი ჯერ კიდევ 1951 წელს აყენებდა საკითხს, რომ მომავალ სამოქალაქო სამართლის კოდექსს გაეთვალისწინებინა ნორმა, რომელიც ზუსტად განსაზღვრავდა მცირეწლოვნების მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელ პირთა წრეს. ე. ა. ფლეიშიცი მიუთითებდა ასევე, რომ საერთო წესის მიხედვით ასეთ პირებად მიჩნეული უნდა იქნენ მშობლები და მეურვეები, ხოლო ზიანისათვის, რომელიც მიყენებულია იმ დროს როცა ბავშვი სხვა პირების ზედამხედველობის ქვეშაა პასუხი უნდა აგონ ამ პირებმა<sup>9</sup>. მასთანადავს, საბავშვო დაწესებულება ქონებრივად მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს, თუ ბავშვი ზიანს მიაყენებს ვინმეს იმ მომენტში, როცა ზედამხედველობის გაწევა მას ევალეობოდა. საბავშვო დაწესებულებების პასუხისმგებლობის თავისებურება იმით არის გამოწვეული, რომ ბავშვის ძირითად აღმზრდელად მიიჩნევიან მშობლები ან მათი შემცვლელი პირები. ამიტომ საბავშვო დაწესებულება პასუხს აგებს არა ყველა, არამედ ბავშვის იმ მოქმედებაზე, რომლის აღკვეთაც მას შეეძლო, თუ სათანადო ზედამხედველობას განახორციელებდა.

საბავშვო დაწესებულებებში მყოფი ბავშვები სხვადასხვანაირ აღზრდას ღებულობენ ოჯახში. ზოგი მოითხოვს უფრო მეტ ყურადღებას და კონტროლს, ზოგიერთი კი უფრო ნაკლებს. საბავშვო დაწესებულებამ სასწავლო აღმზრდელობითი ღონისძიებანი ისე უნდა განახორციელოს, რომ თავიდან აიცილოს ბავშვების მიერ ვინმესადმი ზიანის მიყენება, მიუხედავად იმისა, თუ როგორ აღზრდას ღებულობენ ისინი ოჯახში.

არის შემთხვევები, როცა გამოირიცხულია საბავშვო დაწესებულებათა პასუხისმგებლობა. მაგალითად, როცა ბავშვი ზიანს აყენებს ვისმეს ქურდობით, იმ მომენტში, როდესაც მასზე ზედამხედველობა საბავშვო დაწესებულებას ევალეობოდა. ბავშვის (მცირეწლოვანის) მიერ ქურდობის ჩადენა საერთოდ მშობლების მიერ ბავშვის ცუდად აღზრდისა და ზედამხედველობის გაუწევლობის შედეგია და მშობლებმა უნდა აგონ პასუხი.

პრაქტიკაში ზოგჯერ წამოიჭრება საკითხი, თუ როგორ აგონ პასუხი ბავშვის მიერ მიყენებული ზიანისათვის მშობლებმა, რომლებიც განქორწინებულნი არიან ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ.

განქორწინების ან ცალ-ცალკე ცხოვრების ფაქტი არ ათავისუფლებს მშობლებს შვილების აღზრდის მოვალეობისაგან. მშობლები, რომლებიც ბავშვებთან ერთად არ ცხოვრობენ, ვალდებული არიან იზრუნონ მათს აღზრდაზე. ამიტომ ისინი საერთო წესით აგებენ პასუხს. რსფსრ-ს უმაღლესი სასამართლოს

<sup>7</sup> იხ. Советское гражданское право—Учебник для юридических школ, 1950 г., стр. 524.

<sup>8</sup> იხ. В. С. Тадевосян — Ответственность родителей за вред, причиненный детьми, «Советское государство и право», 1949 г., № 4, стр. 30

<sup>9</sup> იხ. Е. А. Флейшиц — Обязательство за причинения вреда и из неосновательного обогащения, 1951 г., стр. 105.



პლენუმის 1967 წლის 7 თებერვლის დადგენილებაში პირდაპირ არის მითითებული, რომ რეგისტრირებული ქორწინების შედეგად შობილ ბავშვების მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებს ორივე მშობელი, რადგან მათ აკისრიათ ბავშვების აღზრდის მოვალეობა. ასეთი მოვალეობისაგან არ თავისუფლდებიან ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლები<sup>10</sup>.

12 წლის ს. ლისტკოვმა თამაშის დროს ლითონის ფირფიტით თვალი გამოსთხარა 9 წლის ტ. ზახარკინას. დაზარალებულის მამამ მიმართა სასამართლოს ზარალის ანაზღაურების შესახებ. სახალხო სასამართლომ თვითუფლებად ტ. ზახარკინის სასარგებლოდ თვეში 7 მანეთი და 65 კაპიკი გადაიხდინა კვებისათვის და აკისრა და 12 მანეთი და 52 კაპიკი — თვალის პროტეზირებისა და სატრანსპორტო ხარჯებისათვის. ს. ლისტკოვის მამამ აკაცა ციო სიჩივარში მიუთითა, რომ ის ცალკე ცხოვრობს, შვილს ალიმენტს უხდის და ამიტომ პასუხს არ აგებს ბავშვის მიერ ჩადენილ საქციელზე. რსფსრ-ს უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა და მიუთითა რსფსრ-ს უმაღლესი სასამართლის პლენუმის 1967 წლის თებერვლის დადგენილების მე-5 პუნქტზე<sup>11</sup>.

განქორწინებული მშობელი მხოლოდ იმ შემთხვევაში გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ მეორე მშობელი ხელს უშლის მას ბავშვის აღზრდასა და ზედამხედველობის გაწევაში. პრაქტიკაში შეიძლება დაისვას საკითხი პასუხისმგებლობის შესახებ, როცა ზიანი მიყენებულია იმ ბავშვის მიერ, რომლის მშობლები არ იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში. ვფიქრობთ, ამ საკითხს სწორად სწყვეტს ა. ბელიაკოვა. ის აღნიშნავს, რომ ქორწინების გარეშე შობილი ბავშვის მიერ მიყენებული ზიანისათვის ორივე მშობელს დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის მიმართ დადგენილი იქნა მამობა. წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ დედას, რამდენადაც მას აკისრია ბავშვის აღზრდის იურიდიული მოვალეობა<sup>12</sup>.

არ შეიძლება ბრალეულად იქნან მიჩნეული არასწორი აღზრდისათვის, ან პასუხი აგონ მცირეწლოვანის მიერ ზიანის მიყენებისათვის პირებმა, რომლებიც მშობლების თხოვნით დაეთანხმნენ დროებით, მცირე დროით მიხედონ ბავშვს (მეზობელი, მეგობარი).

თხუთმეტიდან თვრამეტ წლამდე ასაკის არასრულწლოვანები მათ მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებენ საერთო საფუძვლებით, ე. ი. თვითონ უნდა აანაზღაურონ მიყენებული ზიანი. ამავე დროს მშობლები მშვილებლები ან მზრუნველები ყოველთვის როდი თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან. თუ თხუთმეტიდან თვრამეტ წლამდე ასაკის არასრულწლოვანს არა აქვს საკმარისი ქონება ან შემოსავალი რომ აანაზღაუროს ზიანი, ზიანის სათანადო ნაწილი უნდა აანაზღაურონ მისმა მშობლებმა, მშვილებლებმა ანდა მზრუნველებმა<sup>13</sup>.

სრულიად გამართლებულია, რომ ამ შემთხვევაში მშობლები სუბსიდიალურ

<sup>10</sup> იხ. О некоторых вопросах, возникших в практике судов при применении норм ГК РСФСР, регулирующих возмещение вреда, п. 5, постановление пленума Верховного суда РСФСР, № 36 от 7 февраля 1967 г.

<sup>11</sup> იხ. «Бюллетень Верховного суда РСФСР», 1970 г., № 11, стр. 1.

<sup>12</sup> იხ. А. Белякова — Субъекты ответственности за вред, причиненный несовершеннолетними и недееспособными лицами, «Советская юстиция», 1975 г., № 21, стр. 20.

<sup>13</sup> იხ. სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 465 მუხლი.

პასუხისმგებლობას ატარებენ და არა სრულს. როცა მცირდება ბავშვების აღზრდისა და მათზე ზედამხედველობის როლი ასაკთან დაკავშირებით, ცხადია, უნდა შემცირდეს მშობლების პასუხისმგებლობაც. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ მშობლები თავისუფლდებიან ყოველგვარი მოვალეობისგან შვილების მიმართ.

როგორც აღვნიშნეთ მშობლებმა, მშვილებლებმა, მზრუნველებმა უნდა აანაზღაურონ ზარალის ის ნაწილი, რომელთა დაფარვა თხუთმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვანებს არ შეუძლიათ. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ამ ასაკში არასრულწლოვანებს არ შეუძლიათ აანაზღაურონ მათ მიერ მიყენებული ზარალი განსაკუთრებით მაშინ, როცა ის მნიშვნელოვანია. სწორედ ასეთი შემთხვევისათვის აწესებს კანონი მშობლების ან მათი შემცვლელი პირების პასუხისმგებლობას. ასეთ ვითარებაში პასუხისმგებლობის სუბიექტები არიან, როგორც არასრულწლოვანი, ასევე მშობლები ან მათი შემცვლელი პირები, რაც განსაკუთრებული შემთხვევაა სამოქალაქო სამართალში. თუ რით არის ეს გამოწვეული უკვე ზემოთ ითქვა. თუმცა სასამართლო პრაქტიკაში ცნობილია შემთხვევები, როცა მხოლოდ არასრულწლოვანს აკისრებენ პასუხისმგებლობას.

„16“ წლის „ბ“ არსად არ მუშაობდა და რაიმე საშუალება თავისი ქურდობით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად არ გააჩნდა. მაგრამ ქ. კიევის პოდოლსკის რაიონის სახალხო სასამართლომ მის მშობლებს მაინც არ დააკისრა პასუხისმგებლობა და მთელი თანხა (331 მან.) არასრულწლოვან „ბ“-ს დააკისრა, თუმცა აშკარა იყო, რომ ასეთი ოდენობის თანხის გადახდა მას არ შეუძლო. შემდგომში იმავე სასამართლომ განაჩენის შეცვლასთან დაკავშირებით გამოიტანა დამატებითი განჩინება, რომლითაც მთელი თანხის გადახდა სამართალში მიცემულის დედას დააკისრა. ამრიგად, სასამართლოს შეცდომა მოუვიდა, როცა არ გაითვალისწინა არასრულწლოვანის ქონებრივი მდგომარეობა და მთელი თანხის გადახდა მას დააკისრა, ამას გარდა არ განიხილა დედისათვის ზიანის დაკისრების საკითხი, ის მხარედაც კი არ იყო მიწვეული სასამართლო პროცესზე და არ მისცემია სამოქალაქო მოპასუხის უფლებების და მოვალეობების განხორციელების საშუალება.

სასამართლომ სულ სხვა პოზიცია დაიჭირა ქურდობისათვის სამართალში მიცემული „ბ“-ს მიმართ. „ბ“ მუშაობდა კოლმეურნეობაში მწყემსად, ე. ი. ქონდა ზღვდასი. ზაპოროჟიის ოლქის ვოლნიანსკის სახალხო სასამართლომ ზარალის მთელი თანხის გადახდა მშობლებს დააკისრა (100 მანეთი). ამით კი სასამართლომ ფაქტიურად უსაფუძვლოდ გაათავისუფლა არასრულწლოვანი ქონებრივი პასუხისმგებლობისაგან<sup>14</sup>.

15—18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა მიერ მიყენებული ზიანისათვის საბავშვო დაწესებულება პასუხს არ აგებს. აქ ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება. ისეთ საბავშვო დაწესებულებებში, როგორცაა სკოლა-ინტერნატები და საბავშვო სახლები — ბავშვები დროის უდიდეს ნაწილს იქ ატარებენ. შეიძლება ითქვას, რომ ეს დაწესებულებები ძირითად აღმზრდელად გვევლინებიან. ამიტომ მიზანშეწონილი იქნება მათზე პასუხისმგებლობის დაკისრება 15—18 წლამდე არასრულწლოვანების მიერ მიყენებული ზიანისათვის, თუ

<sup>14</sup> იხ. «Советское государство и право», 1974 г., № 5, стр. 130.



ზიანის მიყენება გამოწვეული იყო არასრულწლოვანის ცუდი აღზრდისა და მასზე არასათანადო ზედამხედველობის გაწევის გამო.

პრაქტიკაში ზოგჯერ წამოიჭრება საშუალო სკოლების პასუხისმგებლობის საკითხი ბავშვების მიერ მიყენებული ზიანისათვის, რაც მოხდა საწარმოო სწავლების ან სხვა სასკოლო ღონისძიებების დროს. ქონებრივი პასუხისმგებლობა ამ დროს უნდა დაეკისროს შესაბამის სკოლას ან საწარმოს, სადაც საწარმოო სწავლებას გადიან. სკოლის ან საწარმოს პასუხისმგებლობის საფუძველია საწარმოო სწავლების ხელმძღვანელის და საწარმოო სწავლების ოსტატის — ბრალი. ამ პირების ბრალი გამოიხატება ცუდ ინსტრუქტაჟში, შრომის არასათანადო ორგანიზაციაში და სასწავლო საწარმოო პროცესებისადმი არასაკმარისი ზედამხედველობის გაწევაში.

აქვე უნდა ითქვას, რომ თხუთმეტიდან თვრამეტ წლამდე ასაკის არასრულწლოვანი თვითონ აგებს პასუხს, ხოლო სკოლა და საწარმო ატარებს დამატებით (სუბსიდიალურ) პასუხისმგებლობას.

ზემოთ განვიხილეთ პასუხისმგებლობის საკითხები, როცა ზიანი მიყენებულია არასრულწლოვანის მიერ. ახლა შევეხებით სამოქალაქო პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, როცა ზიანი თვით არასრულწლოვანს მიაყენეს.

უპირველეს ყოვლისა აქ უნდა გამოვყოთ საკითხი, როცა ზიანი მიაყენეს თხუთმეტ წლამდე არასრულწლოვანის ჯანმრთელობას. ადრე მოქმედი სამოქალაქო კოდექსები ამ საკითხს არ ითვალისწინებდნენ. მის თაობაზე გამოთქმული იყო მოსაზრებები ლიტერატურაში, შემუშავებულ იქნა აგრეთვე სასამართლო პრაქტიკა.

მ. მ. აგარკოვი ფიქრობდა, რომ თუ ზიანი, რომელიც მიაყენეს ბავშვს, გამოწვეულია ვინმეს ბრალით ან მომეტებული საფრთხის წყაროთი, დაზარალებულის მშობლის ან მეურვის ბრალით ან ერთად, მაშინ შეიძლება დაისვას საკითხი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 408-ე მუხლის გამოყენებისა<sup>15</sup>. ამავე მოსაზრებას მხარს უჭერენ ბ. ს. ანტიმონოვი<sup>16</sup>, ე. ა. ფლეიშიცი<sup>17</sup> და თ. ს. იოფე<sup>18</sup>.

ლ. ა. მაიდანკი და ნ. ი. სერგეევა თვლიან, რომ პირის ბრალმა, რომელიც ვალდებულია მეთვალყურეობა გაუწიოს ბავშვებს, არ შეიძლება გავლენა მოახდინოს ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობის აღმოცენებაზე და ამ შემთხვევაში არ დადგება სამოქალაქო სამართლის კოდექსის 408-მუხლის გამოყენების საკითხი<sup>19</sup>.

საკითხის სხვაგვარ გადაწყვეტას გვთავაზობს გ. მ. სვერდლოვი, რომელიც თვლის, რომ იმ პირის მოქმედების შეფასებას, რომელსაც ევალეობდა არასრულწლოვანზე ზედამხედველობის გაწევა, უნდა მიუღვეთ დიფერენციალუ-

<sup>15</sup> საქართველოს სსრ ადრე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 408-ე მუხლი ითვალისწინებდა — „ის პირი, რომელნიც მავნებლობას ერთად მიაყენებენ, პასუხს აგებენ დაზარალებულის წინაშე სოლიდარულად“.

М. М. Агарков — Вина потерпевшего в обязательствах из причинения вреда, «Советское государство и право», 1940 г., № 3, стр. 79

<sup>16</sup> იხ. Б. С. Антимонов — Значение вины потерпевшего при гражданском правонарушении, М., 1950 г., стр. 234—237.

<sup>17</sup> Е. А. Флейшиц — Обязательства из причинения вреда и из неосновательного обогащения, М., 1951 г., стр. 171.

<sup>18</sup> О. С. Иоффе — Обязательства по возмещению вреда, Л., 1952 г., стр. 59.

<sup>19</sup> იხ. Л. А. Майданик, Н. Ю. Сергеева — Материальная ответственность за повреждение здоровья, М., 1953 г., стр. 62—63.

რად. გ. მ. სვერდლოვი უერთდება ადრე გამოთქმულ მოსაზრებას ზიანის მიმყენებლისა და ზედამხედველობაზე ვალდებული პირის სოლიდარული პასუხისმგებლობის შესახებ. ამავე დროს სვერდლოვის აზრით, ბავშვების წინაშე მშობლების პასუხისმგებლობის (ზიანის მიმყენებელთან სოლიდარულად) საკითხის დასმა დაუშვებელია. მშობლების მოვალეობა თავიანთი შვილების ზედამხედველობაზე და პასუხისმგებლობა ამ ვალდებულების დარღვევისათვის მოწესრიგდება არა სამოქალაქო, არამედ საოჯახო სამართლით. ბავშვებს არ შეუძლიათ მატერიალურად აგონ პასუხი მშობლების მოქმედებისათვის, რაც დაკავშირებულია მშობლების აღზრდის მოვალეობასთან, ისევე როგორც მშობლები არ აგებენ პასუხს მატერიალურად შვილების წინაშე ზიანისათვის, რაც დაკავშირებულია მითითებული მოვალეობის არასათანადოდ შესრულებასთან.

სამოქალაქო სამართლებრივი მატერიალური პასუხისმგებლობის დადგენა შეარყევდა იმ საფუძველს, რომლითაც განისაზღვრება მშობლისა და შვილების უფლებები და მოვალეობანი. ამიტომ ბავშვის სარჩელი დედისა და მამის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ, რაც აღმოცენდება სათანადო ზედამხედველობის გაუწევლობის შედეგად — უაზრობაა<sup>20</sup>.

სამოქალაქო სამართლის მოქმედმა კოდექსმა სპეციალურად გაითვალისწინა პასუხისმგებლობა თხუთმეტი წლის ასაკს მიუღწეველი მოქალაქის ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 478-ე მუხლით გათვალისწინებულია, რომ „იმოქალაქის დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანების შემთხვევაში, რომელსაც თხუთმეტი წელი არ შესრულებია და შრომითი შემოსავალი არა აქვს, ზიანისათვის პასუხისმგებელი ორგანიზაცია ან მოქალაქე, მოვალეა აანაზღაუროს დაზარალებულის ჯანმრთელობის აღდგენის აუცილებელი ხარჯები“.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1973 წლის 1 მარტის დადგენილებით, 15 წლამდე ასაკს მიუღწეველი პირის ზიანის მიყენებისას, ზარალის ანაზღაურება წარმოებს რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 465-ე მუხლის. შესაბამისად (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 478-ე მუხლი).

სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს ასევე გადაწყვეტილება არასრულწლოვანის უფლების ცნობის შესახებ, 15 წლის ასაკის მიღწევისას მოითხოვოს შრომის უნარის დაკარგვით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება.

თუ 15 წლის ასაკს მიუღწეველ არასრულწლოვან მოქალაქეს, ვნების მიყენების მომენტისათვის ჰქონდა შრომითი შემოსავალი, მას უნდა აუნაზღაურდეს ზიანი იმ შემოსავლის მიხედვით, ოღონდ ეს საზღაური არ უნდა იყოს იმ ადგილის არაკვალიფიციური მუშის უმცირეს ხელფასზე ნაკლები. თუ პირი არ მუშაობდა ზიანის მიყენების მომენტში და შემდეგ გახდება თხუთმეტი წლის, კანონი ადგენს, რომ ზიანისათვის პასუხისმგებელი ორგანიზაცია ან მოქალაქე მოვალეა აუნაზღაუროს აგრეთვე შრომის უნარის დაკარგვისა ან შემცირებასთან დაკავშირებული ზიანიც იმ საშუალო ხელფასის კვალობაზე, რაც იმ ადგილას აქვს არაკვალიფიციურ მუშას.

თუ შევადარებთ ერთმანეთს ამ ორ წესს, ვნახავთ, რომ დაზარალებულს,

<sup>20</sup> იხ. Г. М. Свердлов — Охрана интересов детей в советском семейном и гражданском праве, М., 1955 г., стр. 122—126.

რომელსაც 15 წლის ასაკისათვის არ მიუღწევია და რომელიც მუშაობდა ზიანის მიყენების მომენტამდე, ზარალი უფრო მცირე მოცულობით აუნაზღაურდება (არაკვალიფიციური მუშის უმცირესი ხელფასი), ვიდრე იმავე ასაკის დაზარალებულს, რომელიც არ მუშაობდა (საშუალო ხელფასიდან) ვფიქრობთ მიზანშეწონილი იქნება ორივე შემთხვევაში დაწესდეს ანაზღაურების ერთიანი წესი.

შრომითი საქმიანობის დაწყების შემდეგ დაზარალებულს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად ამ კვალიფიკაციის მუშაკის გასამრჩელოს კვალობაზე გადიდდეს საზღაური ზიანისა, რაც მან ჯანმრთელობის დაზიანების გამო შრომის უნარის შემცირებით განიცადა (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 478-ე მუხლის მეოთხე ნაწილი).

ეს საკითხი პრაქტიკაში ყოველთვის ერთნაირად არ წყდება. ზოგჯერ ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავენ პირველი კვალიფიკაციის მიხედვით, ზოგჯერ კი იმ კვალიფიკაციის მიხედვით, რომელიც დაზარალებულს ჰქონდა სასამართლოში მიმართვის დღეს. ეს საკითხიც დაზუსტებას მოითხოვს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ პასუხისმგებლობას ვაკისრებთ იმ პირებს, რომლებიც ვალდებულნი არიან თვალყური ადევნონ მცირეწლოვანებს და არასრულწლოვანებს, როდესაც ისინი თავიანთი მოქმედებით ზიანს აყენებენ სხვა პირებს, მაშინ ისმება კითხვა — იგივე პრინციპი უნდა იქნეს გადმოტანილი მაშინ, როცა დაზარალებული არასრულწლოვანია. საკითხის დადებითად გადაწყვეტა ნიშნავს, რომ თუ არ იყო სათანადო ზედამხედველობა არასრულწლოვანზე ამისათვის ვალდებული პირების მხრივ, არასრულწლოვანებისათვის ზიანის აღმოცენებისას მესამე პირი ე. ი. ზიანის მიმყენებელი მთლიანად ან ნაწილობრივ უნდა გათავისუფლდეს არასრულწლოვანისათვის ზიანის ანაზღაურებისაგან.

სასამართლო პრაქტიკა თვლის, რომ იმ პირის ბრალი, რომელიც ვალდებული იყო მეთვალყურეობა გაეწია არასრულწლოვანებისათვის, მხედველობაში მიიღება ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობისა და ზიანის მოცულობის საკითხის გადაწყვეტის დროს.

ასეთი მოსაზრება გამოთქვა უკრაინის სსრ უმაღლეს სასამართლოს კოლეგიამ ლორბელის საქმეზე<sup>21</sup>, რსფსრ-ს უმაღლესმა სასამართლომ „ტ“-ს საქმეზე<sup>22</sup>, სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ კუდუხაშვილის საქმეზე<sup>23</sup>.

ამ შემთხვევაში სასამართლოები გამოდიან იქიდან, რომ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 405-ე მუხლი გამოიყენება მაშინ, როდესაც ზიანი მიადგა არასრულწლოვანს.

დელიქტურ ვალდებულებებში არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობა და უფლებები მეტად მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

<sup>21</sup> იხ. **Е. Н. Данилова** — Обеспечение увечных в порядке социального страхования и по Гражданскому кодексу, М., 1927 г., стр. 148

<sup>22</sup> იხ. «Сборник разъяснений Верховного суда РСФСР», М., 1935 г., стр. 83.

<sup>23</sup> იხ. «Сборник постановлений Пленума и определений Коллегии Верховного суда СССР», М., 1940 г., стр. 157.

# მოქალაქის აუდიტოლოგის გუნება და პასუხისმგებლობის დასაბუთების პრობლემა საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით

## 2. ნაშთები

საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებაში პასუხისმგებლობის დასაბუთების გამოკვლევას მრავალი საინტერესო ნაშრომი მიეძღვნა. შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი მოქმედების აუცილებლობის ბუნება, რის გამოც დიალექტიკური დეტერმინიზმისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიმართების პრობლემა ნათლად არ არის გამოკვეთილი. გაბატონებული აზრით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მეთოდოლოგიური საფუძველია დანაშაულის სუბიექტის შესაძლებლობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოიქცეს სხვანაირად, ვიდრე ფაქტიურად მოიქცა. დეტერმინიზმის ყველა სხვა სახეობა, რომელიც უარყოფს სხვანაირად მოქცევის შესაძლებლობას, ანტიდიალექტიკურად არის მიჩნეული. მაგრამ მაშინ რა კრიტერიუმით უნდა გავემიჯნოთ ინდეტერმინიზმს?

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ინდეტერმინიზმი პრინციპულად უარყოფილია როგორც აბსოლუტური, უპირობოდ თავისუფალი ნებისყოფის იდეალისტური კონცეფცია, ამასთან ხშირად მხედველობიდან რჩებათ, რომ ინდეტერმინიზმი ამგვარი დახასიათებით ლოგიკურად შეიცავს სხვანაირად მოქცევის უპირობო შესაძლებლობის პოსტულატს, რომელიც განსაკუთრებულ წინააღმდეგობას აწყდება სისხლის სამართალში, რადგან უარყოფს რა კონკრეტული დანაშაულებრივი ქცევის აუცილებლობას, აბსოლუტური შემთხვევითობის დამყვების გამო თვით სისხლის სამართლის საგნის დაფუძნების შეუძლებლობამდე მიდის. ინდეტერმინიზმის დახასიათებისათვის ეს ნიშანია არსებითი. ცნობილია ინდეტერმინიზმის ისეთი კონცეფცია, რომელიც დეტერმინისტების მკაცრი კრიტიკის ზეგავლენით ქცევის მოტივით განსაზღვრულობის აღიარებამდე მიდიოდა, მაგრამ მოტივის თავისუფალ არჩევანს უშვებდა, რის გამოც სხვანაირად მოქცევის უპირობო შესაძლებლობის პოსტულატი ხელუხლებელი რჩებოდა.

მაშასადამე, დგება პრობლემა: თუ სხვანაირად მოქცევის შესაძლებლობის უარყოფა ანტიდიალექტიკური დეტერმინიზმის ნიშანია, ხოლო მისი უპირობო დაშვება ინდეტერმინიზმის არსებას შეადგენს, როგორი უნდა იყოს დიალექტიკური დეტერმინიზმის არსება და რა როლი ეკუთვნის მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემის სწორ გადაწყვეტაში?

ერთ სტატიაში ამ პრობლემის ამომწურავი ანალიზი შეუძლებელია. შევეხებით მხოლოდ ზოგიერთ ძირითად მომენტს.

ჩვენი აზრით, სხვანაირად მოქცევის შესაძლებლობის ყოველგვარი უარყოფა ისევე მცდარია, როგორც მისი ყოველგვარი აღიარება. ამის დამტკიცებას გზადაგზა შევეცდებით. აქ მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში გამოყენებული დეტერმინისტული კონცეფციების განურჩე-

ველი კრიტიკა შეიძლება ინდეტერმინისტული დასკვნების საფუძველი ვახდეს. მაგალითად, ნ. დ. ღურმანოვი ვარგას დებულებას — „ადამიანებს ყოველ მოცემულ მომენტში არ შეუძლიათ იფიქრონ, უნდოდეთ, მოითხოვონ, მოიქცენ სხვანაირად, ვიდრე ფიქრობდნენ, უნდოდათ, ითხოვდნენ, იქცოდნენ“ — ვულგარულ-მატერიალისტურ, ფატალისტურ კონცეფციას უწოდებს.<sup>1</sup> მაშასადამე, ავტორმა დიალექტიკურ დეტერმინიზმთან კონფლიქტის გარეშე უნდა დაამტკიცოს, რომ ერთსა და იმავე პიროვნებას ერთსა და იმავე დროს შეუძლია სხვანაირად მოიქცეს, ვიდრე იგი იქცევა, მაგრამ ამის დამტკიცება ავტორს არ უტლია.

თვით ბ. ს. უტევსკიც კი, რომელსაც საბჭოთა სისხლის სამართალში ფატალიზმის შემომტანი უწოდეს, აცხადებს, რომ ადამიანი ფატალისტურად როდია განწირული იმოქმედოს მხოლოდ ასე და არა სხვანაირად, არ არკვევს საკითხს, თუ რა განსხვავებაა ერთსა და იმავე ადამიანის მიერ ერთსა და იმავე დროს სხვადასხვანაირად მოქცევის შეუძლებლობასა და ფატალისტურ კონცეფციას შორის.<sup>2</sup> თუმცა ბ. ს. უტევსკი ლოგიკურად ვერ მივიდოდა დიალექტიკური დეტერმინიზმისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიმართების გამოკვლევამდე, რადგან გამოაცხადა რა დამნაშავე არათავისუფალ არსებად, პასუხისმგებლობის პრობლემა ფსიქოლოგიური მეცნიერების სიბრტყეში გადაიტანა.<sup>3</sup> ფსიქოლოგიური მეცნიერების მნიშვნელობა სისხლის სამართალში უდავოა, მაგრამ დანაშაულებრივი ქცევის დეტერმინისტული კონცეფცია ფილოსოფიური მეთოდოლოგიის გარეშე გაუგებარი იქნებოდა. უკეთეს მდგომარეობაში ამ მხრივ არც ის კრიმინალისტები არიან, რომლებიც მკაცრად აკრიტიკებენ ბ. ს. უტევსკის პოზიციას, მაგრამ ნებისყოფის თავისუფლების ფილოსოფიურ პრობლემას შერაცხადობის საკანონმდებლო ცნებასთან აიგივებენ.<sup>4</sup> სხვანაირად რომ ვთქვათ, მათი კონცეფცია ნებისმიერი ქცევის ფსიქოლოგიური კონცეფციისაგან, რომელიც ბ. ს. უტევსკის თეორიაში პასუხისმგებლობის საფუძველია. აზრთა ეს ფაქტობრივი ერთიანობა, როგორც ჩანს, გარკვეული ფსიქოლოგიზმის საფუძველზეა მიღწეული. ეს საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ სისხლის სამართლის მეცნიერება ფილოსოფიური მეთოდოლოგიისაგან იზოლაციის საფრთხეს ვერ ასცდება, თუ დანაშაულებრივი ქცევის დეტერმინისტული კონცეფცია თანმიმდევრულად არ იქნა გამოყენებული. ამას ხელს უშლის ის გარემოება, რომ საბჭოთა სისხლის სამართალში თავისუფლების პრობლემა ხშირად არჩევანის თავისუფლებამდეა დაყვანილი. გარდა ამისა, ფ. ენგელსის ცნობილი დებულება — „ნებისყოფის თავისუფლება არის საქმის ცოდნით გადაწყვეტილების მიღების უნარი“ — მის მსჯელობათა სისტემიდან იქნა ამოღებული, რის გამოც პრობლემამ ფილოსოფიური მნიშვნელობა დაკარგა, რაც ეწინააღ-

<sup>1</sup> Н. Дурманов. Понятие преступления, АН СССР. М.-Л., 1948, стр. 21.

<sup>2</sup> Б. С. Утевский. Вина в советском уголовном праве, М., 1950 г., стр. 38.

<sup>3</sup> იქვე, 33-41.

<sup>4</sup> Б. С. Маньковский. Проблема ответственности в уголовном праве, АН СССР, 1948 г., стр. 63; Я. М. Брайнин. Уголовная ответственность и ее основание в советском уголовном праве, М., 1963 г., стр. 77; П. С. Дагель. Проблема вины в советском уголовном праве. Ученые записки Дальневосточного государственного университета. Выпуск 21, часть I, Владивосток, 1968 г., стр. 8; А. А. Пионтковский. Курс советского уголовного права в шести томах, т. II, М., 1970 г., стр. 231.

მდგეგმა თავისუფლებისა და აუცილებლობის შესახებ ფ. ენგელსის დებულებათა ძირითად შინაარსს. საქმის ეს ვითარება სავსებით სწორად შენიშნეს პროფ. თ. წერეთელმა<sup>5</sup> და ვ. მაყაშვილმა<sup>6</sup>, როცა ფ. ენგელსის დასახელებული დებულების ასეთ ინტერპრეტაციას დაუპირისპირეს იმავე შრომაში გამოთქმული დებულებები თავისუფლებისა და აუცილებლობის შესახებ. ფ. ენგელსის აზრით, რაც უფრო თავისუფალია ამა თუ იმ ადამიანის მსჯელობა განსაზღვრული საკითხის მიმართ, მით უფრო მეტი აუცილებლობით განისაზღვრება ამ მსჯელობის შინაარსი, მაშინ როდესაც უცოდინარობაზე დაყრდნობილი დაურწმუნებლობა, რომელიც თითქოს თვითნებურ არჩევანს ახდენს მრავალ სხვა და სხვა, ერთიმეორის საწინააღმდეგო შესაძლებელ გადაწყვეტილებებს შორის, ამით სწორედ თავის არათავისუფლებას ამტკიცებს, თავის დამორჩილებას იმ საგნებისადმი, რომელნიც მას უნდა დაემორჩილებინა. მაშასადამე, თავისუფლება მდგომარეობს ბუნებრივ აუცილებლობათა შემეცნებაზე დაყრდნობილ ბატონობაში თვით ჩვენს თავზე და გარეგან ბუნებაზე.“<sup>7</sup>

ნათელი უნდა იყოს, რომ ფ. ენგელსი აქ ჭეშმარიტი დეტერმინისტია. რაც უფრო ღრმაა საქმის ცოდნა, მით უფრო ნაკლებია თვითნებობა და მით უფრო მეტია თავისუფლება, რომელიც აუცილებლობის შემეცნებითი მოხსნის პროცესის ობიექტური და სუბიექტური მომენტების გარკვეული ერთიანობის გამო სხვანაირად მოქცევის შეუძლებლობით ვლინდება. ეს ასეა, რადგან სუბიექტის ცნობიერება და ნებისყოფა მოცემულ მომენტში ამ და არა სხვა საგნის დამორჩილების მიზნით არის დეტერმინირებული და ასეთ პირობებში სხვანაირად მოქცევის შესაძლებლობის დაშვება უაზრო თვითნებობა იქნებოდა.

ფ. ენგელსს თუმცა თავისუფლების ზოგადგნოსეოლოგიური ასპექტი აქვს მხედველობაში, მაგრამ ამავე ასპექტიდან გამომდინარეობს, რომ ადამიანი ყოველ მოცემულ მომენტში რაღაცნაირად იქცევა და ამავე მომენტში არ შეუძლია აგრეთვე სხვა ქცევა განახორციელოს. ამიტომ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფ. ენგელსის ეს დებულება საზოგადოდ მოქმედების აუცილებლობის ფილოსოფიურ დასაბუთებას წარმოადგენს. მოქმედების აუცილებლობა კი შესანიშნავად უკავშირდება დეტერმინიზმის იდეას. ვ. ი. ლენინი წერდა: „დეტერმინიზმის იდეა ამტკიცებს ადამიანის მოქმედების აუცილებლობას, უარჰყოფს უაზრო ზღაპარს ნებისყოფის თავისუფლების შესახებ, მაგრამ სრულიადაც არ სპობს არც ადამიანის გონებას, არც სინდისს, არც მისი მოქმედების შეფასებას. სრულიად პირიქით, მხოლოდ დეტერმინისტული შეხედულების დროსაა შესაძლებელი მკაცრი და სწორი შეფასება და არა ყველაფრის თავზე მოხვევა თავისუფალი ნებისყოფისათვის.“<sup>8</sup>

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად იმოწმებენ ვ. ი. ლენინის ამ დებულებას, მაგრამ, ჩვენი აზრით, თანმიმდევრული დეტერმინისტული ინტერპრეტაციისა და დასკვნების გარეშე, რის გამოც ისე ჩანს, თითქოს დეტერმინიზმი ობიექტურია და ამიტომ საკპარისი არ არის პასუხისმგებლობის დასაბუ-

<sup>5</sup> თ. წერეთელი, აუცილებლობისა და თავისუფლების დიალექტიკა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება, „მნათობი“, 1955, № 10, გვ. 179.

<sup>6</sup> В. Г. Макашвили. Уголовная ответственность за неосторожность, Госюриздат, 1957 г., стр. 70.

<sup>7</sup> ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 136.

<sup>8</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 176.

თებისათვის, რომელსაც აუცილებლად სჭირდება ნებისყოფის თავისუფლება როგორც სუბიექტური. მაგალითად, ვ. ა. ნომოკონოვი, რომელმაც ნებისყოფის თავისუფლების პრობლემას საბჭოთა სისხლის სამართალში პირველმა მიუძღვნა საკანდიდატო დისერტაცია, ამტკიცებს; რომ „ადამიანის ქცევის გარემოთი დეტერმინაციის აღიარება არ ნიშნავს თავისი ქცევების განსაზღვრაში, ქცევის მიმართულების არჩევაში ადამიანის აქტიური როლის უარყოფას“.<sup>9</sup>

ჩვენი აზრით, დეტერმინიზმის ასეთი აბსტრაქტული დახასიათება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის რთულ პრობლემას დანაშაულებრივი ქცევის დეტერმინისტულ კონცეფციაზე ვერ დააფუძნებს. მართლაც, ავტორს ნებისყოფის თავისუფლების ცნებაში ესმის დამნაშავეის სრული თავისუფლება<sup>10</sup> მოიქცეს ასეც და ისეც, მაგრამ სინამდვილეში ავტორი ნებისმიერი ქცევის ფსიქოლოგიურ დახასიათებას იძლევა. იგი თვითონვე აღიარებს, რომ „საქმის ცოდნით გადაწყვეტილების მიღების უნარი არსებითად ემთხვევა ნებისყოფის თავისუფლების ფსიქოლოგიურ კრიტერიუმს“.<sup>11</sup>

ამრიგად, ნებისყოფის თავისუფლების ფილოსოფიური ასპექტი, რომელიც სისხლის სამართალში დანაშაულებრივი ქცევის დეტერმინისტულ კონცეფციას გამოხატავს, ავტორის მიერ ნებისმიერი ქცევის ფსიქოლოგიურ კონცეფციამდეა დაყვანილი, რის გამოც ავტორის ცდა, რომ ნებისყოფის თავისუფლების პრობლემა საბჭოთა სისხლის სამართალში „პიროვნება — სიტუაციის“ ასპექტით გამოიკვლიოს, მიზანს ვერ აღწევს. სახელდობრ, „პიროვნება-სიტუაციის“ მიმართებამ შეიძლება ცალკეული „ექსცესი“ გამოავლინოს, მაგრამ არა დანაშაულებრივი ქმედობა, რომელიც დამნაშავეობასთან მიმართების გარეშე არსებითად გაუგებარი იქნებოდა. ამასთან როგორც კი დამნაშავეობისა და კონკრეტული დანაშაულის მიმართების გამოკვლევაზე გადავალთ, აღმოჩნდება, რომ ჩვენ საქმე გვაქვს აუცილებლობისა და შემთხვევითობის დიალექტიკურ პროცესთან, რომელიც მხოლოდ დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძველზე შეიძლება ავსხნათ და გავიგოთ.

მართლაც, აუცილებლობისა და შემთხვევითობის დიალექტიკური კონცეფციის თანახმად ყოველ მოვლენას აქვს როგორც აუცილებელი, ისე შემთხვევითი მხარე. აუცილებელი მხოლოდ აუცილებელი და შემთხვევითი მხოლოდ შემთხვევითი როდია. როგორც სწორად მიუთითებს პროფ. გ. თევზაძე, „რაიმე მოვლენა შეიძლება შემთხვევითი იყოს მხოლოდ პროცესის წინმავალი ნაწილის მხრიდან განხილული“.<sup>12</sup> მაგრამ შემთხვევითიც აუცილებელია, რადგან თავისი განხორციელების კონკრეტული საფუძვლები აქვს. დამნაშავეობის კანონზომიერებასთან მიმართებაში კონკრეტული დანაშაული შემთხვევითია,<sup>13</sup> მაგრამ თავისი განხორციელების ობიექტური და სუბიექტური საფუძვლების მიმართ — ისეთი აუცილებელი, რომელიც ამ პირობებში არ შეიძლება სხვანაირი იყოს, ვიდრე არის. ამიტომ ვერ დავეთანხმებით გავრცელებულ აზრს, თითქოს აუცილებლობისაგან განსხვავებით „შემთხვევითი მოვლენები აუცილებლივ არ გამო-

<sup>9</sup> В. А. Номоконов. Проблема свободы воли в советском уголовном праве. Автореферат на соискание ученой степени кандидата юридических наук, Свердловск, 1974 г., стр. 5.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 10.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 13.

<sup>12</sup> გ. თევზაძე, ვერმანული ნეოკანტაიანელობის შემეცნების თეორია, თბილისი, 1963, გვ. 48.

<sup>13</sup> Т. В. Церетели. Причинная связь в уголовном праве. М., 1963 г., стр. 135.

დინარეობენ მოცემული პრობებისაგან, ან მათთან შორეულ კავშირში არიან<sup>14</sup>, და რომ ამიტომ მათ მოცემულ პირობებში შეუძლიათ იყონ და არც იყონ, შეუძლიათ განხორციელდნენ ასეც და ისეც. შემთხვევითის ასეთი გაგება არსებით გაუგებრობას იწვევს. რაც მთავარია, იგი მიზეზობრიობისა და აუცილებლობის გაიგივების წყაროა. მაგალითად, ჯ. ა. ქერიმოვის აზრით, ადამიანის ყოველგვარი მოქმედება მიზეზობრივადაა განპირობებული, მაგრამ ყველა მიზეზობრივად განპირობებული მოქმედება აუცილებელი რომ ყოფილიყო, მაშინ „მოგვიხდებოდა ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე გვემართლებინა ადამიანთა ყველა, მათ შორის, დანაშაულებრივი ქცევაც“.<sup>15</sup>

ავტორს, როგორც ჩანს, მიზეზობრიობისა და აუცილებლობის განსხვავების დიალექტიკური კონცეფცია აქვს მხედველობაში, მაგრამ მისი დასკვნიდან გამომდინარეობს, რომ კონკრეტული დანაშაული კანონზომიერებას მოწყვეტილი აბსოლუტური შემთხვევითობაა და მაშინ დამნაშავეობა არ არსებობს, ან არსებობს, მაგრამ აბსოლუტური აუცილებლობის სახით, რომელიც არ ვლინდება ცალკეული დანაშაულით, მაშასადამე, ამ სფეროში არაფერი არ მოძრაობს, ყველაფერი გაყინულია და ა. შ.

ამრიგად, ჯ. ა. ქერიმოვის დასკვნის ლოგიკურმა ჩაჭვმა ნაცვლად მიზეზობრიობისა და აუცილებლობის განსხვავებისა, მათ სრულ გაიგივებამდე მიგვიყვანა. ამიტომ აღიარებული დებულება: „უმიზეზო არაფერია, მაგრამ რასაც მიზეზი აქვს, ყველაფერი აუცილებელი როდია“, უფრო ზუსტი იქნება ამ სახით: „უმიზეზო არაფერია, მაგრამ რასაც მიზეზი აქვს, ყველა მიმართებაში როდია აუცილებელი“. ამით ისაა ნათქვამი, რომ კონკრეტული დანაშაული შემთხვევითია ზოგადობასთან მიმართებაში და ამ აზრით იგი შეიძლება არ ყოფილიყო, მაგრამ თავისი კონკრეტული მიზეზისა და მოტივის მიმართ იძენდა აუცილებელია, რომ ამ პირობებში შეუძლებელია იყოს და არც იყოს, ან იყოს სხვაგვარად, ვიდრე არის.

ამ დებულების უგულვებელყოფას მრავალი გაუგებრობა მოსდევს. მართლაც, კონკრეტული დანაშაული შემთხვევითია, მაგრამ თუ შემთხვევითი მოცემულ პირობებში შეიძლება იყოს და შეიძლება არც იყოს, შეიძლება იყოს ასეც და ისეც, მაშინ გამოდის, რომ დამნაშავეს მოცემულ სუბიექტურ და ობიექტურ პირობებში შეუძლია მოიქცეს ასეც და ისეც. ნათელია, რომ შემთხვევითის ასეთი გაგება აშკარად ემთხვევა აბსოლუტური შემთხვევითობის ინდეტერმინისტულ კონცეფციას, რომელიც არსებითად ვერ დააფუძნებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რადგან ვერ პასუხობს კითხვაზე, თუ რისთვის უნდა აგოს დამნაშავემ პასუხი. დამნაშავე დანაშაულისათვის აგებს პასუხს, მაგრამ დანაშაული მოცემულ ობიექტურ და სუბიექტურ პირობებში ისე ხორციელდება, როგორც უნდა განხორციელებულიყო. ეს ასე რომ არ იყოს, თვით სისხლის სამართლის საგნის უარყოფამდე მივიდოდით. უფრო მეტიც, შემთხვევითის ეს კონცეფცია სისხლის სამართლის პროცესს უაზრობად აქცევდა. შემთხვევითის ამ კონცეფციის თანახმად მოცემულ კონკრეტული დანაშაულის მიზეზებისა და მოტივების გამოკვლევა ჭერ კიდევ არ იძლევა იმის ცოდნას, თუ რა პირობებში განხორციელდა იგი. მაშასადამე, სისხლის სამართლის პროცეს-

<sup>14</sup> Л. А. Куликов. Понятие детерминизма в марксистско-ленинской философии, учебное пособие для ВУЗОВ. М., 1973 г., стр. 41

<sup>15</sup> Д. А. Керимов. Философские проблемы права, «Мысль», М., 1972 г., стр. 464.



ში ყოველი კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე აბსოლუტური ჰუმანიტარული დადგენის მოთხოვნა ფიქცია იქნებოდა, რომ ყოველი კონკრეტული დანაშაული სხვაგვარად ხორციელდებოდა, ვიდრე იგი ფაქტიურად განხორციელდა.

და ბოლოს, შემთხვევითი ეს კონცეფცია ვერ დააფუძნებს ქცევისა და შედეგის კავშირს: დანაშაულის ქცევის შედეგი, რომელიც კონკრეტულ პირობებში განხორციელდა, დანაშაულის მიეწერება და მაშინ შეუძლებელი უნდა ყოფილიყო სხვა ქცევა, ვიდრე იყო. თუ საწინააღმდეგოს დავუშვებთ, გამოვა, რომ დანაშაულის ქცევა არ ყოფილა მიმართული ამ შედეგისკენ, მაშასადამე, იგი მისთვის სავსებით გარეგანია და მის ქცევასთან არ შეიძლება რამენაირად დაკავშირდეს. ნათელი უნდა იყოს, რომ ქცევა არ ხორციელდება ქცევისათვის: ქცევა გარკვეული შედეგისაკენ არის მიმართული. ეს იმას ნიშნავს, რომ ქცევისა და შედეგის ობიექტური კავშირი ამ ქცევის აუცილებლობასაც ასაბუთებს. ამიტომ ვერ გავიზარებთ ი. მ. ბრაინინის აზრს, თითქოს აუცილებელი ქცევასა და შედეგს შორის კავშირია და არა დანაშაულებრივი ქმედობა.<sup>16</sup> ავტორს მხედველობაში აქვს „ძირეული აუცილებლობა“, რომელიც, მისი აზრით, სოციალიზმის დროს სულაც არ ვლინდება დანაშაულში. მაგრამ კონკრეტულ დანაშაულებრივ ქცევაში ყოველგვარი აუცილებლობის უარყოფა ქცევისა და შედეგის აბსოლუტურ გათიშვამდე მიგვიყვანს და ავტორის აზრი, რომ ქცევასა და შედეგს შორის აუცილებელი კავშირია, ფიქცია აღმოჩნდება. უფრო მეტიც, ჩვენ იძულებული ვიქნებით დავასკვნათ, რომ ადამიანს არ შეუძლია გაითვალისწინოს მისი ქცევის თანამდევი გვერდითი შედეგები. ეს დასკვნა კი გაუფრთხილებლობის უარყოფამდე მიგვიყვანდა. ამიტომ ვერ დავეთანხმებით პ. ს. დაგელის ასეთ მსჯელობას: შემთხვევითია მოვლენა, რომელიც „გარკვეული პირობათა ერთობლიობის განხორციელებისას შეიძლება განხორციელდეს და შეიძლება არაა“.<sup>17</sup> ამავე დროს ავტორი ამტკიცებს, რომ დანაშაულის შეუძლია გაითვალისწინოს მისი ქცევის შემთხვევითი შედეგები. მაგრამ თუ შემთხვევითი მოცემულ პირობათა ერთობლიობაზე დამოკიდებული არაა, თუ კონკრეტულ პირობებში იგი შეიძლება იყოს და შეიძლება არც იყოს, ან იყოს ასეც და ისეც, მაშინ მისი გათვალისწინება არსებითად შეუძლებელია, რადგან ეს არის აბსოლუტური, წმინდა შემთხვევითობა და არა შემთხვევითობის დიალექტიკურ-მატერიალისტური კონცეფცია.

ამრიგად, დანაშაულებების მიმართ კონკრეტული დანაშაული შემთხვევითია, მაგრამ იგი სავსებით მოწყვეტილი როდია აუცილებლობის მომენტს არა მარტო მიზეზობრიობის ასპექტში, არამედ თვით ადამიანის შეგნებულ, თავისუფალი ქცევის კანონზომიერების გამო: ადამიანის ყოველი კონკრეტული ქცევა ყოველ კონკრეტულ მომენტში რაიმე საგნობრივ შინაარსზეა მიმართული. რაც უფრო ღრმად წვდება ადამიანი თავის ამ ქცევის საგნობრივ შინაარსს, მით უფრო შეგნებულია ამ ქცევისა და მისი შედეგების პიროვნულ-საზოგადოებრივი მნიშვნელობა. მით უფრო თავისუფალია ეს ადამიანი თავისი პიროვნული არსების გამოვლენაში, მაგრამ მით უფრო აუცილებელია ეს ქცევა იმ მიზეზისა და

<sup>16</sup> Я. М. Брайнин. Уголовная ответственность и ее основание в советском уголовном праве, М., 1963, стр. 209.

<sup>17</sup> П. С. Дагель. Проблема вины в советском уголовном праве. Владивосток, 1968 г., стр. 82.



მოტივის მიმართ, რომელთაც იგი განაპირობებს. ეს არის ისეთი თავისუფალი აუცილებლობის დიალექტიკური პროცესი, რომელიც სისხლის სამართლის სფეროში საშუალებას გვაძლევს ერთიანობაში ვწვდეთ პასუხისმგებლობის პირობისა და მისი საგნის რეალურ ვითარებას: თუ პასუხისმგებლობის დასაბუთების მთელ სიძნელეს სხვანაირად მოქცევის უპირობო შესაძლებლობაზე მითითებით მოვხსნით, მაშინ როგორღაა შესაძლებელი — კონკრეტულ დანაშაულში გამოვლინდეს დამნაშავის ცნობიერება, ნებისყოფა და ემოცია და ამავე დროს ამ დანაშაულის აუცილებლობის გარეთ ვეძებთ ის უნარი, რომელიც ჩამოთვლილ უნარებზე „მეტია“?

მართალია, ცნობიერება, ნებისყოფა და ემოცია ეკუთვნის მთლიან პიროვნებას, რომელიც რაღაცით უფრო „მეტია“, ვიდრე მისი კონკრეტული უნარი; პიროვნება არსებითად სოციალური მთლიანია და ეს არის ის უნარი, რომელიც კონკრეტული ქცევის აუცილებლობას თავისუფლად მართავს, მაგრამ თუ მის უნარს ქცევის აუცილებლობის გარეთ გავიტანთ, აღმოჩნდება, რომ ქცევა ამ სუბიექტს არ ეკუთვნის და, მამასადაძე, მისთვის არც უნდა ავოს პასუხი.

ეჭვს გარეშეა ისიც, რომ ადამიანს აქვს უნარი შეცვალოს ქცევის თავდაპირველი კურსი (მაგალითად ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულზე), ან უფრო სხვა დანაშაული ჩაიდინოს, ვიდრე თავდაპირველად იყო ნაგარაუდები (ამსრულებლის ექსცესი), მაგრამ ყველაფერ ამას იგი აკეთებს შეცვლილ ობიექტურ და სუბიექტურ პირობებში. უფრო ზუსტად, ახლა ადამიანი სხვა ქცევის აუცილებლობაში რწმუნდება და იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც მისივე შეცვლილი ბუნებიდან გამომდინარეობს. ამ გარემოების გაგება თვით პიროვნების დინამიური ხასიათის გაგების საფუძველზეა შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში ეს მომენტი დეტერმინიზმთან კავშირშია გათვალისწინებული. მაგალითად, ო. ჯიოევის აზრით, თავისუფალი მოქმედება არ ეწინააღმდეგება დეტერმინიზმს. „პიროვნებას არ შეეძლო მოქცეულიყო სხვანაირად: სხვანაირად მოქმედებას იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში შესძლებდა, თუ იგი სხვა იქნებოდა ან სხვა იქნებოდნენ გარემოებები“. ავტორს სხვანაირად მოქცევის შესაძლებლობის დაშვება პიროვნების დინამიური ხასიათის იგნორირებად მიაჩნია. მისი აზრით: „როცა ამბობენ: პიროვნებას (ან ნებისყოფას) შეუძლია გადაწყვიტოს ასეც და ისეც, იგიწყებენ, რომ პიროვნება, რომელიც წყვეტს „სხვანაირად“, უკვე ის პიროვნება არაა, რომელიც წყვეტდა „ასე“.<sup>18</sup>

პიროვნების დინამიური ბუნება კარგად არის ნაჩვენები განწყობის ფსიქოლოგიაში, მაგრამ იგი არც კანონმდებელს გამოჩენია მხედველობიდან. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 51-ე მუხლის თანახმად „დანაშაულის ჩამდენი პირი შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუ მიჩნეული იქნება, რომ გამოძიების ან სასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის, ვითარების შეცვლის შედეგად დამნაშავის მიერ ჩადენილმა ქმედობამ დაკარგა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი ან ეს პირი აღარ არის საზოგადოებრივად საშიში“.

ამრიგად, კანონმდებლის გამოთქმა, რომ „ან ეს პირი აღარ არის საზოგადოებრივად საშიში“, პიროვნების დინამიურობის ფაქტის აღიარებაა: პიროვნება საზოგადოებრივად საშიში იყო დანაშაულის ჩადენის მომენტში, მაგრამ იმის

<sup>18</sup> О. Дж. и о в. Природа исторической необходимости, Тбилиси, 1967 г., стр. 57.

გამო, რომ იგი შემდგომ შეიცვალა და თავის ნამოქმედარს უკვე „სხვა თვლით შეხედა“, არსებითად ცვლის საქმის ვითარებას. პიროვნების დინამიური ბუნება არსებითია აგრეთვე სასჯელის რეალიზაციის დროსაც, რადგან იგი რომ მხოლოდ სტატიკური იყოს, მაშინ მისი გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის მიზანი ფიქცია იქნებოდა.

მაგრამ თუ პიროვნება დინამიურია, ე. ი. ყოველ მოცემულ მომენტში არის ის, ვინც მოქმედებს, „ასე“ და არა „სხვანაირად“, ხოლო სხვა პირობებში და სხვა დროს შეიძლება შეიცვალოს, მაშინ ნათელი უნდა იყოს, რომ მოქმედების აუცილებლობის პიროვნული ფაქტორიც მოქმედნილია: სუბიექტი რომ ასე იქცევა და არა სხვანაირად, — ეს არა მარტო იმიტომ, რომ ასეთი იყო სიტუაცია და არა მარტო იმიტომ, რომ ასეთი იყო პიროვნება, — არამედ ასეთი იყო ერთიცა და მეორეც. აქ ერთი გაუგებრობა უნდა ავიცილოთ თავიდან: ადამიანი გარკვეულ სიტუაციაში მოქმედებს, მაგრამ გარესიტუაციაზე „მეტობის“ პიროვნული ღირსება აქვს და შეუძლია არ დაემორჩილოს უშუალო სიტუაციის ზეგავლენას. ადამიანის ამ უნარს ნებისყოფის თავისუფლების ნეგატიურ მომენტს უწოდებენ.<sup>19</sup> სავესებით მართებულია იმიტომ პროფ. თ. წერეთლის დებულება, რომ „თუ ადამიანს უნარი აქვს არ დაემორჩილოს უშუალო სიტუაციის ზეგავლენას და თავისი მოქმედება შეგნებულად დასახული მიზნის მიღწევას შეუფარდოს, მაშასადამე, მას შესაძლებლობა ეძლევა დაუმორჩილოს თავისი მოქმედება საზოგადოებრივი ინტერესებისაგან წარმომდგარ მოტივებს და არა იმ ქვენა გრძნობებს, რომელნიც მას დანაშაულის ჩადენისაკენ ეწევიან“.<sup>20</sup>

მაშასადამე, ნებისყოფის თავისუფლების ნეგატიური მომენტი უშუალო სიტუაციისაგან სუბიექტის დამოუკიდებლობის უნარში მდგომარეობს. მაგრამ ნებისყოფის თავისუფლების პოზიტიური მომენტი უკვე ჩადენილი ქცევისადმი სუბიექტის მიმართებას გამოხატავს. ამ აზრით, რაც უფრო ღრმად წვდება ადამიანი თავისი ქცევის საზოგადოებრივ მნიშვნელობას, მით უფრო პასუხისმგებელია იგი ამ ქცევისათვის, რომელშიც, როგორც წესი, მისი პიროვნული არსებაა გამოვლენილი.

მაგრამ სისხლის სამართლის სფეროში საკითხის ასეთი გადაჭრა არ არის საკმარისი. სახელდობრ, ე. დამნაშავის თავისუფლებას თავისი პიროვნული არსების მიხედვით მოქმედებაში დავინახავთ, მაშინ უნდა გაირკვეს დამნაშავის არსებისა და ადამიანის გვარეობითი არსების მიმართების საკითხი: სოციალიზმის პირობებში დამნაშავის არსება ადამიანის არსებას რომ ემთხვეოდეს, მაშინ დანაშაული ადამიანის არსების გამოვლენად უნდა ჩაგვეთვალო. მაშასადამე, დამნაშავის არსება არ ემთხვევა ადამიანის გვარეობით არსებას. მაგრამ მაშინ როგორღაა შესაძლებელი პასუხისმგებლობის დასაბუთება? ამ სიძნელეს, ხშირად არ ექცევა სათანადო ყურადღება. მაგალითად, ბ. ვ. ვოლჟენკინის აზრით, თავისუფალი მოქმედება — ეს ისეთი მოქმედებაა, რომელშიც თვით ადამიანის შინაგანი არსებაა გამოვლენილი.<sup>21</sup> მაგრამ ავტორი არაფერს ამბობს შემოთდასახელებული სიძნელის შესახებ.

<sup>19</sup> თ. ბაკურაძე, თავისუფლება და აუცილებლობა, თბილისი, 1964, გვ. 153.

<sup>20</sup> თ. წერეთელი, აუცილებლობისა და თავისუფლების დიალექტიკა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება, „მნათობი“, 1955, № 101, გვ. 182.

<sup>21</sup> Б. В. Волженкин. Детерминистическая концепция преступного поведения. «Советское государство и право», 1971, № 2, стр. 85.

ეს სიძნელე კიდევ უფრო აშკარაა თავისუფლების ისეთ კონცეფციაში, სადაც ადამიანის თავისუფლება მისი არსების მიხედვით მოქმედების აუცილებლობაზე მითითებით არის დაფუძნებული. მაგალითად, ა. ციმინტიას აზრით, ადამიანის თავისუფლება მისი არსების მიხედვით მოქმედებაშია. ამავე დროს ადამიანმა არ შეიძლება არ იმოქმედოს თავისი არსების მიხედვით და ეს არის არსების მიხედვით მოქმედების აუცილებლობაც. „ამიტომ ყალბია მოსაზრება, რომელიც ამტკიცებს, რომ ადამიანი თითქოს თავისი ნება-სურვილის მიხედვით მოქმედებდეს. ნება ადამიანისა არსების შესატყვისია“.<sup>22</sup> თავისუფლებისა და აუცილებლობის ეს კონცეფცია საყურადღებოა, მაგრამ სისხლის სამართალში მისი მექანიკურად გადმოტანა მიგვიყვანდა დასკვნამდე, რომ ან დამნაშავე არ არის ადამიანი და მაშინ გაუგებარია მისი დანაშაულოც, ან დამნაშავეც ადამიანია და მაშინ მან უსათუოდ უნდა ჩაიდინოს დანაშაული და არ შეუძლია არ ჩაიდინოს.

ჩვენი აზრით, ადამიანის თავისუფლების ეს ფორმა რამდენადმე სხვაგვარ მიდგომას მოითხოვს. ადამიანის, როგორც ნახტომის, თვისობრივად ახლის გამოვლენა ფიქციად უნდა ჩაგვეთვალა, რომ მას არ ჰქონდეს უნარი არ მოიქცეს თავისი პიროვნული არსების მიხედვით. ცხოველს არ შეუძლია მოიქცეს სხვანაირად, თუ არა ცხოველური არსების მიხედვით. ადამიანს შეუძლია უარი თქვას თავის სიცოცხლეზეც კი.

როგორც სწორად შენიშნავს ზ. კაკაბაძე, ადამიანი ყველაზე უფრო რთული არსებაა. მას შესწევს უნარი გადაუხვიოს თავისი არსების, თავისი ყოფიერების „კანონს“<sup>23</sup>, იგი თვითმოტყუებისაკენ მიდრეკილი არსებაა: ადამიანმა რომ დანაშაული ჩაიდინოს, მან თავისი სინდისი უნდა მოატყუოს, უნდა მოახდინოს მისი ნეიტრალიზაცია, რომელიც, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ვიზაა დანაშაულის სამყაროში შესასვლელად“.

მაგრამ უფრო საინტერესო ისაა, რომ ავტორი ამ გარემოებებს თავისუფლების მოშველიებით ხსნის. მისი აზრით, ადამიანს აქვს უნარი გარკვეული „დისტანცია“ დაიკავოს თავისი წარსული ისტორიის მიმართ; მისი დინამიური ბუნების გამო მას შეუძლია ახლებური მიმართება დაამყაროს თავის თავთან, გარესამყაროსთან და თავისთავს სხვაგვარად ყოფნის შესაძლებლობის ფონზე შეხედოს.<sup>24</sup> რაც შეეხება თვითმოტყუებას, არც ეს ფენომენი აიხსნება თავისუფლების გარეშე: „მე ვხედავ ჩემს თავს ისე, როგორც ვარ მე, მაგრამ არ ვცნობ ჩემს თავს ასეთად და ვეჩვენები სხვად, ე. ი. „მიჭირავს დისტანცია“ იმასთან მიმართებაში, რაც არის და როგორც არის. მე განდგომილი და შეფარდებით დამოუკიდებელი ვარ იმისაგან, რაც არის და როგორც არის“.<sup>25</sup>

მართალია, ადამიანის უნარი არ მოიქცეს თავის გვარეობითი არსების მიხედვით, ზოგჯერ ბოროტების უნარში ვლინდება, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის ჭეშმარიტ არსებას, მაგრამ ამავე დროს იგი არის მისი პასუხისმგებლობის პირობაც, რადგან მას შეუძლია თავისი პიროვნული საზრისისა და ღირებულების პრიზმაში გადატეხილი ქცევა საზოგადოების სასარგებლოდ წარმართოს.

<sup>22</sup> ა. ციმინტია, კომუნიზმისა და ჰუმანიზმის ურთიერთობისათვის, „მაცნე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1971, № 2, გვ. 12.

<sup>23</sup> З. Какабадзе Человек как философская проблема, Тбилиси, 1970 г., стр. 16.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 25.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 24.

მით უმეტეს, სოციალიზმის პირობებში ყველა ადამიანი თანაბრად არის სოციალური თავისუფლების სუბიექტი, ყველას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს შემოქმედებით შრომით საქმიანობაში, მაგრამ თუ დამნაშავე თავის ამ პიროვნულ-სოციალურ სტატუსს არამართლზომიერ ქცევაში ავლენს, ჩვენც სრული უფლება გვაქვს მისი პასუხისმგებლობის პრობლემა მისივე პიროვნულ-სოციალურ სტატუსს დაუვკავშიროთ და არა მხოლოდ მოქმედების თავისუფლებას. მართლაც, თუ ადამიანს სოციალიზმის პირობებში შემოქმედებითი შრომის თავისუფლება ეძლევა, თუ მისი ყოველი კონკრეტული ქცევა იმთავითვე განსაზღვრული არ არის არც დანაშაულობის აუცილებლობით და არც მისი პიროვნული წარსული ისტორიით, რომლის მიმართ მას შეუძლია გარკვეული დისტანცია დაიკავოს. და, ბოლოს, თუ მას შეუძლია არ დაემორჩილოს უშუალო სიტუაციის ზეგავლენას, — მაშასადამე, მას ეძლევა თავისუფალი შესაძლებლობა თავისი ინდივიდუალური არსება შემოქმედი ადამიანის გვარეობით არსებას დაამთხვიოს.

მაგრამ, ცხადია, ზემოჩამოთვლილი გარემოებანი ჯერ კიდევ ვერ ხსნიან დანაშაულებრივი ქცევისა და მისი საგნობრივი შინაარსის დიალექტიკურ პროცესს, რომელიც მოქმედების თავისუფალი აუცილებლობის ბუნების გამოვლენას წარმოადგენს. მართლაც, კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედობა ობიექტური და სუბიექტური პირობების გარკვეული თანაფარდობის გარეშე ვერ განხორციელდება, მაგრამ როგორც კი მისი განხორციელების პროცესი დაიწყება, დამნაშავეს უკვე არ შეუძლია მოიქცეს სხვანაირად, ვიდრე იქცევა. და ეს არა იმიტომ, რომ ამის უნარი არა აქვს, არამედ, პირიქით, იმიტომ, რომ მისი ცნობიერება, ნებისყოფა და ემოცია მოცემულ მომენტში ქცევის საგნობრივ შინაარსზეა მიპყრობილი და რაც უფრო ღრმად წვდება დამნაშავე თავისი ქცევის ამ საგნობრივ შინაარსს, მით უფრო თავისუფალია იგი, მით უფრო შეგნებულია მისი ქცევის შედეგების მნიშვნელობა, მაგრამ ამავე დროს მით უფრო აუცილებელია ეს ქცევა იმ მიზეზისა და მოტივის მიმართ, რომელთაც იგი განაპირობებს. ამ დებულებას ვერ უარყოფს ის, რომ ადამიანს უნარი აქვს თვითონ შექმნას ნებისმიერი ქცევის განწყობა, რადგან მოქმედების თავისუფალი აუცილებლობით, ზემოთაღმოცემულ კონცეფციაში იგი იმთავითვე ნაგულისხმევი; მას ვერ უარყოფს მოქმედებისა და ქცევის განსხვავებაც, რადგან საკმარისია ქცევა რომელიმე პიროვნებას მივაკუთვნოთ, რომ ჩვენ მაშინვე ვნახოთ მოქმედებისა და ქცევის რეალურად განუყოფელი პროცესი, რომელიც სახელდობრ ამ კონკრეტული პიროვნების მოტივისა და მიზნის საზრისით გაივება. და, ბოლოს, მას ვერ უარყოფს მოტივისა და მიზეზის განსხვავება, რადგან თუ მიზეზი ყოველთვის იწვევს ერთსა და იმავე შედეგს, ერთი და იგივე მოტივიც ყოველთვის იწვევს ერთსა და იმავე ქცევას: ყოველი მოტივი და მიზანი სახელდობრ „ამ“ და არა „სხვა“ ქცევის მოტივი და მიზანია, რადგან „ფსიქოლოგიურად იზდენი განსხვავებული ქცევა არსებობს, რამდენ განსხვავებულ მიზანსაც ემსახურება იგი“.<sup>26</sup>

ამრიგად, კონკრეტული დანაშაულის სუბიექტი მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას, რომელმაც აუცილებლად უნდა მიიყვანოს ნასურვებ ან შეგნებულად დაშვებულ შედეგამდე. ეს არის მოტივაციის ისეთი პროცესი, რომელიც „განიცდება როგორც გარდაუვალი რამ, მის საწი-

<sup>26</sup> დ. უზნაძე, შრომები, ტ. III-V, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1964, გვ. 211.

ნაღმდევოდ შიგნიდან არავითარი ხმა არ ისმის“.<sup>27</sup> მართალია, ეს მომენტი უფრო პირდაპირ განზრახვას ახასიათებს, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ არაპირდაპირი განზრახვის ვითარებაშიც შეგნებულად დაშვებულია შედეგი, რომელიც სუბიექტის ცნობიერი აქტივობის ველშია მოქცეული. განზრახვის საკანონმდებლო ცნებაც ამ გარემოებას ადასტურებს.

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-8 მუხლის თანახმად „დანაშაული განზრახ ჩადენილად ჩაითვლება, თუ მის ჩამდენ პირს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ითვალისწინებდა მის საზოგადოებრივად საშიშ შედეგებს და სურდა ეს შედეგები, ან შეგნებულად უშვებდა მათ დადგომას“.

აქედან დასკვნა, რომ რადგან თავისუფლების ნეგატიური მომენტი არსებობს, მაშასადამე, სხვანაირად მოქცევის შეუძლებლობა თვით დაძინების მიერაა ნასურვები ან შეგნებულად დაშვებული.

გარკვეული თავისებურება ახასიათებს აფექტური დანაშაულისათვის პასუხისმგებლობას. მართალია, საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ღრმად ვრცელდება აზრი, რომ აფექტური დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის საფუძველი არის „პირის შესაძლებლობა იმოქმედოს სხვანაირად, ვიდრე იგი მოქმედებდა მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში“.<sup>28</sup> მაგრამ, როგორც უკვე ნახვენიები იყო, იგი მეთოდოლოგიურად მიუღებელია, რადგან ვერ ხსნის დანაშაულებრივი ქცევის აუცილებლობის ბუნებას და ვერ პასუხობს კითხვაზე, თუ რა პირობებში განხორციელდა ეს კონკრეტული დანაშაული, რომელიც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ასეთი იყო და არა სხვანაირი.

აფექტში ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის შემსუბუქება უმართებულო იქნებოდა, რომ აფექტის სუბიექტს შეზღუდული არ ჰქონდეს ცნობიერი აქტივობა, მაგრამ როგორც კი ცნობიერი აქტივობის შეზღუდვის პირობების გამოკვლევაზე გადავალთ, აღმოჩნდება, რომ ეს პირობები თვითონვე, თავის შემადგენლობაში უნდა შეიცავდნენ აფექტის სუბიექტის იმ უნარს, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში სახელდობრ „ამაირად“ იყო შეზღუდული. ამიტომ სუბიექტის თუნდაც ამ შეზღუდული უნარის გატანა მოცემული დანაშაულის გარეთ უეჭველად მიგვიყვანდა დასკვნამდე, რომ აფექტის სუბიექტი პასუხს აგებს არა ამ კონკრეტული დანაშაულისათვის, არამედ იმ უნარისათვის, რომელიც ამ დანაშაულში არ ყოფილა გამოვლენილი. ვსაგებია, რომ ამ გზით აფექტური დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის დასაბუთება შეუძლებელია.

ეს შეუსაბამობა იმის შედეგია, რომ საბჭოთა სისხლის სამართალში გაბატონებული აზრი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ ნებისმიერ ქცევას უკავშირებს, მაგრამ აფექტში ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის დასაბუთებისას, როგორც სწორად მიუთითებს თ. გ. შავკულიძე, „ფაქტურად სიმძიმის ცენტრი ნებისმიერი ქცევის ჩადენის შესაძლებლობაზეა გადატანილი და ამით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სფერო ნებისმიერი ქცევის ფარგლებს გარეთ გადის“. ავტორი მიდრს დასკვნამდე, რომ აფექტური დანაშაულის უსიქოლოგიური ბუნება იმპულსურია და რომ „სისხ-

<sup>27</sup> შ. ჩხარტიშვილი, ნებნსიერი ქცევის მოტივის პრობლემა, „ცოდნა“, 1952, გვ. 280  
<sup>28</sup> Б. В. Сидоров. Аффект. Его уголовно-правовое и криминологическое значение, Автореферат канд. дисс. Казань, 1974 г., стр. 13.

ლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაუკავშირდეს არა მარტო ნებისმიერ ქცევას, არამედ ისეთ იმპულსურ ქცევასაც, როცა სუბიექტს აქვს უნარი ქცევაში ჩართოს ნებისყოფა.<sup>29</sup>

ამ დებულების პირველი ნაწილი, სახელდობრ ის, რომ პასუხისმგებლობა შეიძლება დაუკავშირდეს იმპულსურ ქცევასაც, დამაჯერებელი იქნება თუ „ქცევაში ნებისყოფის ჩართვის უნარს“ აფექტური დანაშაულის გარეთ არ გავითვალთვალოთ და, მაშასადამე, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას კვლავ ნებისმიერ ქცევას არ დაუკავშირებთ. მით უმეტეს, ავტორი სავსებით სწორად მიუთითებს, რომ დანაშაულებრივი ქცევის მიზეზი თვით აფექტი რომ იყოს, „მაშინ დამნაშავე უნდა დავსაჯოთ არა მის მიერ ჩადენილი კონკრეტული დანაშაულისათვის, არამედ იმისათვის, რომ მან არ დათრგუნა აფექტი, რომელსაც აუცილებლობით მოჰყვა დანაშაული“.<sup>30</sup> მაშასადამე, „სუბიექტის უნარი ქცევაში ჩართოს ნებისყოფა“ თვით აფექტური დანაშაულის „შიგნით“ უნდა ვეძებოთ, რომ იგი პათოლოგიური აფექტისაგან გავმიჯნოთ და ფიზიოლოგიური აფექტის სუბიექტურ მხარეში მხოლოდ პირდაპირი განზრახვის არ არსებობა დავასკვნათ. ეს, ჩვენი აზრით, შესაძლებელია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ფიზიოლოგიური აფექტის სუბიექტს ზემოქმედების საგანი — დაზარალებული უშუალო აღქმაში ეძლევა და მასზე საკმაოდ მოწესრიგებულ, აზრის მქონე ზემოქმედებას ახდენს სახელდობრ ცნობიერების გამომახილის საფუძველზე, რადგან იმპულსური ქცევა ცნობიერებას სავსებით მოწყვეტილი როდია. მეორეც, განწყობა, როგორც თ. შავგულიძე აღნიშნავს, „სუბიექტის იმ ცოდნის აქტუალიზაციას შეიცავს, რომელიც შესაბამისი ქცევის განხორციელებისათვისაა საჭირო“.<sup>31</sup> იმპულსური ქცევის სუბიექტის ცოდნის აქტუალიზაციის მომენტი კარგად არის ნაჩვენები ავტორის მიერ მოყვანილ მაგალითში; სახელდობრ, აფექტური ქცევის სუბიექტი უშუალოდ კი არ შეება შეურაცხყოფელს, არამედ შეიბრინა თავის ოთახში, კედლიდან ჩამოხსნა თოფი და პირდაპირ თავში ესროლა,<sup>32</sup> ეს საკმაოდ აზრიანი ქცევა შეუძლებელი იქნებოდა, რომ ყოველ მოცემულ მომენტში ცნობიერების საგანგებო მოხმარების გარეშე ადამიანს არ ჰქონდეს უნარი მიმართოს მიზანშეწონილ აქტებს და გამოავლინოს არა უბრალოდ ფსიქიკური აქტივობა, არამედ სოციალური აქტივობაც და ამაში ჩანს ადამიანი მაშინაც კი, როცა იგი აქტუალური მოთხოვნების სუბიექტია.

ამრიგად, აფექტური დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა ემყარება თვით ქცევის პროცესში მოხმარებულ იმ უნარს, რომლის შეზღუდული ხასიათი პასუხისმგებლობის შემსუბუქებელი ხასიათის პირობაა. ამაში ჩანს პასუხისმგებლობის პირობისა და მისი საგნის ერთიანი პროცესი, რომელიც სახელდობრ ამ კონკრეტულ დანაშაულს შეეხება და არა სხვა რაიმე ქცევას.

სხვა საბუთებს მოითხოვს პასუხისმგებლობა გაუფრთხილებელი დანაშაულისთვის.

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-9 მუხლის თანახმად „დანაშაული გაუფრთხილებ-

<sup>29</sup> Т. Г. Шавгулидзе. Аффект и уголовная ответственность. Тбилиси, 1973 г., стр. 23.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 58.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 88.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 89.

ლობით ჩადენილად ჩაითვლება, თუ მისი ჩამდენი პირი ითვალისწინებდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ ქარაფშუტულად ვარაუდობდა მათ თავიდან აცილებას ან არ ითვალისწინებდა ისეთი შედეგების დადგომის შესაძლებლობას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა ისინი“.

კანონის ტექსტიდან გამომდინარეობს, რომ სუბიექტი თავის მოქმედების ან უმოქმედობის პროცესშივე ითვალისწინებს საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას; სწორედ ეს კონკრეტული სუბიექტი ავლენს ამ შედეგების დადგომის რეალური პირობებისა და წინდახედულების ნორმებისადმი ქარაფშუტულ დამოკიდებულებას, რომელსაც დაუყოვნებლივ მიჰყვება საზოგადოებრივად საშიში შედეგი (თვითიმედოვნება).

ნათელია ისიც, რომ თვითიმედოვნების ნიშნები გარკვეულ პირობებში ყალიბდებიან. სახელდობრ, სუბიექტს აქვს ხელსაყრელი ობიექტური სიტუაცია და უნარიც, რომ შეამჩნიოს მანვე შედეგების დადგომის რეალური საფრთხე, მაგრამ იგი ამ პირობებისადმი სათანადო სიფხიზლეს არ იჩენს. სხვანაირად მოქცევის შეუძლებლობა თვითონ სუბიექტის ქარაფშუტული ვარაუდიდან მომდინარეობს და ამიტომ მანვე უნდა ავთს პასუხი მის მიერ ამ პირობებში გამოწვეული საზოგადოებრივად საშიში შედეგებისათვის.

ამრიგად, თვითიმედოვნების საკანონმდებლო ფორმულაში უკვე განხორციელებული რეალური ვითარება ნაგულისხმევი და არა სხვანაირად მოქცევის უპირობო შესაძლებლობა. შესაძლებლობისა და სინამდვილის დიალექტიკური კონცეფცია ამ დებულებას ვერ უარყოფს, რადგან „უკვე განხორციელებული რეალური ვითარება“ სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი იპოავითვე ასეთი უნდა ყოფილიყო. პირიქით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დანაშაულობის აუცილებლობაში წინასწარ სულაც არაა დაპროგრამებული, რომ მოცემულმა კონკრეტულმა პიროვნებამ მოცემული კონკრეტული დანაშაული სახელდობრ ამ პირობებში ჩაიდინოს. შესაძლებლობისა და შემთხვევითობის დიალექტიკის მიხედვით, რაიმე შეიძლებოდა არ ყოფილიყო ან ყოფილიყო სხვაგვარად, მაგრამ როგორც კი კონკრეტულ მოვლენას კონკრეტულ საფუძვლებს მოვუძებნით, აღმოჩნდება, რომ შესაძლებლობა განამდვილდა და შემთხვევითიც აუცილებლობად იქცა.

გაუფრთხილებელი ბრალის მეორე სახეა დაუდევრობა, როცა სუბიექტი არ ითვალისწინებს თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ ვალდებულია და შეუძლია კიდევ გაითვალისწინოს იგი.

აღამიანის ვალდებულება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გაითვალისწინოს თავისი ქცევის შედეგები, შედარებით ადვილი დასადგენია, ვიდრე მათი გათვალისწინების შესაძლებლობა. მართლაც, თუ დაუდევრობის დროს სუბიექტს არ შეეძლო მოქცეულიყო სხვანაირად, ხომ არ გამომდინარეობს აქედან, რომ მას აგრეთვე არ შეეძლო საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობის გათვალისწინება?

ჩვენი აზრით, სხვანაირად მოქცევის შეუძლებლობა და საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის გათვალისწინების შესაძლებლობა არც დაუდევრობის ვითარებაში გამორიცხავენ ერთმანეთს.



ჯერ ერთი, ადამიანს, როგორც სოციალურად შეგნებულ არსებას, უნარი აქვს გაითვალისწინოს არა მარტო მის მიზანში შემოსული უშუალოდ შედეგები, არამედ მისი ქცევის თანამდევი გვერდითი შედეგიც, თუ ეს უკანასკნელი მიზეზობრივ კავშირშია გათვალისწინებულ შედეგებთან. ეს ასე რომ არ ყოფილიყო, გაუფრთხილებლობის დასაბუთება შეუძლებელი იქნებოდა.

მეორე, მძიმე შედეგიანი დელიქტებისათვის ბრალეული პასუხისმგებლობის დასაბუთება (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლი) შეუძლებელი იქნებოდა, რომ გაუფრთხილებელი ბრალის დასაბუთება აუცილებლად მოითხოვდეს სხვანაირად მოქცევის შესაძლებლობის დაშვებას. მართლაც, განზრახი დანაშაულის სუბიექტს არ სურდა მოქცეულიყო სხვანაირად; (პირდაპირი განზრახვა). მძიმე შედეგი, რომელსაც არ მოიცავდა მისი განზრახვა, სხვანაირად მოქცევის შეუძლებლობის სურვილის პირობებშია გამოწვეული და, მამასადამე, ამ შედეგისადმი გაუფრთხილებელი ბრალეული დამოკიდებულების დასაბუთება ამავე პირობების საფუძვლიან ანალიზს მოითხოვს.

მესამე, თუ დანაშაულის სუბიექტს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეუძლია მოიქცეს სხვანაირად, ვიდრე ფაქტიურად მოიქცა, მაშინ იგი ამ შესაძლებლობას არც „კაზუსის“ ვითარებაში უნდა იყოს მოკლებული და, მამასადამე, გამოდის, რომ ადამიანი ყველა შემთხვევაში ბრალეულია.

და, ბოლოს, თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკვე ჩადენილი ქმედობის შედეგებს არ ეხება, თუ უკვე ნამოქმედარში არ შეიძლება ბრალის ნიშნების აღმოჩენა და ამიტომ პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე სხვანაირად მოქცევის უპირობო შესაძლებლობაზე უნდა გადავიტანოთ, მაშინ გამოდის, რომ ჩვენ ფაქტიურად პასუხისმგებლობისაგან ვათავისუფლებთ ამ კონკრეტულ პიროვნებას, რომელმაც მოცემულ კონკრეტულ პირობებში ჩაიდინა აკრძალული ქმედობა და ვსჯით იმ სხვას, რომელსაც შეეძლო სხვანაირად მოქცეულიყო.

ჩვენი აზრით, ამ წინააღმდეგობიდან გამოსავალი ქცევის რეალური პროცესის ახსნაში უნდა ვეძიოთ.

სწორად მიუთითებს მ. უგრეხელიძე, რომ „ადამიანის ფსიქიკურ ენერგიას მხოლოდ განსაზღვრული მიმართულებით შეუძლია იმოქმედოს. ამიტომ ბუნებრივია, ერთი და იგივე პიროვნება ერთსა და იმავე დროს, ზოგ საგანს, ფაქტს, მოვლენას ყურადღებას აქცევს, ზოგს კი უყურადღებოდ ტოვებს. ზოგჯერ ასეთი უყურადღებობის საგანი სამართლით დაცული ობიექტია და, ასეთ შემთხვევაში, საქმე გვაქვს დაუდევრობით დანაშაულთან (თუ არსებობს სხვა აუცილებელი პირობები)“.<sup>33</sup>

ავტორის ამ დებულებიდან გამომდინარეობს, რომ მოცემული კონკრეტული პიროვნება მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არ შეიძლება არ იყოს ის, ვინც ყურადღებას არ აქცევს სამართლით დაცულ ობიექტს; სხვა შემთხვევაში ან სხვა ვინმე ყურადღებას მიაქცევდა მას, მაგრამ მაშინ დაუდევრობით დანაშაული გამოირიცხებოდა.

ამრიგად, დაუდევრობის საკანონმდებლო ფორმულაშიც უკვე განხორციელებული რეალური ვითარებაა ნაგულისხმევი. დაუდევრობის ნიშნებიც შესაბამის პირობებში ყალიბდებიან. სახელდობრ, სუბიექტის ცნობიერება და ნე-

<sup>33</sup> მ. უგრეხელიძე, დაუდევრობის დროს მორალური ბრალის დასაბუთებისათვის, „საბჭოთა სამართალი“, 1975, № 1, გვ. 9.

ბისყოფა აქტიურ მიმართებაში არიან ობიექტური სიტუაციის ამ მონაკვეთთან, რომელსაც მოცემულ შემთხვევაში მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია. ამ მიმართებით სუბიექტი სულაც არაა მოკლებული ნებისყოფის თავისუფლებას, რადგან გადაწყვეტილება სახელდობრ ამ ქცევის შესახებ მან თვითონ მიიღო, მაგრამ მოცემულ მომენტში მისი ფსიქიკური აქტივობა უშუალოდ არ ეხება სიტუაციის იმ მონაკვეთს, რომელიც მაგნე შედეგის დადგომის პირობებს შეიცავს. მაშასადამე, ობიექტური სიტუაცია გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე სიტუაციის ის მონაკვეთი, რომელიც სუბიექტმა მოცემულ შემთხვევაში თავისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციად მიიჩნია. მის განკარგულებაში არსებული მონაცემებიც სუბიექტს შესაძლებლობას აძლევდა, წინდახედული ყოფილიყო, მაგრამ თუ იგი ამ პირობებში მანაც უშვებს დაუდევრობას, უნდა დავასკვნათ, რომ სხვანაირად მოქცევის შეუძლებლობა თვით სუბიექტიდან მომდინარეობს, თვით იმის შედეგია, რომ მან სამართლის ნორმით დაცულ ობიექტებს თავისი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ამჯობინა და ამით სავსებით სამართლიანად დაიმსახურა მორალური და სამართლებრივი ვაკაცხვა. როგორც სწორად მიუთითებს ვ. გ. მაყაშვილი, „ნებელობითი აქტის გასაკიცხი ხასიათის შესახებ შეიძლება ვილაპარაკოთ არა მარტო მაშინ, როცა პირი სამართლის მოთხოვნებთან შეუსაბამო ნებელობით გადაწყვეტილებას შეგნებულად იღებს, არამედ მაშინაც, როცა იგი უყურადღებობით არ იღებს სწორ გადაწყვეტილებას“.<sup>34</sup>

ამრიგად, გაუფრთხილებლობის, როგორც რეალური პროცესის ახსნა და ვაგება შეუძლებელი იქნებოდა, თუ ჩვენ სხვანაირად მოქცევის უპირობო შესაძლებლობის პოსტულატს დავემყარებოდით, რადგან მაშინ, როგორც უკვე ვთქვით, მხედველობიდან გამოგვრჩებოდა კონკრეტულად მოქმედი სუბიექტი და დავგვრჩებოდა მარტოდენ ადამიანის გვარეობითი ცნება.

რაც შეეხება საზოგადოებრივად საშიში შედეგების არაბრალეულ გამოწვევას, იგი მოცემული პირობების აუცილებელი პროდუქტია, მაგრამ სუბიექტით პირობადებული ქარაფშუტული ვარაუდისა და უყურადღებობის გარეშე, რის გამოც იგი მოვლენათა ობიექტურ დამთხვევად უნდა ჩაითვალოს. მაშასადამე, კანონის მითითება საზოგადოებრივად საშიში შედეგების გათვალისწინების ვალდებულებისა და შესაძლებლობის შესახებ გაუფრთხილებლობის კრიტერიუმებია და არა სხვანაირად მოქცევის უპირობო შესაძლებლობის საბუთები.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის სხვანაირად მოქცევის უპირობო შესაძლებლობის კონცეფცია მიუღებელია, რადგან იგი კონკრეტული დანაშაულის აუცილებლობის უარყოფის გზით თვით სისხლის სამართლის საგნის უარყოფამდე მიგვიყვანს, მაშინ როდესაც მოქმედების აუცილებლობის ლენინური იდეა საშუალებას გვაძლევს სწორად გავიგოთ ყოველი კონკრეტული დანაშაულებრივი ქცევისა და მისი საგნობრივი შინაარსის დიალექტიკური პროცესი, რომელიც მოქმედების თავისუფალი აუცილებლობის სახით ვლინდება. ნეგატიური თავისუფლების პირობებში სხვანაირად მოქცევის შეუძლებლობა არ გამოირიცხავს ბრალის მომენტს, რადგან ეს არის თავისუფალი აუცილებლობის დიალექტიკური პროცესი, რის გამოც შეგვიძლია ვთქვათ, რომ სხვანაირად მოქცევის შე-

<sup>34</sup> В. Г. Макашвили. Уголовная ответственность за неосторожность, Госюр-издат, 1957 г., стр. 92.

უძლებლობა თვით სუბიექტის მიერაა ნასურვები ან შეგნებულადაა დაშვებულ-  
 ი ან მისივე ქარაფშუტული ვარაუდის ან უყურადღებობის შედეგია. მამასა-  
 დამე, დიალექტიკური დეტერმინიზმის პრინციპი და ბრალეული პასუხისმგებ-  
 ლობის პრინციპი არ გამოირიცხავენ ერთმანეთს: ნეგატიური თავისუფლება მოქ-  
 მედების თავისუფალი აუცილებლობის პირობაა, ხოლო ეს უკანასკნელი თავის  
 თავში მოიცავს სუბიექტის ბრალს როგორც საზოგადოებრივად საშიში ქმე-  
 დობისა და მისი შედეგებისადმი რეალურ ფსიქიკურ დამოკიდებულებას განზ-  
 რახვისა და გაუფრთხილებლობის ფორმით.

ისე როგორც არ არსებობს თავისუფლება ნეგატიური მომენტის გარეშე,  
 მაგრამ ჯერ კიდევ არაა რეალიზებული თავისუფალი აუცილებლობა, ასევე არ  
 არსებობს ბრალი მისი ფორმის გარეშე, რომელიც კონკრეტულ შინაარსს უკვე  
 განხორციელებული დანაშაულის ფაქტიური და სოციალური ნიშნებისადმი მი-  
 ჰართებაში იძენს. მოკლედ რომ ვთქვათ, ბრალეული პასუხისმგებლობის პრობ-  
 ლემა საბჭოთა სისტემის სამართალში დანაშაულებრივი ქცევის თავისუფალი  
 აუცილებლობის დიალექტიკურ კონცეფციას ეყრდნობა, რომელიც პასუხის-  
 მგებლობის პირობისა და მისი საგნის ერთიანობაში წვდომის საშუალებას  
 იძლევა.

## პასუხისმგებლობა ავტოტრანსპორტის გაგაბებისათვის

ჯ. ბაგილაშვილი

მოქმედი კანონმდებლობა დანაშაულად თვლის სატრანსპორტო საშუალებების თვითნებურად წაყვანას დროებითი გამოყენებისათვის. პასუხისმგებლობას ამისათვის ითვალისწინებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლი<sup>1</sup>. ამ მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროება იმაშია, რომ იგი ზიანს აყენებს ავტოტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოებას — ჰქმნის ისეთი მძიმე შედეგების დადგომის შესაძლებლობას, როგორცაა ადამიანის სიკვდილი, სხეულის დაზიანება და სხვ.

სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მანქანას უმთავრესად მთვრალი ან მართვის უფლების არამქონე პირი იტაცებს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ პირებს მანქანის მართვა უხდებათ განსაკუთრებულ პირობებში (ღელავენ, ცდილობენ სწრაფად მიადწიონ უსაფრთხო ადგილს, ყველგან მღევიარი ეჩვენებთ და სხვ.), აშკარა გახდება, თუ რა დიდია ამ დროს ავტოავარიის შესაძლებლობა.

მანქანა შეიძლება მძღოლმაც გაიტაცოს, თუმცა არც ამ შემთხვევაშია მოძრაობის უსაფრთხოების სრული გარანტია, ვინაიდან ისე, როგორც სხვა პირები, მძღოლიც არაა თავისუფალი იმ უარყოფითი ემოციური დატვირთვისაგან, რაც ესოდენ საშიშია მანქანის უსაფრთხო მართვისათვის. ამასთან ერთად ყურადსაღებია ისიც, რომ ზოგჯერ დამნაშავე იტაცებს ტექნიკურად გაუმართავ სატრანსპორტო საშუალებას და მან ეს არ იცის. ასეთი მანქანის გატაცება თუნდაც კომპეტენტური პირის მიერ საშიშია მოძრაობისათვის.

სატრანსპორტო საშუალებების გატაცება, მოძრაობის უსაფრთხოებასთან ერთად ხელყოფს მანქანის პატრონის საკუთრების უფლებას. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების მანქანების გატაცებით გარკვეული მატერიალური ზარალი მოსდით შესაბამის წარმოება-დაწესებულებებს ანაცდენი მოგების სახით.

საქართველოს სსრ სსკ 243-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა მოქმედებით ხდება. მისი ობიექტური მხარე გულისხმობს მანქანის თვითნებურად ხელში ჩაგდებას და მის წაყვანას დამნაშავეისათვის სასურველი მიმართულებით.

მანქანა თვითნებურად წაყვანილად ითვლება, თუ არ არსებობს ამაზე მისი მფლობელის ან მესაკუთრის თანხმობა.

მანქანის გატაცება გაადვილებულია თუ იგი უმეტესადაა მიტოვე-

<sup>1</sup> ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსებში (რსფსრ-ის, ბელორუსიის სსრ და სხვ.) ეს ნორმა თავდაპირველად გათვალისწინებული არ იყო და მსგავს ქმედებას სჯიდნენ როგორც ხულიგნობას. დაწვრილებით იხ. Б. А. Куринов, Автотранспортные преступления, М., 1973, стр. 146—148.

ბული (არავინაა კაბინაში, ღიაა კარები, ჩართული არაა სიგნალიზაცია და სხვ.).

მანქანის დაუფლება გართულებულია, თუ იგი მფლობელის ან სხვის ზედამხედველობის ქვეშაა. დამნაშავე ასეთ შემთხვევაში მანქანის ხელში ჩასაგდებად მიმართავს ფიზიკურ ან ფსიქიკურ ძალადობას (ავდებს მძღოლს კაბინიდან, სცემს, იყენებს ცივ ან ცეცხლსასროლ იარაღს და სხვ. ან მიმართავს ამ იარაღის გამოყენების მუქარას, ამრიგად, სატრანსპორტო საშუალების გატაცება შეიძლება მოხდეს როგორც ფარულად ისე აშკარად (პატრონის ან მეფელაყურის თანდასწრებით) ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობის გამოყენებით ან უამისოდ.

სსკ 243-ე მუხლით პასუხისმგებლობისათვის სულერთია, თუ საიდან იქნება გატაცებული სატრანსპორტო საშუალება: გარაჟიდან, ეზოდან, ქუჩიდან, დაუსახლებელი ადგილიდან თუ სხვ.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობა სხვადასხვანაირად განმარტავს, თუ რა სატრანსპორტო საშუალებების გატაცებისთვისაც შეიძლება პასუხი აგოს პირმა 243-ე მუხლით. მაგალითად, აზერბაიჯანის სსრ სსკ 213-ე მუხლით პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ „ავტომანქანის ან მოტოციკლის“ გატაცებისათვის, რსფსრ-ის და ბელორუსიის სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობით „ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა თვითმავალი მანქანების“ გატაცებისათვის; ლიტვის სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ლაპარაკია „ავტომანქანის ან მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების გატაცებაზე“, ყირგიზეთისა და სომხეთის კანონმდებლობაში — „გადაადგილების საშუალებათა გატაცებაზე“ და სხვ. რაც შეეხება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს, 243-ე მუხლში მითითებულია ავტომობილის, მოტოციკლის ან სხვა სახის ავტომოტოტრანსპორტის გატაცებაზე.

იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა იმაზე თუ რომელი ტრანსპორტის გატაცებას გულისხმობს კანონმდებელი განსახილველ დანაშაულში. მაგალითად, პროფ. ბ. ა. კურინოვი ამტკიცებს, რომ რსფსრ-ის სსკ 212<sup>1</sup>-ე მუხლი „ავტომოტოტრანსპორტსა და სხვა თვითმავალ მანქანებში“ ტრანსპორტის ამ სახეებს გარდა გულისხმობს: ქალაქის ელექტროტრანსპორტის, ტრაქტორის, რკინიგზის, წყლისა და საჰაერო ტრანსპორტის გატაცებასაც.<sup>2</sup> ამ შეხედულებას ჩვენ ვერ გავიზიარებთ. მისი ავტორი განვრცობით განმარტავს რსფსრ-ის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსკ შესაბამის მუხლებში ჩამოთვლილ სატრანსპორტო საშუალებათა სახეებს, რაც კანონის ანალოგიას მოგვაგონებს.

იურიდიულ ლიტერატურაში, ისევე, როგორც სასამართლო პრაქტიკაში, დავას არ იწვევს მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა ის დაყოფა, რაც ავტოსატრანსპორტო დანაშაულის ძირითად შემადგენლობაშია (მუხ. 241) მოცემული. აქ კანონმდებელი სატრანსპორტო საშუალებებს ყოფს ავტომოტოტრანსპორტად, ქალაქის ელექტროტრანსპორტად, ტრაქტორებად და სხვა თვითმავალ მანქანებად. ამიტომ რსფსრ-ის სსკ 212<sup>1</sup>-ე და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის სათანადო მუხლებში აღნიშნულ სატრანსპორტო

<sup>2</sup> ბ. ა. კურინოვი, დასახ. ნაშრ. გვ. 151—152. იხ. აგრეთვე М. Валиев, Ответственность за преступления на автотранспорте по уголовному кодексу Казахской ССР (канд. дис.), Алма-Ата, 1966, стр. 301.

საშუალებათა სახეები გაგებული უნდა იქნეს იმგვარად, როგორც ის კანონმდებელს ესმის — რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 211-ე და მოკავშირე რესპუბლიკების სსკ შესაბამისი მუხლების მიხედვით.

ვერ დავეთანხმებით პროფ. ბ. ა. კურინოვს და სხვა ავტორებს აგრეთვე იმაში, თითქოს რსფსრ-ის სსკ 212<sup>1</sup>-ე მუხლი რკინიგზის, წყლის და საჰაერო ტრანსპორტის გატაცებასაც გულისხმობდეს.<sup>3</sup> ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ტრანსპორტის ეს სახეები არ შეიძლება იგულისხმებოდეს „ავტომოტოტრანსპორტში ან სხვა თვითმავალ მანქანებში“, რაზეც მიუთითებს რსფსრ-ის სსკ შესაბამისი მუხლი. წინააღმდეგ შემთხვევაში ისეთი გაზრდილი საზოგადოებრივი საშიშროების მქონე ქმედობისათვის, როგორც თვითმფრინავის გატაცება და სხვ., კანონმდებელი ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ან ამავე ვადით გამასწორებელ სამუშაოებს არ გაითვალისწინებდა.<sup>4</sup> დაბოლოს მხედველობაში მისაღები ისიც, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის ბრძანებულებით ცალკეა გათვალისწინებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საჰაერო ხომალდის გატაცებისათვის და შესაბამისად მკაცრად ისჯება<sup>5</sup>. ასე, რომ რსფსრ-ის სსკ 212<sup>1</sup>-ე მუხლის მიერ მითითებულ „ავტომოტოტრანსპორტისა და სხვა თვითმავალ მანქანებში უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ ავტომანქანები და საგზაო, სამშენებლო, სასოფლო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სპეციალური მანქანები (ექსკავატორი, გრეიდერი, ავტომწე, სკრეპერი, ავტომტვირთავი და ა. შ.)“<sup>6</sup>.

საქართველოს სსრ სსკ 243-ე მუხლი, როგორც უკვე ითქვა, მიუთითებს „ავტომობილის, მოტოციკლის ან სხვა სახის ავტომოტოტრანსპორტის“ გატაცებაზე. იურიდიულ ლიტერატურაში ამ მუხლის დისპოზიცია გაკრიტიკებულია იმისათვის, რომ იგი, რსფსრ-ის სსკ შესაბამისი მუხლის მსგავსად, არ ითვალისწინებს ქალაქის ელექტროტრანსპორტის და სხვა სატრანსპორტო საშუალებათა გატაცებას<sup>7</sup>.

ეს კრიტიკა ნაწილობრივ მისაღებია, რადგან 243-ე მუხლში მართლაც არაფერია ნათქვამი პასუხისმგებლობაზე ქალაქის ელექტროტრანსპორტის გატაცებისათვის. გარდა ამისა, ეს მუხლი სათანადოდაც ვერ არის ფორმულირებული. კერძოდ, გაუგებარია რა იგულისხმება „სხვა სახის ავტომოტოტრანსპორტში“.

„ავტომოტოტრანსპორტში“, როგორც უკვე ითქვა, იგულისხმება: ა) ყველა სახისა და დანიშნულების ავტომანქანები (მსუბუქი, სატვირთო, სპეციალური და სხვ.); ბ) ყველა სახის მოტოციკლი, მოტოროლერი, ფურგონი და სხვ., გარდა იმ ველოსიპედებისა და მოპედებისა, რომელთა ძრავის საშუალო მოცულობა ნაკლებია 49,8 სმ<sup>3</sup>-ზე<sup>8</sup>. ქმედობის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ დამნაშავეს მიერ ვისი მანქანაა გატაცებული: სახელ-

<sup>3</sup> ბ. ა. კურინოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 151—152; მ. ვალიევი, დასახ. ნაშრ. გვ. 301.

<sup>4</sup> იხ. რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 211<sup>1</sup>-ე მუხლი.

<sup>5</sup> ააზეთი „იზვესტია“ 1973 წლის 3 იანვარი.

<sup>6</sup> იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წლის 6 ოქტომბრის დადგენილება „ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ — Бюллетень Верховного Суда СССР, № 6, стр. 21.

<sup>7</sup> Б. А. Куринов, Автотранспортные преступления, М., 1970, стр. 151.

<sup>8</sup> მოტოციკლთან გათანაბრებულია სამთვლიანი მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომლის წონა უტვირთოდ 400 კგ არ აღემატება (იხ. გზებზე მოძრაობის წესების მე-9 მუხლი).

მწიფოსი, საზოგადოებრივი, კოოპერაციული ორგანიზაციისა თუ მოქალაქის ყველა შემთხვევაში პირი პასუხს აგებს 243-ე მუხლით.

პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ საქართველოს სსრ სსკ 243-ე მუხლის ზემოაღნიშნული ხარვეზის გამო სასამართლო იძულებულია განვრცობილ განმარტოს, ამ მუხლში გათვალისწინებული ნორმა და პირი დასაჯოს ქალაქის ელექტროტრანსპორტის, ტრაქტორისა თუ სხვა თვითმავალი მანქანის გატაცებისათვის. მაგალითად, მთვრალმა ა.-მ. ქ. თბილისში, კარლ მარქსის სახელობის მოედნიდან, დროებითი გამოყენების მიზნით, გაიტაცა ხალხით სავსე ტროლეიბუსი და მოძრაობის დროს მძიმედ დააზიანა ქვეითად მოსიარულე ქ. თბილისის ოქტომბრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ ა-ს მსჯავრი დასდო საქართველოს სსრ სსკ 241-ე მუხლის მესამე და 243-ე მუხლის პირველი ნაწილით<sup>9</sup>.

ზოგჯერ პირიქით, იმის გამო, რომ სასამართლო ზუსტად ხელმძღვანელობს სსკ 243-ე მუხლის მოთხოვნით, თავს იკავებს იმ პირის დასჯაზე, რომელიც დროებითი გამოყენების მიზნით იტაცებს ქალაქის ელექტროტრანსპორტს, ტრაქტორს ან სხვა თვითმავალ მანქანას. მაგალითად, ა-მ ძალით წაართვა საჭე თ-ს და დროებითი გამოყენების მიზნით გაიტაცა ტრაქტორი. გზაზე მოძრაობის დროს განავითარა დიდი სიჩქარე, მკვეთრად მოუხვია მოსახვევში და ტრაქტორზე მიბმული გუთანის წამოსდო გვერდულაზე მიმავალ ბავშვებს. სამმა მათგანმა მიიღო დაზიანება. დამნაშავე შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. ქარელის რაიონის სახალხო სასამართლომ ა-ს მსჯავრი დასდო მხოლოდ საქართველოს სსრ სსკ 241-ე მუხლის მესამე ნაწილით.<sup>10</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ საქართველოს სსრ სსკ 243-ე მუხლის დისპოზიცია უნდა გადაისინჯოს. გაფართოვდეს ჩამოთვლილ სატრანსპორტო საშუალებათა წრე, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსების მსგავსად.

სასამართლო პრაქტიკაში არაერთგვაროვნად წყდება პასუხისმგებლობა იმ პირისა, რომელსაც დროებითი გამოყენების მიზნით თვითნებურად მიჰყავს ახლო ნათესავის სატრანსპორტო საშუალება.<sup>11</sup>

სასამართლოების ერთი ნაწილი ასეთ შემთხვევას გატაცებად თვლის და პირს პასუხისმგებაში აძლევს საქართველოს სსრ სსკ 243-ე მუხლით. მაგალითად, ჭ-მ სოფ. საბუეში 1974 წლის 27 ოქტომბერს, დაახლოებით 16 საათზე, თავისი საცხოვრებელი სახლის ეზოდან უნებართვოდ წაიყვანა თავისი მამის ავტომანქანა მ-21. გზაზე მოძრაობის დროს მან დაარღვია მოძრაობის წესები და დაეჯახა მოპირდაპირე მხრიდან მომავალ მოტოციკლს. ავარიის შედეგად სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება მიიღეს მოტოციკლზე მსხლომმა მგზავრებმა.

<sup>9</sup> ქ. თბილისის ოქტომბრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი, საქმე № 160, 1972 წ.

<sup>10</sup> ქარელის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი, საქმე № 87, 1972 წ.

<sup>11</sup> საყურადღებოა, რომ პრაქტიკით პასუხისმგებლობა დეგრადაციულად მხოლოდ მამის, როდესაც გატაცებულს არა აქვს მანქანის მართვის უფლება ან მთვრალი ჩადის 241-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს.

ყვარლის რაიონის სახალხო სასამართლომ 3-ს მსჯავრი დასდო საქართველოს სსრ სსკ 241-ე მუხლის მეხამე და 243-ე მუხლის პირველი ნაწილით<sup>12</sup>.

ზოგი სასამართლო, პირიქით, ასეთ შემთხვევებს არ მიიჩნევს გატაცებად და თავს იკავებს პირის 243-ე მუხლით პასუხისგებაში მიცემაზე. მაგალითად; არასაუწყებო დაცვის მუშაკმა მ-მ 1975 წლის 3 თებერვალს თვითნებურად გამოიყვანა თავისი ნათესავის ავტომანქანა მ-21, ობიექტების შემოსავლელად. პლენუმის განხილვებში მოძრაობისას მან დაარღვია მოძრაობის წესები და მანქანა დააჯახა ქვეითად მოსიარულე კ-ს. ავარიის შედეგად ეს უკანასკნელი მძიმედ დაზიანდა. ქ. თბილისის პირველი მაისის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ მ-ს მსჯავრი დასდო მხოლოდ საქართველოს სსრ სსკ 241-ე მუხლის მეხამე ნაწილით<sup>13</sup>.

ჩვენი აზრით, უფრო სწორია პოზიცია, რომელიც ასეთ შემთხვევას გატაცებად არ თვლის. მოქალაქის მიერ ახლო ნათესავის მანქანის თვითნებურად წაყვანა თავისი სუბიექტური და ობიექტური თავისებურებების გამო განსხვავდება მანქანის გატაცებისაგან. სახელდობრ, მანქანის ამგვარი წაყვანა სუბიექტში არ იწვევს იმ უარყოფით ფსიქიკურ ცვლილებებს, რაზედაც ლაპარაკი იყო წერილის დასაწყისში. სუბიექტს არა აქვს იმის შიში, რომ მანქანის პატრონი შენიშნავს მას და მოითხოვს მის დასჯას.

გარდა ამისა, თუ სატრანსპორტო საშუალების გამტაცებელი, არ ზრუნავს მანქანის ტექნიკურ მდგომარეობაზე (ხშირად ამტვრევს ან აზიანებს მას, სტოვებს უმეტეაღყუროდ და ამით ჰქმნის მანქანის გაქურდვის ხელსაყრელ პირობებს და სხვ.), ეს არ შეიძლება ითქვას ახლო ნათესავის მიმართ. იგი, პირიქით, დაინტერესებულია მანქანის ბედ-იღბლით — მისი ტექნიკური მდგომარეობით და ა. შ.<sup>14</sup>

დაბოლოს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ინტერესს არ არის მოკლებული სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 3 ივლისის დადგენილება „ არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“. ამ დადგენილების მე-7 მუხლის თანახმად, როგორც წესი, შშობლების ან ოჯახის სხვა წევრების გაქურდვისათვის არასრულწლოვანის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მიზანშეწონილად ითვლება მხოლოდ დაზარალებულის განცხადების საფუძველზე. თუ მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობით გატაცების მიმართ შეიძლება ასეთი გამონაკლისის გაკეთება, ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ შემთხვევაში, უფრო მეტი საფუძველი არსებობს პირის სისხლის სამართლის წესით დევნისაგან თავის შესაკავებლად.<sup>15</sup>

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ გატაცებად

<sup>12</sup> საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არქივი, სისხლის სამართლის კოლეგიის განჩინება, № 844, 1975 წ.

<sup>13</sup> საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არქივი, სისხლის სამართლის კოლეგიის განჩინება № 966, 1975 წ.

<sup>14</sup> ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამის მუხლებში (ესტონეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ და სხვ.) პირდაპირაა მითითებული სხვისი სატრანსპორტო საშუალების გატაცებაზე. ანალოგიურ მითითებას აკეთებენ სახალხო დემოკრატიული ქვეყნების (გდრ-ის, პოლონეთის, ბულგარეთისა და სხვ.) სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები.

<sup>15</sup> Сборник постановлений пленума Верховного Суда СССР 1924—1970, М., 1971, стр. 300—301.



უნდა ჩაითვალოს აგრეთვე შემთხვევა, როდესაც მძღოლს თვითნებურად გამოჰყავს გარაჟიდან მასზე გაპიროვნებული მანქანა<sup>16</sup>.

ჩვენი აზრით, საკითხის ასე დაყენება სადავოა. ასეთი ქმედობის მიჩნევა გატაცებად და სსკ 243-ე მუხლით პირის პასუხისგებაში მიცემა აფართოებს ამ ნორმის მოქმედების ფარგლებს, რამდენადაც პირის მიერ მასზე გაპიროვნებული მანქანის თვითნებური წაყვანა თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობით განსხვავდება გატაცებისაგან.<sup>17</sup> ჯერ ერთი პირს გარკვეული უფლება აქვს ამ მანქანის მიმართ (მასზეა მანქანა გაპიროვნებული) და მეორეც, იგი, როგორც ზემოთ ითქვა, ახლო ნათესავის მანქანის უნებართვოდ წაყვანაზე, დაინტერესებული მოცემული სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მდგომარეობით და სხვ. ასე რომ, მისი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება არ აღწევს საშიშროების იმ ხარისხს, რომლის წინააღმდეგაც არის დადგენილი 243-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმა.

აღნიშნული ქმედობა, ჩვენი აზრით, განხილული უნდა იქნეს დისციპლინური ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ასპექტში<sup>18</sup>. სასამართლო პრაქტიკა სწორედ ამ გზით მიდის. მაგალითად, ა-მ დილის ზუთ საათზე № 3 ავტოკოლონის გარაჟიდან თვითნებურად გამოიყვანა მასზე გაპიროვნებული სატვირთო ავტომანქანა და წავიდა სოფ. გაჩიანის მიმართულებით. სადგურ ველია მახლობლად, აეროპორტის გზაჯვარედინთან არ დაემორჩილა სახელმწიფო ავტონისპექტორის გ-ს მოთხოვნას გაეჩერებინა მანქანა, დარღვია მოძრაობის წესების შესაბამისი მოთხოვნები და, როდესაც მას წინ გადაუსწრო გ-მ მოტოციკლით დააჯახა მანქანა. ავარიის შედეგად გ. სასიკვდილოდ დაზიანდა. ქ. თბილისის კიროვის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ ა-ს მსჯავრი დასდო საქართველოს სსრ სსკ 241-ე მუხლის მეხამე ნაწილით<sup>19</sup>.

განსახილველი დანაშაულის სუბიექტია ნებისმიერი შერაცხადი პირი, რომელსაც შეუსრულდა 16 წელი. პასუხისმგებლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვინაა დამნაშავე: მძღოლი თუ მართვის უფლების არამქონე პირი.

სატრანსპორტო საშუალების გატაცება სუბიექტური მხარის მიხედვით შეიძლება ჩადენილი იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ მანქანას იტაცებს დროებითი გამოყენების მიზნით და სურს მისი გატაცება.

მანქანის დროებით გამოყენებად ითვლება მისი გატაცება გასასეირნებლად, სხვა დანაშაულის ჩასადენად, გარკვეულ ადგილზე მისასვლელად, ტვირთის გადასატანად და სხვ. მაგალითად, ი-მ ქ. თბილისში გაქურდა ხალიჩების საამქრო და მოპარული 82 ხალიჩა გადაძალა კომკავშირის სახელობის ხეივანში. ი-ს უნდოდა ნაქურდალი ხალიჩების წაღება ქ. ქუთაისსა და სამტრედიაში. ამისათვის მან გაიტაცა კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ გაჩერებული ავტომან-

<sup>16</sup> М. Валиев, Ответственность за преступления на автотранспорте по уголовному кодексу Казахской ССР (канд. дисс.), Алма-Ата, 1966, стр. 292.

<sup>17</sup> ბ. ა. კურინოვი, დასახ. ნაშრ. გვ. 154.

<sup>18</sup> გზებზე მოძრაობის წესების მე-10 მუხლის ბ პუნქტის თანახმად მძღოლი ვალდებულია ხაზზე გამოსვლისას თან იქონიოს საგზაო ან სამარშრუტო ფურცელი. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი გარაჟიდან გამოსვლა ითვლება თვითნებურად და იგი პასუხს აგებს ადმინისტრაციული წესით.

<sup>19</sup> ქ. თბილისის კიროვის სახელობის სახალხო სასამართლოს არქივი, საქმე. № 147, 1964 წ.

ქანა „პობელა“, ჩააწყო შიგ მოპარული ხალიჩები და გაემართა ქუთაისისაკენ. დამნაშავე გზაზე დააკავეს<sup>20</sup>.

იურიდიულ ლიტერატურაში ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს, რომ „კანონის ტექსტიდან ნათლად არ ჩანს, თუ რას გულისხმობს „მანქანის დროებითი გამოყენების მიზნით გატაცების ცნება, ან დროის რა მონაკვეთს შეიძლება ეწოდოს დროებითი“<sup>21</sup>.

ეს შენიშვნა უდავოდ გასათვალისწინებელია. სამწუხაროდ ავტორი არ ცდილობს მის გარკვევას და იმით კმაყოფილდება, რომ „საჭიროა საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები უფრო მკაცრად მიუდგნენ აღნიშნული კატეგორიის საქმეთა გამოძიებას და უფრო გაბედულად დააკვალიფიცირონ ასეთი საექვო გატაცების ფაქტები, როგორც ავტომობილსატრანსპორტო საშუალებების ქურდობა, ან გაძარცვის მცდელობა“<sup>22</sup>.

ამ საკითხის გადაწყვეტა, ჩვენი აზრით, დიდ სიფრთხილესა და დაკვირვებას მოითხოვს, რამდენადაც, ცნობილია, რომ ბრალდება არ შეიძლება აგებული იქნეს საექვო ფაქტებზე და ვერც მარტოდენ გამბედაობა გაუწევს დიდ დახმარებას სათანადო ორგანოებს საქმეზე ობიექტური ჰუმანიტარული დადგენაში. ვფიქრობთ, ერთადერთი სწორი გამოსავალი მაინც სსკ 243-ე მუხლში გათვალისწინებული ნორმის სწორი ახსნა უნდა იყოს, ისე როგორც ეს კანონმდებელს ესმის.

მანქანის გატაცების მიზნის დადგენა მტკიცების საკითხია. იგი საქმის კონკრეტული მასალების მიხედვით უნდა გადაწყდეს. მაგალითად, დამნაშავემ გატაცებული მანქანა შეღება. დაუყენა ყალბი სახელმწიფო ნომრები, შეადგინა ყალბი დოკუმენტები, გაყიდა, გააჩუქა და სხვ. ან დაშალა და შეუდგა მის ნაწილ-ნაწილ გაყიდვას. მოცემულ შემთხვევაში მტკიცების მხრივ დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს გატაცების მიზნის დადგენა, რადგან არსებული მატერიალური კვალი მიგვანიშნებს სუბიექტის განზრახვაზე — მიითვისოს მანქანა. დამნაშავეს მოქმედების მიზნის დადგენა გართულებულია მაშინ, როდესაც იგი იტაცებს მანქანას და გარკვეული ხნით ეწევა მის ექსპლოატაციას გარეგანი ნიშნების შეუცვლელად. მარტო დროის ფაქტორზე დაყრდნობით რა თქმა უნდა მითვისების მიზნის დადგენა საკმარისი არ იქნება და საჭიროა სხვა მტკიცებულებათა შეკრებაც. სატრანსპორტო საშუალება ისე შეუმჩნეველი არ არის, რომ დამნაშავემ იგი დიდი ხნით გამოიყენოს გარე სამყაროსაგან იზოლირებულად. თუ პირი გატაცებული მანქანით სარგებლობს, ეს შეუმჩნეველი არ დარჩებათ სათანადო ორგანოებს, რომლებიც ამ სატრანსპორტო საშუალებას ეძებენ და სხვ.

სსკ 243-ე მუხლში გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულად ითვლება, როგორც კი დამნაშავე თვითნებურად გამოიყვანს მანქანას გარაჟიდან, ეზოდან ან სხვა სადგომი ადგილიდან.

დანაშაულის მომზადება იქნება: სატრანსპორტო საშუალების კარის გაღება, საწვავის ჩასხმა, გასაღების მორგება და სხვ.

<sup>20</sup> საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არქივი, სისხლის სამართლის კოლეგიის განჩინება, № 87, 1969 წ.

<sup>21</sup> გ. ცუცქირაძე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევისათვის, თბ., 1971, გვ. 208.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 209.

დანაშაულის მცდელობად ჩაითვლება: მანქანის დაქოქვა, გარაჯიდან გამოვარება და სხვ.

განსახილველი დანაშაულის ჩადენა შეიძლება როგორც ერთი პირის, ისე პირთა ჯგუფის მიერ. პირი შეიძლება სხვამ წააქეზოს მანქანის გასატაცებლად ან აღუთქვას დახმარება ტექნიკურ საშუალებათა მიწოდებით. ასეთ შემთხვევაში დანაშაულის ამსრულებელი პასუხს აგებს სსკ 243-ე მუხლით. დამხმარე და წამქეზებელი კი — შესაბამისად ამ დანაშაულის ჩადენის წაქეზებისა და დახმარებისათვის. თანამსრულებლობის დროს ყველა მონაწილე პასუხს აგებს 243-ე მუხლით, მიუხედავად იმისა, თუ ვინ მართავდა ფაქტობრივად გატაცებულ მანქანას.

საქართველოს სსრ სსკ 243-ე მუხლი ქმედობის კვალიფიციურ სახესაც ითვალისწინებს. სახელდობრ, იგი მიუთითებს იმავე ქმედობაზე, რომელიც განმეორებით არის ჩადენილი.<sup>23</sup>

განსახილველი დანაშაული განმეორებით ჩადენილად ითვლება, თუ პირს წინათ ჩადენილი ჰქონდა სსკ 243-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედობა, იმის მიუხედავად, იყო თუ არა იგი მსჯავრდებული ამ დანაშაულისათვის. განმეორებით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს დანაშაულის სტადიას — პირს მსჯავრი ედება როგორც დამთავრებული, ისე დაუმთავრებელი დანაშაულისათვის.

გატაცება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც განმეორებით ჩადენილი, თუ დამნაშავეს წინანდელი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი აქვს ამნისტიით, ან უკეთუ იგი გაქარწყლებულია ან მოხსნილია საფუძვლების 47-ე მუხლის შესაბამისად, აგრეთვე თუ მანქანის გატაცების მომენტისათვის გასული იყო წინათ ჩადენილი ანალოგიური დანაშაულისათვის დადგენილი სისხლის სამართლის დევნის ხანდაზმულობის ვადა. ასევე არ შეიძლება განმეორებით ჩაითვალოს დამნაშავეს მიერ ერთსა და იმავე დროს და ერთი და იმავე ადგილიდან მანქანის გატაცების არა ერთი ცდა, ვინაიდან ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ერთი დანაშაულებრივი განზრახვის რეალიზაციას. მაგალითად, ს. ცნობილი იქნა დამნაშავედ იმაში, რომ 1968 წლის 11 სექტემბერს, ღამით, მთვრალ მდგომარეობაში მყოფი, შეეცადა დროებით გამოყენების მიზნით გაეტაცებინა მოქ. პელეგინის, ნემნოვისა და ჟალნინის ავტომანქანები. პირველად ს. შეეცადა დაექოქა პელეგინის ავტომანქანა „ვოლგა“, მაგრამ ვერ შესძლო. შემდეგ მივიდა ნემნოვის „მოსკვიჩთან“, მაგრამ ვერც ის დაქოქა. ბოლოს იგი დააკავეს როდესაც ჟალნინის მანქანას ქოქავდა. ქ. მოსკოვის ლენინგრადის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ ს-ს მსჯავრი დასდო რსფსრ-ის სსკ მე-15 და 212<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილით (მანქანის განმეორებით გატაცების მცდელობისათვის). მოსკო-

<sup>23</sup> ამ მხრივ საინტერესო თავისებურებით ხასიათდება ზოგიერთი სახალხო დემოკრატიული ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობა. მაგალითად, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სსკ 346-ე მუხლი კვალიფიციურ ნაწილად ითვალისწინებს გატაცებას, რასაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების დაზიანება ან თუ იგი მიტოვებული იქნა და სხვ. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სსკ მიუთითებს გატაცების შემდეგ მანქანის დაზიანებული სახით მიტოვებაზე, როდესაც არსებობს გაადგილების საშუალების ან მისი რაიმე ნაწილის ან მანქანაში არსებული საგნის დაკარგვის ან დაზიანების საშიშროება.

ვის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმმა ს-ს ქ. ედგოა გადაკვალიფიცირა რსფსრ-ის სსკ მე-15, 212'-ე მუხლის პირველ ნაწილზე და მართებულად მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში (ერთი და იმავე ადგილის და დროის პირობებში) დამნაშავე მისწრაფოდა ბოლომდე მიეყვანა თავისი განზრახვა — გაეტაცნა ავტომანქანა. ამიტომ, მიუთითა პრეზიდიუმმა, რომ მოქმედება არ შეიძლება განმეორებითად ჩაითვალოს.<sup>24</sup>

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ გაფართოვდეს სსკ 243-ე მუხლის კვალიფიციური შემადგენლობის ნიშნები. კერძოდ, ქმედობის განმეორებით ჩადენასთან ერთად, მიეთითოს სიმთვრალეში ავტოსატრანსპორტო საშუალების გატაცებაზე და დანაშაულის ჩადენაზე პირთა ჯგუფის მიერ.<sup>25</sup>

ეს მოსაზრება საგულისხმოა და, ვფიქრობთ, გაზიარებული უნდა იქნეს. გარდა ამისა, ჩვენი აზრით, კვალიფიციურ სახედ უნდა გამოიყოს აგრეთვე სატრანსპორტო საშუალების გატაცება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით. სასამართლო პრაქტიკაში ასეთი შემთხვევები იშვიათი არ არის და სათანადო რეაგირებას მოითხოვენ. მაგალითად, ა-მ ტაქსის მძღოლ პ-ს სახალხოდ აგინა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების მუქარით აიძულა მანქანიდან გადმოსულიყო. მიუხედავად იმისა, რომ ა. მთვრალი იყო და არ ჰქონდა მანქანის მართვის უფლება, იგი მიუჯდა საჭეს, ორჯერ ისროლა ჰაერში რევოლვერი და მანქანა გაიტაცა. გზაზე მოძრაობისას დაარღვია სათანადო წესები და მანქანა ელექტრონის ბოძს დააჯახა. ქ. თბილისის ოქტომბრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ ა-ს მსჯავრი დასალო საქართველოს სსრ სსკ 228-ე მუხლის მეორე, 141-ე და 243-ე მუხლის პირველი ნაწილით<sup>26</sup>. სხვა მაგალითი, ცივი იარაღის გამოყენების მუქარით ც-მ აიძულა ტაქსის მძღოლი წაჰყოლოდა ქალაქ გარეთ. გზაზე მოძრაობისას, როდესაც ისინი კინოთეატრ „საქართველოს“ მიუახლოვდნენ, მძღოლმა მანქანა გააჩერა და დახმარება სთხოვა იქვე მდგომ მილიციელს. როგორც კი ც-მ მილიციელს დაინახა, იგი მიუჯდა საჭეს და შეეცადა მიმალულიყო. მანქანით მოძრაობისას დაარღვია გზებზე მოძრაობის წესების შესაბამისი მოთხოვნები და მანქანა დააჯახა კედელს. ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ ც-ს მსჯავრი დასალო საქართველოს სსრ სსკ 238-ე და 241-ე მუხლების მეორე და 243-ე მუხლის პირველი ნაწილით.<sup>27</sup>

აღნიშნული პირების დასჯა სსკ 243-ე მუხლის პირველი ნაწილით ეფექტური არ არის, რადგან აქ ვათვალისწინებელი სანქციები არ შეესაბამება ქმედობის ვაზრდილ საზოგადოებრივ საშიშროებას. ამიტომ საჭიროა ეს ქმედობა ვათვალისწინებელი იქნეს განსახილველი მუხლის მეორე ნაწილში, რაც ვაზრდის დამნაშავეს პასუხისმგებლობას და ხელს შეუწყობს ამ კატეგორიის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლას. საკითხის დადებითად გადაწყვეტამდე აღნიშნული შემთხვევები რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს. ჩვენი აზრით, სატრანსპორტო საშუალებათა გატაცება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა

<sup>24</sup> Бюллетень Верховного Суда РСФСР, 1969, № 12, стр. 10.

<sup>25</sup> ბ. ა. კურიჩივი, დასახ. ნაშრ., გვ. 166, გ. ცუცქერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 207 და სხვ.

<sup>26</sup> ქ. თბილისის ოქტომბრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი, საქმე № 8, 1968 წ.

<sup>27</sup> ქ. თბილისის ლენინის სახელობის სახალხო სასამართლოს არქივი, საქმე № 169, 1970 წ.

იდეალური ერთობლიობის წესით. სახელდობრ, საქართველოს სსრ სსკ 243-ე და 135-ე მუხლით (იძულება), ვინაიდან დამნაშავე დასასჯელი მუქარით აიძულებს მძღოლს გადასცეს მას მანქანა ან წაიყვანოს იგი დამნაშავეისათვის სასურველი მიმართულებით. საკითხის ასეთი გადაწყვეტა, ვფიქრობთ, დაეხმარება სასამართლოს სწორად შეაფასოს ქმედობის საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ხელს შეუწყობს დამნაშავეის სათანადო დასჯას.

საქართველოს სსრ სსკ 243-ე მუხლის პირველი ნაწილით მანქანის გატაცებისათვის სასჯელად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით ან ჯარიმა ას მანეთამდე.<sup>28</sup> დანაშაულის კვალიფიციური სახე ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

აღსანიშნავია, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებების გატაცება არაერთგვაროვნად ისჯება მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი კანონმდებლობით. მაგალითად, რსფსრ-ის და ბელორუსიის სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობა, საქართველოსა და უკრაინის სსრ შესაბამისი კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ალტერნატიულად ითვალისწინებს აგრეთვე საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების გამოყენებას. ესტონეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსი მიუთითებს სასჯელის მხოლოდ ერთ ღონისძიებაზე — თავისუფლების აღკვეთაზე ვადით სამ წლამდე. ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობა კი საერთოდ არ იცნობს სატრანსპორტო საშუალებათა გატაცების კვალიფიციურ სახეს. მაგალითად, ყაზახეთის სსრ სსკ 221-ე მუხლი შედგება მხოლოდ ერთი ნაწილისაგან და სასჯელად ითვალისწინებს სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ან გამასწორებელ სამუშაოებს ერთ წლამდე ან ჯარიმას ას მანეთამდე ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების გამოყენებას.

ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცებას ზოგჯერ შეიძლება თან ახლდეს კანონის სხვა დარღვევებიც. ერთ-ერთი ასეთი ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა გატაცებული მანქანით ავარიის მოხდენა ანუ ჩადენა დანაშაულისა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სსკ 241-ე მუხლით. დამნაშავეის მოქმედება მოცემულ შემთხვევაში დაკვალიფიცირდება დანაშაულთა იდეალური ერთობლიობის წესით, სსკ 241-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით და 243-ე მუხლით.

პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ზოგიერთ სასამართლოს მთელი ყუარადლება გადააქვს 241-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგების გამოწვევაზე და იგი რეაგირების გარეშე ტოვებს მანქანის გატაცების ფაქტს. მაგალითად, მთვრალმა ლ-მ 1973 წლის 6 ნოემბერს, დროებითი გამოყენების მიზნით, წყალტუბოდან გაიტაცა ავტომანქანა „ჟიგული“, დაარღვია მოძრაობის წესების შესაბამისი მოთხოვნები და დაეჯახა გზაზე გაჩერებულ მანქანას. ავარიის შედეგად დაზიანდნენ ამ მანქანაში მსხდომი მგზავრები. წყალტუბოს რაიონის სახალხო სასამართლომ ლ-ს მსჯავრი დასდო საქართველოს სსრ სსკ მხოლოდ 241-ე მუხ-

<sup>28</sup> სახალხო დემოკრატიული ქვეყნების ზოგიერთი რესპუბლიკის (პოლონეთის და სხვ.) სისხლის სამართლის კანონმდებლობით მანქანის გატაცების მარტივი სახე კერძო ბრალდების დანაშაულთა საქმეების კატეგორიას ეკუთვნის. სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მანქანის გატაცების ფაქტზე ხდება მხოლოდ დაზარალებულის განცხადებით.

ლის მეორე ნაწილით<sup>29</sup>, რაც ჩვენი აზრით, მართებული არ არის. კანონის თანახმად სასამართლო ვალდებული იყო ლ-ს ქმედობა დაეკვალიფიცირებინა და ნაშუალოთა ერთობლიობით, რამდენადაც ლ-მ ჩაიდინა ორი დანაშაული, გათვალისწინებული სსკ 241-ე და 243-ე მუხლებით.

ინტერესს იწვევს მანქანის გატაცების კვალიფიკაციის საკითხი მაშინ, როცა გამტაცებელი მთვრალია. მძღოლი, რომელსაც სიმთვრალეში მანქანის მართვისათვის ჩამორთმეული აქვს მართვის უფლება, პასუხს აგებს დანაშაულთა იდეალური ერთობლიობით — მანქანის გატაცებისათვის (მუხ. 243) და სატრანსპორტო საშუალების ნასვამ მდგომარეობაში მართვისათვის (მუხ. 241-ე). წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ დამნაშავე ადრე არ ყოფილა შემჩნეული სიმთვრალეში მანქანის მართვისათვის, იგი პასუხს აგებს მხოლოდ სსკ 243-ე მუხლით, ამასთან, როგორც წესი, სიმთვრალე სასამართლოს მიერ განხილული იქნება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად და სხვა თანასწორ პირობებში გამოიწვევს სანქციის ფარგლებში დამნაშავის მკაცრად დასჯას. საქართველოს სსრ სსკ 29-ე მუხლის საფუძველზე დამნაშავეს ჩამოერთმევა აგრეთვე მანქანის მართვის უფლება ვადით ერთიდან ხუთ წლამდე.

თუ სიმთვრალეში მანქანის გამტაცებელი მართვის უფლების არმქონეა, და ადრე შემჩნეული არ ყოფილა სიმთვრალეში მანქანის მართვისათვის, იგი პასუხს აგებს ასევე დანაშაულთა ერთობლიობით 243-ე და 241-ე მუხლებით. ხოლო თუ დამნაშავეს ადრე სიმთვრალეში არ უმართია მანქანა და ეს მისთვის პირველი შემთხვევაა, იგი პასუხს აგებს მხოლოდ 243-ე მუხლით. სიმთვრალის ფაქტი კი გავლენას იქონიებს მისი ქმედობის საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასებაზე.

ზოგჯერ მანქანის გატაცებას თან ერთვის საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობა ანუ ხულიგნობა. ჩვენი აზრით, ასეთი ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ სსკ 228-ე (ხულიგნობა) და 243-ე მუხლების ერთობლიობით. თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს სხვა მოსაზრებაც. მაგალითად, პროფ. ბ. ა. კურინოვის შეხედულებით, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცება თავისი არსით ხულიგნობის მარტივ სახესაც მოიცავს და საჭირო არ არის მისი დამატებითი კვალიფიკაცია ხულიგნობის მუხლით<sup>30</sup>.

ჩვენი აზრით, საკითხის ასეთი გადაწყვეტა სადავოა, რამდენადაც 243-ე მუხლში გათვალისწინებული ქმედობა განსხვავდება ხულიგნობისაგან. მანქანის გატაცება როგორც წესი, ფარულად ხდება, ხულიგნური მოტივების გარეშე და სხვ. ამის შესახებ თვით ავტორიც მიუთითებს თავის ნაშრომში, როდესაც იგი აკრიტიკებს იმ მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო პრაქტიკას, რომელთაც ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცების სპეციალური შემადგენლობა ადრე არ ჰქონდათ და მსგავს ქმედობებს ხულიგნობით აკვალიფიცირებდნენ<sup>31</sup>.

საქართველოს სსრ სსკ 243-ე მუხლის დისპოზიციაში, როგორც ითქვა, კანონმდებელი მიუთითებს ქმედობის სპეციალურ მიზანზე—ავტომობილსატრანსპორტო საშუალების გატაცებაზე დროებითი გამოყენების მიზნით. როგორ გა-

<sup>29</sup> საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არქივი, სისხლის სამართლის კოლეგიის განჩინება, № 841, 1974 წ.

<sup>30</sup> Б. А. Куринов, Автотранспортные преступления. М., 1970, стр. 157

<sup>31</sup> იქვე, გვ. 146—147.

დაწყდება პასუხისმგებლობის საკითხი მაშინ, თუ მანქანა გატაცებულია არა დროებით გამოსაყენებლად, არამედ მითვისების მიზნით? ასეთი ქმედობა განხილული უნდა იქნეს როგორც ქონებრივი დანაშაული და დაკვალიფიცირდება იმის მიხედვით, თუ ვის ეკუთვნის მანქანა (სახელმწიფო, საზოგადოებრივ ორგანიზაციას თუ მოქალაქეს). კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, მთელი მანქანის მითვისება სურდა პირს, თუ მისი რომელიმე ნაწილისა; ვთქვათ, უნდოდა მოეხსნა სარკე, რადიომიმღები, სათადარიგო საბურავი და ა. შ.

სასამართლომ ყველა კონკრეტულ საქმეზე უნდა დაადგინოს, რომ სატრანსპორტო საშუალების (ან მისი ნაწილის) მითვისების მიზანი დამნაშავეს წარმოეშვა მანქანის გატაცების შემდეგ ან ჰქონდა თავიდანვე — მანქანის დროებით გამოყენების მიზანთან ერთად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ მანქანა თავიდანვე მითვისების მიზნითაა გატაცებული, ქმედობის კვალიფიკაცია, ქონებრივი დანაშაულის სათანადო მუხლის გარდა, სსკ 243-ე მუხლით საჭირო აღარ არის, ვინაიდან მანქანის გატაცება ამ შემთხვევაში წარმოადგენს დანაშაულის ჩადენის ხერხს. ამ საკითხს სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ სათანადო ყურადღებას არ უთმობენ და უსაფუძვლოდ სჯიან პირს სსკ 243-ე მუხლით. მაგალითად, მ-მ გაიტაცა ავტომანქანა გაზ-69, ავიდა სახელმწიფო ცირკთან და შეუდგა მისი ნაწილების მოხსნას. ამ დროს იგი შენიშნეს მილიციის თანამშრომლებმა და დააკავეს. ქ. თბილისის კიროვის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ მ-ს მსჯავრი დასდო საქართველოს სსრ სსკ 150-ე მუხლის პირველი ნაწილით და 243-ე მუხლით<sup>32</sup>. საქმის მასალებით გამოირკვა, რომ მ-ს თავიდანვე ამოძრავებდა მანქანის ნაწილების მითვისების მიზანი. მან სატრანსპორტო საშუალება წაიყვანა პირდაპირ ისეთი ადგილისაკენ, სადაც შესაძლებლობა ექნებოდა სისრულეში მოეყვანა თავისი განზრახვა. აღნიშნულის გამო, იგი პასუხისმგებაში უნდა მიეცათ მხოლოდ სსკ 150-ე მუხლის პირველი ნაწილით.

<sup>32</sup> ქ. თბილისის კიროვის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი, საქმე № 141, 1968 წ.

# ავტორთა უფლებების საინფორმაციო ქომაგი

მ. ბენიძე,

საავტორო უფლებების საქართველოს სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარეობს კულტურულ ფასეულობათა, ავრთვე მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევების გაცვლა-გამოცვლის გრანდიოზული პროცესი. დღითიდღე ფართოვდება და კაცობრიობის სამსახურში დგება მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაცია.

ხალხთა იდეალების, ერის ინტელექტუალური სიმწიფის, ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების მიღწევების ასახვის, შემონახვისა და გადმოცემის ამოცანა ოდითგანვე წიგნს აკისრია. საბჭოთა კავშირის პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში წიგნის გამოშვების მხრივ. ლიტერატურა ჩვენში საბჭოთა ხალხების 89 და უცხოეთის 56 ენაზე გამოდის.

საბჭოთა კავშირი პირველ ადგილზეა თარგმნილი ლიტერატურის გამოცემის მხრივაც. იუნესკოს მონაცემებით სსრ კავშირში ასეთი ლიტერატურა იცემა 9-ჯერ მეტი ვიდრე ინგლისში, 4,5-ჯერ მეტი ვიდრე იაპონიაში და 4-ჯერ მეტი ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ეს ფაქტი თვალნათლივ მეტყველებს ლიტერატურულ და მეცნიერულ ნაწარმოებების ავტორთა გიგანტურ შემოქმედებით შრომაზე. ამიტომ ბუნებრივია დღის წესრიგში დგება საავტორო უფლებების უკეთ დაცვის და მისი სამოქმედო ტერიტორიის ფარგლების საკითხი.

სანამ ამ საკითხის თანამედროვე მდგომარეობას შევეხებოდეთ, გავაკეთოთ პატარა ისტორიული ექსკურსი.

ავტორთა უფლებების დაცვის იდეას საფუძველი ჩაეყარა წიგნის ბეჭდვის გამოგონების შემდეგ, როცა ამა თუ იმ ნაწარმოების გამრავლება გაცილებით იოლ საქმედ იქცა, ვიდრე ხელით გადაწერა და წიგნი ვაჭრობის საგანი გახდა. ფეოდალიზმის ეპოქაში საავტორო უფლებების დაცვა ხორციელდებოდა ამა თუ იმ ნაწარმოების დაბეჭდვის პრივილეგიის რომელიმე გამომცემლობისათვის მინიჭებისა და სხვებისათვის ამ ნაწარმოების გამოცემის სასტიკი აკრძალვის გზით. ერთ-ერთი ასეთი პირველი პრივილეგია, რომელიც ვენეციის რესპუბლიკაში გაიცა XV საუკუნის მიწურულით თარიღდება.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ეს პრივილეგიები შეცვალა საავტორო უფლებების კანონებმა. ასეთი კანონი პირველად მიღებულ იქნა 1793 წელს საფრანგეთში.

რუსეთში საავტორო უფლებების დაცვა იწყება დიდი რუსი დრამატურგის ა. ნ. ოსტროვსკის მოღვაწეობის დროიდან, როდესაც საფუძველი ჩაეყარა რუსი დრამატურგი მწერლებისა და საოპერო კომპოზიტორების საზოგადოებას.

1870 წლის ნოემბერში მაშინდელი ცნობილი მთარგმნელის ვ. ი. როდისლავსკის ბინაში შეიკრიბა დრამატურგთა პირველი კრება, რომელმაც გადაწყვიტა არ დაეშვათ ავტორის ან მისი რწმუნებული პირის უნებართვოდ თეატრებში პიესების დადგმა. შემდეგ კრებაზე მიიღეს ორგანიზაციის წესდება და განსაზღ-



ვრეს რომელ ქალაქებში უნდა დაენიშნათ სათანადო აგენტები. ასე დაიწყო ფუნქციონირება საავტორო უფლებების დაცვის ორგანიზაციამ, რომელიც დრამატურგ მწერლების კრებად იწოდებოდა. მან დაახლოებით 4 წელს იარსება. მის შემადგენლობაში გაერთიანდა მრავალი გამოჩენილი მწერალი, მათ შორის ა. ნ. ოსტროვსკი, ა. კ. ტოლსტოი, ნ. ა. ნეკრასოვი, გ. პ. დანილოვსკი, მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინი, ი. ს. ტურგენევი და სხვანი.

საავტორო უფლების დაცვის ამ ორგანიზაციამ მოამზადა წესდება რუს დრამატურგების, საზოგადოებისა, რომლის დამფუძნებელი კრება გაიმართა 1874 წლის 21 ოქტომბერს.

ერთი წლის შემდეგ, 1875 წლის 21 ოქტომბერს საზოგადოების შემადგენლობაში მიღებულ იქნენ კომპოზიტორები — თაერებისა და ბალეტების ავტორები. ამიერიდან მას ეწოდებოდა: რუსი დრამატურგი მწერლებისა და საოპერო კომპოზიტორების საზოგადოება. ძირეული გარდატეხა საავტორო უფლებების დაცვაში განხორციელდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ამ მხრივ სრულიად საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის დადგენილება „საავტორო უფლებათა საფუძვლების შესახებ“.

1930 წელს შეიქმნა დრამატურგთა და კომპოზიტორთა სრულიად რუსეთის საზოგადოება, რომელიც 1933 წელს გადაკეთდა მწერალთა კავშირთან არსებულ საავტორო უფლებათა დაცვის სამმართველოდ. 1938 წელს ამ უკანასკნელს შეუერთდა უკრაინის, ამიერკავკასიის, შუა აზიის და ბელორუსიის ორგანიზაციებიც და იგი გარდაიქმნა საავტორო უფლებების დაცვის სრულიად საკავშირო სამმართველოდ. ერთდროულად მუშაობას შეუდგა საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირთან არსებული საავტორო უფლებების დაცვის სამმართველო, რომელიც შეიქმნა 1934 წელს.

ამ ორი სამმართველოს ბაზაზე 1973 წელს ჩამოყალიბდა საავტორო უფლებების სრულიად საკავშირო სააგენტო, მაგრამ მის შესახებ ცოტა ქვემოთ გვექნება საუბარი.

ახლა მოკლედ შევჩერდეთ საავტორო უფლების სამოქმედო ტერიტორიის ფარგლების ცალკეულ საკითხზე.

რაკი სახელმწიფოში ამა თუ იმ ნაწარმოებზე წარმოიქმნა საავტორო უფლება, იგი შეზღუდულია ტერიტორიალური პრინციპით და მის ფარგლებს იქით არ მოქმედებს. ეს ნიშნავს, რომ იმ სახელმწიფოს ტერიტორიის გარეთ, სადაც საავტორო უფლებები იქნა მოპოვებული, ნაწარმოები შეიძლება გადაითარგმნოს, გადაიბეჭდოს, საჯაროდ შესრულდეს ავტორისა და მისი კანონიერი მემკვიდრის თანხმობისა და სათანადო ჰონორარის გაღების გარეშე.

საავტორო უფლების ტერიტორიალური შეზღუდვის თავიდან აცილების მიზნით ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუახანებში წარმოიშვა აზრი საერთაშორისო შეთანხმების შესახებ.

1866 წელს ქ. ბერნში დაიდო კონვენცია ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებთა საავტორო უფლების დაცვის შესახებ, რომელსაც მსოფლიოს ათმა სახელმწიფომ მოაწერა ხელი. ბერნის კონვენცია რამდენიმეჯერ, კერძოდ ბრიუსელის (1948 წ.), სტოკჰოლმის (1967 წ.) და პარიზის (1971 წ.) კონფერენციებზე გალაისინჯა და შეივსო.

1952 წლის აგვისტო-სექტემბერში ქ. ჟებევაში მიღებულ იქნა ახალი საერთაშორისო კონვენცია — საავტორო უფლებების დაცვის მსოფლიო კონვენცია. თავდაპირველად ჟებევის კონვენციაში შევიდა 36 სახელმწიფო, რამდენიმე ხნის შემდეგ მათ შეუერთდა 4 სახელმწიფო.

1973 წლის 27 თებერვალს იუნიესკოს გენერალურ დირექტორს გადაეცა დოკუმენტი საავტორო უფლებების მსოფლიო კონვენციასთან საბჭოთა კავშირის შეერთების შესახებ. იმავე წლის 27 მაისს იგი გახდა კონვენციის სრულუფლებიანი წევრი.

სსრ კავშირს, საავტორო უფლებების მსოფლიო კონვენციას რომ უერთდებოდა, ამ დარგში გარკვეული გამოცდილება გააჩნდა. 1965 წელს იგი შეუერთდა საერთაშორისო შეთანხმებას საგამომგონებლო საკითხებზე. საავტორო უფლებების დაცვაზე მან ორმხრივი ხელშეკრულება დადო 1967 წელს უნგრეთის, ხოლო 1971 წელს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკებთან, 1972 წელს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკასთან.

საბჭოთა კავშირის საავტორო უფლებების დაცვის მსოფლიო კონვენციაში შესვლა მორიგი, თვალნათლივი დადასტურებაა იმისა, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად ახორციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების, სხვადასხვა სოციალური წყობის მქონე სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობისა და ურთიერთ გაგების ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნის შესახებ. იგი მეცნიერებისა და კულტურის მიღწევების ურთიერთგაცვლის, მსოფლიო კულტურის განვითარება-გამდიდრებისა და ხალხთა ურთიერთმეგობრობის საუკეთესო ტრადიციების დამკვიდრებისათვის გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

საბჭოთა კავშირი მიესალმება კულტურის მიღწევებისა და იდეათა გაცვლის საქმეში სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობას, თუ კი ეს თანამშრომლობა, — როგორც აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა მოხსენებაში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდამეათე წლისთავზე, — განხორციელდება თითოეული ქვეყნის სუვერენიტეტის, მისი კანონებისა და წეს-ჩვეულებათა პატივისცემის ნიშნით. თუ კი იგი ხელს შეუწყობს ხალხთა სულიერი კულტურის ურთიერთ გამდიდრებას, ურთიერთ ნდობის ზრდასა და მშვიდობის იდეების განმტკიცებას.

იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირმა იკისრა უცხოეთის ავტორთა უფლებების ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე და საბჭოთა ავტორების კანონიერი ინტერესების საზღვარგარეთ დაცვა, საჭირო გახდა სათანადო საკავშირო ორგანიზაციის შექმნა, რომელიც პრაქტიკულად განახორციელებდა ამ მეტად მნიშვნელოვან ამოცანებს.

1973 წლის სექტემბერში ამ მიზნით შეიკრიბა დამფუძნებელთა — საბჭოთა კავშირის შემოქმედებითი კავშირების, მეცნიერებათა აკადემიის „ახალი ამბების“ სააგენტოს, აგრეთვე ზოგიერთი უწყებისა და სამინისტროს წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საავტორო უფლებების სრულიად საკავშირო სააგენტოს (ვააბის) შექმნის შესახებ და დაამტკიცა მისი წესდება. სააგენტო პრაქტიკულ მუშაობას შეუდგა 1974 წლის იანვარში.

იმავე წელს ჩვენს რესპუბლიკაშიც შეიქმნა საავტორო უფლებების სრულიად საკავშირო სააგენტოს საქართველოს რესპუბლიკური განყოფილება, ანუ

საქართველოს საავტორო უფლებების რესპუბლიკური სააგენტო, რომელიც თავის უფლებებით გაუთანაბრდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარ სამმართველოს.

საავტორო უფლებების დაცვის მანამდე არსებული ორგანიზაცია ე. წ. „საუდი“ დაიშალა და მის ბაზაზე საქართველოს საავტორო უფლებების რესპუბლიკური სააგენტოში შეიქმნა სათანადო განყოფილება.

საქართველოს ტერიტორიაზე, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში, ქალაქებსა და რაიონებში საავტორო უფლებების რესპუბლიკური სააგენტოს ფუნქცია-მოვალეობას ახორციელებენ ტერიტორიულური თუ დარგობრივი პრინციპით მომუშავე რწმუნებულები.

ისინი მოწოდებულნი არიან არ დაუშვან საავტორო უფლებების დარღვევის არცერთი შემთხვევა მათ სამოქმედო უბანზე. ისინი როგორც საავტორო უფლებების სააგენტოს წარმომადგენლები, სისტემატურად კონტროლს ახორციელებენ გამომცემლობებზე, თეატრებზე, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა იმ დაწესებულებებზე, რომელთა საქმიანობასთან დაკავშირებულია საავტორო ჰონორარის გაცემა. რწმუნებულები მოქმედებენ საავტორო უფლებების სააგენტოს სახელით, აქტიურად ეხმარებიან მას ლიტერატურის, მეცნიერების და ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების შერჩევაში მათი საერთაშორისო სარბიელზე გატანის მიზნით, იძლევიან ახსნა-განმარტებებს სააგენტოს კომპეტენციაში შემავალ ყველა საკითხზე.

საავტორო უფლებების მსოფლიო კონვენციასთან შეერთების შემდეგ, საავტორო უფლებების სრულიად საკავშირო სააგენტო სსრ კავშირში ერთადერთი ორგანიზაციაა, რომლის საშუალებითაც ხდება საზღვარგარეთ საბჭოთა ავტორების, ხოლო ჩვენს ქვეყანაში უცხოელი ავტორების გამოყენების უფლების მოპოვება — მინიჭების და დაცვის უზრუნველყოფა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დაკანონებულ წესებში ლიტერატურის, ხელოვნების თუ მეცნიერების ნიმუშების საზღვარგარეთ გამოყენების შესახებ ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ, სსრ კავშირის ტერიტორიაზე წინათ გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებელი საბჭოთა ავტორის ნაწარმოების გამოყენების უფლება (გამოცემა, საჯარო შესრულება, და სხვა სახეობის გამოყენება) შეიძლება გაიცეს ავტორის და კანონიერი მემკვიდრის ან ნაწარმოებზე საავტორო უფლების სხვა მფლობელის ნებართვით, მხოლოდ საავტორო უფლებების სრულიად საკავშირო სააგენტოს საშუალებით. ასევე უცხოელი ავტორების ნაწარმოებების გამოყენების უფლება საბჭოთა ორგანიზაციებს შეუძლიათ შეიძინონ მხოლოდ საავტორო უფლებების სრულიად საკავშირო სააგენტოს საშუალებით.

არსებობს გამონაკლისიც. კინემატოგრაფიის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, ისე როგორც, „ახალი ამბების“ სააგენტოს ან მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტს, შეუძლიათ ნაწარმოები დამოუკიდებლადაც გაიტანონ, თუმცა ამ შემთხვევაშიც საჭიროა ამის შეთანხმება და რეგისტრირება საავტორო უფლებების სააგენტოში. ასე რომ საავტორო უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებში კომპეტენტურია მხოლოდ საავტორო უფლებების სააგენტო და მისი გვერდის ავლა რომელიმე ორგანიზაციის, მით უმეტეს ცალკეული ავტორის მიერ დაუშვებელია.

საბჭოთა კავშირში უცხოელ ავტორთა საკავშირო გადმოცემების შესახებ საზღვარგარეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მოლაპარაკების დროს საავტორო უფლებების სრულიად საკავშირო სააგენტო გამოდის შუამავლის როლში და დებს სათანადო ხელშეკრულებებს (კონტრაქტებს). ამავე დროს იგი სისტემატურ კონტროლს უწევს და საჭირო ღონისძიებებს იღებს მხარეების მიერ დადებული ხელშეკრულების პირობების განუხრელად განხორციელებისათვის.

საავტორო უფლებების ექსპორტისა და იმპორტის შესახებ კონტრაქტების დადებისა და მისი ცხოვრებაში გატარების გარდა საავტორო უფლებების სრულიად საკავშირო სააგენტოს მრავალრიცხოვანი და მეტად პასუხსაგები ფუნქციები აკისრია. საერთაშორისო არენაზე მისი როლი როგორც საავტორო სამართლებრივი, ინფორმაციითა გაცვლა-გამოცვლისა და მსოფლიო ხალხების სულიერ მონაპოვართა ურთიერთ გამდიდრებისათვის უშუალო ხელისშემწყობი ორგანიზაციისა დღითიდღე იზრდება და ფართოვდება.

ყოველივე ეს რაღა თქმა უნდა ქმნის მშვიდობიანი თანამშრომლობის განმტკიცების ახალ შესაძლებლობებს. „თანამშრომლობის შესაძლებლობანი, — აღნიშნა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირზე ქ. ჰელსინკში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ახლა ვრცელდება ისეთ დარგებზეც, სადაც იგი წარმოუდგენელი იქნებოდა „ცივი ომის“ წლებში. მაგალითად უფრო ვრცელია ინფორმაციითა გაცვლა-გამოცვლისა და მეგობრობის საკეთილდღეოდ“.

მეტად პასუხსაგები, ამასთან უაღრესად საინტერესო და საბატიო საქმეა ხელი შეუწყოს სამამულო ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების საუკეთესო ნიმუშების მსოფლიო სარბიელზე ფართოდ გატანის საქმეს.

საქართველოს საავტორო უფლებების სააგენტო ახორციელებს რა რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმ ამოცანებს, რაც სრულიად საკავშირო საავტორო უფლებების სააგენტოს კონვენციისაში შედის, ყველა ღონეს ხმარობს, რათა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გავიდეს, ხელოვნებისა და მეცნიერების მხრლედ ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც გამოირჩევიან შინაარსის, ფორმისა და იდეურობის მაღალხარისხოვნებით.

თანდათანობით ბოლო ეღება ამ საქმეში წინათ არსებულ ქაოსს და მის ადგილს იკავებს ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ნიმუშთა შერჩევის სისტემატური, გეგმიანი მიზანდასახული და კანონიერი პროცესი. ეს პროცესი ერთი მხრივ ითვალისწინებს ავტორების წახალისებას, მათი ნაყოფიერი მუშაობის მორალური და მატერიალური პირობების შექმნას, მეორე მხრივ, წარმართავს საბჭოთა ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებების, კულტურის ფასეულობათა მსოფლიოს ხალხთა გაცნობის უწყვეტ დინებას.

საზღვარგარეთ საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის მიღწევათა სწორი ინფორმაციის მიზნით საავტორო უფლებების სრულიად საკავშირო სააგენტო რუსულ და უცხოურ ენებზე უშვებს საინფორმაციო ბიულეტენებს, ანოტირებულ ცნობარ-კატალოგებსა და ექსპრეს-ინფორმაციებს.

საქართველოს საავტორო უფლებების სააგენტო აქტიურ მოღვაწეობას ეწევა რესპუბლიკის ლიტერატურის, მეცნიერების და ხელოვნების შესანიშნავ

ნაწარმოებთა რეკლამირებისათვის. ამზადებს და ავზავენის ნაწარმოებთა მიმოხილვებს, ანოტაციებს, სარეკლამო წერილებს, პრეს-ინფორმაციებს.

მოკავშირე რესპუბლიკებიდან პირველებმა მოვამზადეთ და მალე გამოიცემა საქართველოს საავტორო უფლებების სააგენტოს ილუსტრირებული საინფორმაციო ბიულეტენი „საქართველო: ლიტერატურა, მეცნიერება, ხელოვნება“. ბიულეტენი გამოვა ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. იგი საავტორო უფლებების სრულიად საქავშირო სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის ერთგვარი დამატებაა და გამიზნულია საზღვარგარეთის საგამომცემლო კონცერნების, ფირმების, სხვა შესაბამისი ორგანიზაციებისა თუ დაინტერესებული მკითხველისათვის. მისი მიზანია საზღვარგარეთელ მკითხველს გააცნოს ქართული მწერლობის, დრამატურგიის, მუსიკის, მხატვრობის, მეცნიერებისა და ტექნიკის თვალსაჩინო ნაწარმოებები და ნაშრომები.

ბიულეტენის პირველი ნომერი იხსნება საქართველოს საავტორო უფლებების სააგენტოს უფროსის ნუგზარ წერეთლის შესავალი წერილით.

ბიულეტენის განყოფილებებს წამძღვარებული აქვს საქართველოს მინისტრთა საბჭოს გამომცემლობის, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის გიორგი თავამაიშვილის, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, სოციალისტური შრომის გმირის გრიგოლ აბაშიძის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს ევგენი ხარაძისა და საქართველოს კულტურის მინისტრის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ოთარ თაქთაქიშვილის წერილები.

ბიულეტენი თავისთავად მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკისათვის. იგი საქართველოდან პირველი შეაბიჯებს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში საპატიო სარეკლამო-საინფორმაციო მისიით.

აღნიშნული და სხვა ღონისძიებებით, საქართველოს საავტორო უფლებების სააგენტო, ხელს შეუწყობს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი დღით-დღე მზარდი ინტერესების მასშტაბების გაფართოვებას.

საბჭოთა დრამატურგიისადმი გაზრდილ მოთხოვნილებებზე აშკარად მეტყველებს ის ფაქტი, რომ საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყანაში იდგმება ჩვენი სამშობლოს 300-მდე ავტორის პიესა. მათ შორის, ნოდარ დუმბაძისა და გიგა ლორთქიფანიძის პიესები: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“, გიორგი ხუნაშვილის „მოსამართლე“ და სხვ.

ამ ბოლო ხანებში საზღვარგარეთ ცალკე წიგნად თუ კრებულებში დაიბეჭდა კ. გამსახურდიას, გრ. ჩიქოვანის, კ. ლორთქიფანიძის, გრ. აბაშიძის, ნ. დუმბაძის, თ. ჭილაძის, ა. სულაკაურის, ედ. ყიფიანის, ო. იოსელიანის და სხვა ქართველ მწერალთა ნაწარმოებები. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში გამოიცა კრებული „ყანწის“ სახელწოდებით. კრებულში დაიბეჭდა დავით გურამიშვილის, საიათნოვას, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა ფშაველას, გალაქტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, კარლო კალაძის, ირაკლი აბაშიძის, რევაზ მარგალიანის, იოსებ ნონეშვილის, მუხრან მაჭავარიანის, ჯანსუღ ჩარკვიანის, ოთარ ჭილაძის და სხვათა ლექსები.

არანაკლებ დაინტერესებას იჩენენ საზღვარგარეთის ქვეყნები ქართული კულტურისა და მეცნიერებისადმი. შევიცარიანაში გამოდის აკადემიკოს შალვა ამირხანაშვილის სქელტანიახი ნაშრომი ქართულ ხელოვნებაზე. უნგრეთის სა-

ხალხო რესპუბლიკამ გამოსცა აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის შესანიშნავად გაფორმებული მხატვრული ალბომი — მონოგრაფია „ლადო გუდიაშვილი“. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამომცემლობა „ენციკლოპედია“ დაბეჭდა კ. გ. წერეთლის ნაშრომი „თანამედროვე ასირული ენა“. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაშივე გამოდის ვახტანგ ბერიძის ნაშრომი „ქართული შუა საუკუნეების მხატვრობა“.

საზღვარგარეთი დაინტერესებულია ქართული საბჭოთა მუსიკითაც. კარგა ხანია ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გაცდა კომპოზიტორების ზაქარია ფალიაშვილის, ანდრია ბალანჩივაძის, შალვა მშველიძის, ოთარ თაქთაქიშვილის, ალექსი მაჭავარიანის, სულხან ცინცაძის, რევაზ ლალიძის, სულხან ნასიძის, ბიძინა კვერნაძის, ნოდარ გაბუნias, შოთა მილორაგას და სხვების მუსიკალური ნაწარმოებები.

სავტორთა უფლებების სრულიად საკავშირო სააგენტომ მოძმე რესპუბლიკების მუსიკალური ნაწარმოებების პოპულარიზირების მიზნით ამა წლის მაის-ივნისში მიმდინარე ფესტივალზე „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული“ მოიწვია საზღვარგარეთის მრავალი მუსიკოსი და გამომცემელი. მათ შორის იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების საგამომცემლო კონცერნის ვიცე პრეზიდენტი დოქტორი მარია დე ბონავენტურა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უდიდესი მუსიკალური საგამომცემლო ფირმის „ჰანს სიკორსკის“ მესაკუთრე, გენერალური დირექტორი ჰანს სიკორსკი და მუსიკათმცოდნე იურგენ კიოხელი.

საზღვარგარეთელ სტუმრებს მხედველობიდან არ გამოპარვიათ, რომ ეს ფესტივალი არა მარტო თანამედროვე მუსიკალური კულტურის მიღწევების დემონსტრირება იყო, არამედ მან კიდევ ერთხელ მკაფიოდ დაადასტურა საბჭოთა კავშირის ხალხთა ურყევი მეგობრობა და ძმობა. ამიერკავკასიის ხალხთა მუსიკალური ფესტივალით აღფრთოვანებულმა სტუმრებმა არა ერთი ნაწარმოები შეარჩიეს თავიანთ ქვეყნებში გამოსაცემად და საჯაროდ შესასრულებლად.

„პირველ რიგში მე მინდა გამოვხატო ფესტივალის ორგანიზაციით გამოწვეული ჩემი აღტაცება, — განუცხადა საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის წარმომადგენლებს დოქტორმა მარია დე ბონავენტურამ, — იგი ჩატარდა მაღალ დონეზე. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს, როგორც თვით ფესტივალზე წარმოდგენილმა ნაწარმოებებმა, ისე მათი შესრულების დონემ... ჩემი ძირითადი მიზანია — გავაცნო ამერიკელ მსმენელებს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კომპოზიტორების ნაწარმოებები. მე მინდა გამოვცე ისინი და ამით უჩვენო ფართო აუდიტორიას, ის „სასწაულო მომქმედი მუსიკა“, რომელსაც ქმნის თქვენი ხალხი“.

ქართული საბჭოთა მუსიკალური კულტურის მონაპოვართა გაცნობით არანაკლები აღფრთოვანებულები იყვნენ ივლისის პირველ ნახევარში ჩვენს რესპუბლიკაში მყოფი ამერიკის შეერთებული შტატების საგამომცემლო კონცერნის პრეზიდენტი ხეიგელი და მისი თანმხლები პირები. ხეიგელმა და მისმა თანმხლებმა პირებმა სახელდახელოდ შეარჩიეს კომპოზიტორების რ. ლალიძის, ო. თაქთაქიშვილის, ს. ნასიძის, გ. ყანჩელის და სხვათა ნაწარმოებები ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა და სამხრეთ ამერიკის ფართო მსმენელთათვის. სტუმრებს ძალზე მოეწონათ ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვის ანსამბლი

„რუსთავი“ და სურვილი გამოთქვეს მომავალ წელს მიიწვიონ იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ამერიკელმა სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს საავტორო უფლებების სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სააგენტოებს მოწვევისა და ხალხთა სულიერი საგანძურის ურთიერთგაზიარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის. ამერიკელი სტუმრები გამონაკლისები არ არიან. მსოფლიო კონვენციაში სსრ კავშირის შესვლისა და მასთან დაკავშირებული საქმიანობით კმაყოფილია ორივე მხარე. ყოველივე ეს მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანების განხორციელებისა, რაც ავალთავტორთა უფლებების საიმედო ქომაგს — საავტორო უფლებების დაცვის სააგენტოს.

# იურიდიული შაქვაგის დაღვინის საქმეების განხილვისას სასამართლოების შეხედულებათა შესახებ

ქ. ხიდაშელი,

საქართველოს სსრ პროკურატურის სამოქალაქო განყოფილების უფროსის მოადგილე

საქართველოს სსრ პროკურატურამ განაზოგადა საპროკუტორო ზედამხედველობის პრაქტიკა სასამართლოებში განხილულ იმ სამოქალაქო საქმეებზე, რომლებიც ეხებოდა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენას. შესწავლილ იქნა საქართველოს სსრ სასამართლოებში წლეულს, ივლისამდე განხილული ამ კატეგორიის ყველა საქმე. შემოწმებამ გვიჩვენა, რომ უკანასკნელ ხანს სასამართლოებში ამდლდა ამ საქმეთა განხილვის ხარისხი. თითქმის აღარ გვხვდება კურობოული შეცდომები, რასაც ადგილი ჰქონდა წარსულ წლებში. ეს რა თქმა უნდა არ ნიშნავს, რომ სასამართლოები ზუსტად იცავენ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე, 26-ე თავების მოთხოვნებს და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1966 წლის 25 თებერვლის დადგენილებას — „იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“.

იურიდიული ფაქტების დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს მოქალაქეთა, აგრეთვე სოციალისტური ორგანიზაციების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის საქმეში. სასამართლოები გულდასმით უნდა გაერკვენ, რათა ცალკეულმა პირებმა იურიდიული ფაქტის დადგენის სასამართლო წესი არ გამოიყენონ შედავათის ან ქონებრივი გამორჩენის არამართლზომიერი მიღებისათვის.

იურიდიული ფაქტის დადგენის თაობაზე განცხადების მიღებისთანავე მოსამართლე ვალდებულია შეამოწმოს ექვემდებარება თუ არა სასამართლოს ამ ფაქტის დადგენა. რისთვის სჭირდება განმცხადებელს იგი, გამოარკვიოს თუ რომელი პირები და ორგანიზაციები არიან დაინტერესებული საქმის შედეგით და გამოიძახოს ისინი სამსჯავრო სხდომაზე.

საქართველოს სსრ სსკ 256-ე მუხლში ჩამოთვლილი იურიდიული ფაქტების ნუსხა, რომელთა დადგენა შესაძლებელია სასამართლოს წესით ამომწურავი არ არის. სასამართლოებს უფლება აქვთ დაადგინონ იურიდიული მნიშვნელობის სხვა ფაქტებიც სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში მითითებულ პირობათა დაცვით.

ვხვდებით ისეთ ფაქტებს, როდესაც ამა თუ იმ იურიდიული ფაქტის დადგენა სასამართლოს ქვემდებარე არ არის, და ის მაინც იხილავს საქმეს. მაგალითად, ჩხოროწყუს რაიონის სახალხო სასამართლოს განცხადებით მიმართა ლ. ე. ბასილაიამ და მოითხოვა, რათა სასამართლოს დაედასტურებინა იურიდიული ფაქტი იმის შესახებ, რომ ის დაბადებულია 1918 წელს, ვინაიდან ასეთზე მმარის ორგანოსთან არსებულმა კომისიამ მას უარი უთხრა, სასამართლომ მოწმეთა ჩვენების საფუძველზე 1975 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით განმცხადებლის მოთხოვნა დააკმაყოფილა.



მომქმედი კანონმდებლობის თანახმად დაბადების ჩანაწერთა არ არსებობისას მოქალაქის ასაკს განსაზღვრავენ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის ორგანოები. ამას გარდა საქმეში მთელი რიგი მასალებია, რომლებიდან ჩანს, რომ განმცხადებელი დაბადებულია 1925 წელს. სასამართლომ არ მოთხოვა განმცხადებელს, რათა წარმოედგინა მამის ბიუროს ცნობა 1925 წლის მონაცემებით. სასამართლომ არ მოთხოვა სხვა დამამტკიცებელი საბუთები, არ გამოიძახა პროცესზე რაიონის სოცუზრუნველყოფის განყოფილების წარმომადგენელი, იმ დროს როდესაც განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ ფაქტის დადგენა მას სჭირდება პენსიის მიღებისათვის.

ზოგიერთი სასამართლო პირიჩით არ ღებულობს განცხადებას იმ მოსაზრებით, რომ ასეთი ფაქტის დადგენა არ ექვემდებარება სასამართლოს იმ დროს, როდესაც ამ იურიდიული ფაქტის დადგენა სასამართლოს ქვემდებარება. ზესტაფონის რაიონის სახალხო სასამართლომ წარმოებით შეწყვიტა ე. მ. მერკვილაძის საქმე მეუღლის გარდაცვალების ფაქტის დადგენის შესახებ. სასამართლომ მიუთითა, რომ ასეთი ფაქტის დადგენა მას არ ექვემდებარება და რომ სასამართლოს ქვემდებარება გარდაცვალების რეგისტრაციის ფაქტის დადგენა. რა თქმა უნდა ეს სწორი არ არის. საქართველოს სსრ სსსკ 256-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად სასამართლო განიხილავს საქმეებს გარკვეულ დროსა და გარკვეულ ვითარებაში პირის გარდაცვალების ფაქტის დადგენის შესახებ.

განცხადების მიღებისას სასამართლო ვალდებულია გამოარკვიოს თუ რისთვის სჭირდება განმცხადებელს ასეთი ფაქტის დადგენა. ყველა სასამართლო არ ასრულებს კანონის ამ მოთხოვნას. მეხეთის რაიონის სახალხო სასამართლომ განცხადებით მიმართა ს. ზ. მისირელმა და მოითხოვა, რათა სასამართლოს დაედასტურებინა იურიდიული ფაქტი, რომ აწ გარდაცვალებული დ. ი. თათარიშვილი იყო მისი მეუღლე. არც განცხადებაში და არც სასამართლო პროცესზე განმცხადებელმა არ მიუთითა თუ რისთვის სჭირდება ასეთი ფაქტის დადგენა.

ასევე 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლომ არ გაარკვია თუ რისთვის სჭირდებოდა გ. მ. სარქისიანს დაედგინა იურიდიული ფაქტი იმის შესახებ, რომ ის იყო აწ გარდაცვალებული კ. მ. სარქისიანის ძმის შვილი. განმცხადებლის მოთხოვნა კი დააკმაყოფილა.

ამრიგად ორივე საქმე განხილულ იქნა საქმის შედეგით დაინტერესებული პირის ან ორგანიზაციის გამოუძახებლად.

ბევრი სასამართლო ვერ ერკვევა საქმის შედეგით დაინტერესებულ პირთა და ორგანიზაციათა უფლებებში. მაგალითად თეთრი-წყაროს რაიონის სახალხო სასამართლომ ამ კატეგორიის ბევრ საქმეში რაისოცუზრუნველყოფის განყოფილება და სამხედრო კომისარიატი ჩააბა. როგორც მოპასუხეები. ასეთივე დარღვევები აქვთ დაშვებული ქ. თბილისის კიროვის, კალინინის, პირველი მაისის და საქარხნო რაიონების, აგრეთვე გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოებს.

დაინტერესებული პირნი და ორგანიზაციები, რომლებიც ჩაბმული არიან იურიდიული ფაქტის დადგენის საქმეებზე მონაწილეობის მისაღებად სარგებლობენ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 30-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებებით.

ზოგიერთი სასამართლო იხილავს საქმეებს განსაკუთრებული წარმოების

წესით იმ დროს, როდესაც საქმე განხილული უნდა იქნეს საერთო სასარჩელო წესით. მაგალითად გ. ს. სტეფანოვმა განცხადებით მიმართა სახალხო სასამართლოს, რომელშიც აღნიშნავდა რომ 1967 წელს აწ გარდაცვალებულ ა. ს. არჯევანიძისგან ქ. ბორჯომში შეიძინა სახლი. ა. ს. არჯევანიძის გარდაცვალების გამო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ვერ იქნა გაფორმებული სანოტარო წესით, ბინის გაყიდვაში მონაწილეობდა ა. ს. არჯევანიძის შვილი, რომელიც დაადასტურებს ამ ფაქტს. გ. ს. სტეფანოვმა მოითხოვა საქართველოს სსრ სსკ 47-ე მუხლის შესაბამისად გარიგება დადებულად ეცნოთ.

ბორჯომის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებულ იქნა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი და სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება დადებულად ჩაითვალა.

თვით სასარჩელო განცხადებიდან ჩანს, რომ დავა ეხება სახლის ყიდვა-გაყიდვის გარიგებიდან წარმოშობილი ვალდებულების შეუსრულებლობას და ამდენად სასამართლოს საქმე არ უნდა განეხილა განსაკუთრებული წარმოების წესით. საქართველოს სსრ სსკ 255-ე მუხლის შესაბამისად სასამართლოს განცხადება განუხილველი უნდა დაეტოვებინა და განემარტა დაინტერესებულ მხარისთვის, რომ მას უფლება აქვს წარადგინოს სარჩელი საერთო საფუძველზე.

ანალოგიური დარღვევა აქვს დაშვებული ამ სასამართლოს ლ. ი. ცხომელიძის საქმის განხილვის დროს. ლ. ი. ცხომელიძე მოითხოვდა, რათა მის საკუთრებად ეცნოთ სახლი მდებარე ქ. ბორჯომში ვოვას ციხე № 38-ში, რომელიც ტენადრიცხვის ბიუროში ირიცხება მისი შვილის გ. ს. ცხომელიძის სახელზე. სახალხო სასამართლომ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა და დაადასტურა იურიდიული ფაქტი სახლის საკუთრების თაობაზე ისე, რომ არ გამოუწვევია პროცესზე განმცხადებლის შვილი. საქმე სასამართლოს უნდა განეხილა საერთო სასარჩელო წესით.

საქართველოს სსრ სსკ 257-ე მუხლის თანახმად სასამართლო იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებს დაადგენს, მხოლოდ მაშინ, თუ შეუძლებელია ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღება, ან დაკარგული საბუთების აღდგენა. სასამართლოები ყოველთვის არ იცავენ კანონის ამ მოთხოვნას.

ა. ნ. აბულაძემ განცხადებით მიმართა ვაგრის რაიონის სახალხო სასამართლოს. იგი აღნიშნავდა, რომ 1970 წელს მოქ. მაშენკოვამ მიაშვილა მათ ბავშვი, რაზეც არსებობს წერილობითი საბუთი და 1971 წლის ბიჭვინთის სადაბო საბჭოს გადაწყვეტილება ბავშვის გაშვილების შესახებ. ა. ნ. აბულაძე მოითხოვდა მმაჩის ბიუროში შვილის აყვანის გაფორმების მიზნით სასამართლოს დაედასტურებინა იურიდიული ფაქტი, რომ მან იშვილა მაშენკოვას ბავშვი. ვაგრის რაიონის სახალხო სასამართლომ დააკმაყოფილა ა. აბულაძის მოთხოვნა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1966 წლის 25 თებერვლის დადგენილების მე-5 პუნქტის თანახმად შვილად აყვანის ფაქტი სასამართლოს შეუძლიან დაადგინოს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მმაჩის ორგანოებში არ შემონახულა სათანადო ჩანაწერი, ან მმაჩის ორგანოებმა პირს უარი უთხრეს ასეთი ჩანაწერის აღდგენაზე.

ამრიგად, გარდა იმისა რომ საქმე არ ექვემდებარებოდა განსახილველად

სასამართლოს, ასეთი ფაქტის დადგენა არ იყო საჭირო, რადგან განმცხადებელს შეეძლო წარედგინა მმართველის ორგანოებში სადაბო საბჭოს გადაწყვეტილება და სხვა სათანადო საბუთები.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1966 წლის 25 თებერვლის დადგენილების მე-6 პუნქტის თანახმად 1944 წლის 8 ივლისის შემდეგ წარმოშობილი ფაქტიური საქორწინო ურთიერთობის დადგენა დაუშვებელია.

მიუხედავად ამისა მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლომ დააკმაყოფილა ნ. ა. ლარიბაშვილის მოთხოვნა და დაუდასტურა მას იურიდიული ფაქტი იმის შესახებ, რომ აწ გარდაცვალებულ ნ. ა. ბალხამიშვილი 1964 წლიდან იყო მისი მეუღლე.

კიროვის რაიონის სახალხო სასამართლომ ასეთი ფაქტი დაუდასტურა ნ. ა. ალექპეროვას, რომელიც მიუთითებდა, რომ 1965 წლიდან იმყოფებოდა არა რეგისტრაციულ ქორწინებაში აწ გარდაცვალებულ მ. მ. კურბანოვთან. ანალოგიური დარღვევა აქვს დაშვებული ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს ხ. ა. პონტიევას საქმეზე, თიანეთის რაიონის სახალხო სასამართლოს მ. გ. ჯერვალძე-ივანიძეს საქმეზე, გულრიფშის რაიონის სახალხო სასამართლოს ა. გ. ტოროსიანის და დ. ვ. შუბითიძის საქმეზე და სხვა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1969 წლის 4 დეკემბრის დადგენილების „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის საფუძვლების, გამოყენების სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ მე-5 პუნქტის შესაბამისად თუ გარდაიცვალა ის პირი, ვისი მამობაც უნდა დადგინდეს, საქმე განიხილება განსაკუთრებული წარმოების წესით. საქმის განხილვაში უნდა ჩააბან განმცხადებელი, დაინტერესებული პირები და ორგანიზაციები.

ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლოს განცხადებით მიმართა ვ. ვ. გაგნიძემ, რომელიც აღნიშნავდა, რომ 1939 წელს მისი დედა თ. ა. ბასილაძე და ვ. პ. შუბითიძე იმყოფებოდნენ არარეგისტრირებულ ქორწინებაში. 1940 წლის 15 თებერვალს დაიბადა ის, რის შემდეგაც მამა გარდაიცვალა ისე, რომ არ მომხდარა არც მისი დაბადების არც მამის გარდაცვალების რეგისტრაცია. შემდეგ დედა გათხოვდა ი. ა. გაგნიძეზე და 1952 წელს მოხდა მისი დაბადების რეგისტრაცია და გატარდა გაგნიძის გვარზე. განმცხადებელი მოითხოვდა იურიდიული ფაქტის დადგენას იმის შესახებ, რომ მისი მამა იყო ვ. პ. შუბითიძე. სასამართლომ ორი მოწმის ჩვენების საფუძველზე დაადასტურა აღნიშნული ფაქტი ისე, რომ არ გამოუწვევია საქმის შედეგით დაინტერესებული შუბითიძეების ოჯახი, არ გაუუქმებია გაგნიძის დაბადების ჩანაწერი და რაც მთავარია საქმის მასალებით არ არის დადასტურებული, რომ ვ. შუბითიძე გარდაცვლილია.

ამავე სასამართლომ დააკმაყოფილა ა. ვ. ქელესხაშვილის მოთხოვნა და დაუდგინა იურიდიული ფაქტი იმის შესახებ, რომ ვ. ა. კუხნეცოვი არის მისი შვილი, მიაკუთვნა მამის გვარი ქელესხაშვილი და დაუდგინა ეროვნება — ოსი.

სასამართლომ პროცესზე არ გამოიწვია ბავშვის დედა და მხოლოდ განმცხადებლის ჩვენების საფუძველზე იცნო ბავშვი მის შვილად და დაუდგინა ეროვნება, მაშინ როდესაც ეროვნების დადგენა არ შედის სასამართლოს კომპეტენციაში.

საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად თუ დედა გარდაიცვალა ან შეუძლებელია მისი საცხოვრებელი ადგილის დადგენა, ბავშვის მამის ჩაწერა ხდება მამის განცხადებით, ამრიგად თუ ბავშვის დედის საცხოვრებელი ადგილი ცნობილი არ არის სათანადო ჩანაწერი უნდა გააკეთონ მმაჩის ორგანოებმა.

1975 წლის I ნახევარში საქართველოს სსრ სასამართლოებში განხილულ ამ კატეგორიის 1660 საქმიდან დაკმაყოფილდა მოთხოვნა 1631 საქმეზე, რაც შეადგენს 98 პროცენტს.

ამრიგად, საქმეთა უდიდეს ნაწილზე განმცხადებლის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, რის გამოც ამ კატეგორიის საქმეთა უმნიშვნელო ნაწილი საჩივრდება საკასაციო წესით, რამაც განაპირობა ის გარემოება, რომ იურიდიული ფაქტის დადგენის საქმეებზე დაშვებული შეცდომები არ სწორდება ზემდგომი სასამართლოს მიერ. პროკურატურის ორგანოებმა ამიტომ უნდა გააძლიერონ ზედამხედველობა ასეთ საქმეთა განხილვაზე, რათა აღმოფხვრილი იქნეს გამოვლინებული ნაკლოვანებები.

# კერძო განჩინებები სამოქალაქო სამართლის საქმეებზე

ა. ქუხიანიძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

დანაშაულის პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შორის განსაკუთრებული როლი ეკუთვნის კერძო განჩინებებს. სასამართლოები კერძო განჩინებების გამოტანით დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელთა და თანამდებობის პირთა ყურადღებას მიაქცევენ იმ მიზეზებზე, რომლებმაც ხელი შეუწყვეს დანაშაულის ჩადენას, მოითხოვენ განხორციელდეს სათანადო ზომები მომავალში დანაშაულის აღსაკვეთად.

სასამართლოს უფლება აქვს კერძო განჩინებით მიიქციოს არა მარტო თანამდებობის პირთა ყურადღება დაშვებულ დარღვევებზე, არამედ მსჯელობის საგნად აქციოს ცალკეულ მოქალაქეთა არასწორი ქცევა წარმოებასა თუ ყოფაცხოვრებაში, საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულებისას ან სხვა დარღვევებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა კოლეგია საკასაციო წესით საქმეთა განხილვისას ავლენს სამოქალაქო სამართლის კონფლიქტების მიზეზებს, წარმოება-დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და ცალკეულ პირთა მუშაობის ხარვეზებს, რომლებმაც განაპირობეს ეს კონფლიქტი, მათ აღსაკვეთად ხშირად გამოაქვს კერძო განჩინებები, რომლებიც ეგზავნება ზემდგომ ორგანოებს რეაგირებისათვის, რათა ასეთი დარღვევები აღარ განმეორდეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განიხილა მოქ. გ. ბაირამოვის სამუშაოზე აღდგენის საქმე, რომელიც მარნეულის სამომხმარებლო კოოპერაციის მაღაზიაში მუშაობდა გამყიდველად. ის გაანთავისუფლეს ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

სასამართლომ ბაირამოვი აღადგინა სამუშაოზე იმის გამო, რომ მისი განთავისუფლების საკითხი არ იყო წინასწარ შეთანხმებული ადგილკომთან, რითაც დარღვეული იყო სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების მე-18 მუხლის და საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლის მოთხოვნები.

კანონის ასეთი უხეში დარღვევის გამო კოლეგიამ მარნეულის სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობის თავმჯდომარის ხალილოვის მიმართ გამოიტანა კერძო განჩინება და იგი რეაგირებისათვის გადაუგზავნა ცეკავშირის გამგეობას.

კოლეგიამ განიხილა აგრეთვე ვ. პოპოვას სამუშაოზე აღდგენის საქმე, რომელიც სასტუმრო „კოლხეთში“ სართულის მორიგედ მუშაობდა. ადმინისტრაციის ბრძანებით იგი განთავისუფლებულ იქნა სამუშაოდან სასტუმროს შინაგანაწესის დარღვევისათვის.

ადმინისტრაციის შუამდგომლობა ადგილკომის წინაშე ვ. პოპოვას სამუშაოდან განთავისუფლებისათვის თანხმობის მიცემის შესახებ, განხილული იქნა კანონის უხეში დარღვევით, ადგილკომის სხდომას წევრთა 2/3 არ ესწრე-

ბოდა, რაც ნიშნავს რომ პოპოვას სამუშაოდან განთავისუფლების საკითხი არ შეთანხმებულია.

სასამართლო ორგანოთა დადგენილებით ვ. პოპოვა აღდგენილია სამუშაოზე, ხოლო სასტუმროს ადგილკომის თავმჯდომარის უსწორო მოქმედებისა და საქმისადმი უყურადღებო დამოკიდებულების გამო კოლეგიამ გამოიტანა კერძო განჩინება, რაც რეაგირებისათვის გადაეგზავნა საქართველოს პროფსაბჭოს. კოლეგიამ განიხილა სამუშაოზე აღდგენის საქმე ვ. გაბაშვილისა, რომელიც თბილისის კიროვის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში სასწორების მეურნეობის მეკუჭნავედ მუშაობდა. ადმინისტრაციამ ბრძანებით ის გაათავისუფლა სამუშაოდან იმის გამო, რომ ბაზარში პროდუქტების გასაყიდად მოსულ კოლმეურნეებს ფულს სძალავდა.

თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილებით ვ. გაბაშვილს სამუშაოზე აღდგენაზე უარი ეთქვა, უმაღლეს სასამართლოში საქმის საკასაციო წესით განხილვის დროს საკოლმეურნეო ბაზრების სამმართველოს წარმომადგენელმა მოითხოვა მაინც მისი სამუშაოზე აღდგენა.

როგორც ვხედავთ, საკოლმეურნეო ბაზრების წარმომადგენლის პოზიცია ემსახურებოდა არა დანაშაულის აღკვეთასა და წესრიგის განმტკიცებას, ეწინააღმდეგებოდა კანონიერებისათვის ბრძოლას. უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა კოლეგიამ ბაზრების სამმართველოს წარმომადგენლის მიმართ გამოიტანა კერძო განჩინება, რაც რეაგირებისათვის გადაეგზავნა ზემდგომ ორგანოებს.

კოლეგიამ განიხილა რესპუბლიკის ფსიქონერვოლოგიურ დისპანსერში მძღოლის ა. ყორყიკაშვილის სამუშაოზე აღდგენის საქმე, რომელიც განთავისუფლებული იყო, როგორც მთავარი ექიმის ნათესავი.

მიუხედავად იმისა, რომ ა. ყორყიკაშვილის სამუშაოდან განთავისუფლების საკითხი წინასწარ არ იყო შეთანხმებული ადგილკომთან, სასამართლომ იგი სამუშაოზე არ აღადგინა. კოლეგიის განჩინებით სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა, ა. ყორყიკაშვილი აღდგენილ იქნა სამუშაოზე, ხოლო სახალხო მოსამართლის მიმართ, რომელმაც კანონის მოთხოვნა უხეზად დაარღვია, გამოტანილ იქნა კერძო განჩინება.

კოლეგიამ განიხილა ტ. ლაჩაშვილის სარჩელი ც. ბაკურაძესთან განქორწინების შესახებ და სარჩელი არ დააკმაყოფილა. იმის გამო, რომ ტ. ლაჩაშვილი არ იჩენდა სათანადო ყურადღებას მეუღლისა და ბავშვის მიმართ, არ მონაწილეობდა მათ რჩენასა და აღზრდაში, კოლეგიამ გამოიტანა კერძო განჩინება, რაც რეაგირებისათვის გადაეგზავნა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს.

კოლეგიამ განიხილა ოქტომბრის რაისაბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს სარჩელი დავრიშვილების ბინიდან გამოსახლების შესახებ.

ნ. დავრიშვილის 6 სულისაგან შემდგარი ოჯახი ცხოვრობდა კლარაცეტკინის ქ. № 53, სარდაფში. წყალდიდობასთან დაკავშირებით სარდაფის დაზიანების გამო აღმასკომმა მათ ღროვებით გამოუყო ერთი 35 კვ. მეტრი ფართობის ოთახი, რომლის ბინის ორდერის მიღებაზე დავრიშვილებმა უარი განაცხადეს.

კოლეგიამ აღმასკომის საბინაო სამმართველოს მოქმედება უსწოროდ მიიჩნია და გამოიტანა კერძო განჩინება, ვინაიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო

სამართლის კოდექსის 330-ე მუხლის შესაბამისად თუ საცხოვრებელ სადგომს ჩამოქცევა მოელის აღმასკომის გადაწყვეტილებით დამქირავებელს უნდა მიეცეს სხვა კეთილმოწყობილი ბინა მათი საცხოვრებელი ფონდიდან.

კერძო განჩინების გამოტანის დროს კოლეგია ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის მოთხოვნით, რომლის ძალითაც პასუხი იმ ორგანიზაციებიდან, სადაც კერძო განჩინებები იგზავნება, უნდა მივიღოთ ერთი თვის ვადაში. ზოგჯერ ორგანიზაციები კანონის ამ მოთხოვნას არ ასრულებენ და მიუხედავად მრავალ შეხსენებისა რეაგირების გარეშე ტოვებენ.

ასეთი დარღვევები, არც თუ იშვიათია.

სასამართლო ორგანოებმა სამოქალაქო საქმეთა განხილვისას უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ კერძო განჩინებათა გამოტანას. რათა მომავალში აღიკვეთოს ყოველგვარი დარღვევა რაც ვლინდება სამეთა განხილვისას.

# მუდმივად ვაშალოთ კალკაბის კვალიუიკასია

ც. კვარაცხელია,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კარების  
განყოფილების უფროსის მოადგილე

1971 წლის დეკემბრიდან იუსტიციის სამინისტროსთან ფუნქციონირებს იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსები. მისი კონტიგენტია: საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროების, საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დებუტატების საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილების უფროსი კონსულტანტები და კონსულტანტები, საოლქო სასამართლოს წევრები, სახალხო მოსამართლეები და სასამართლოების სხვა მუშაკები, სანოტარო კანტორების ნოტარიუსები და კონსულტანტები, იურიდიული კონსულტაციების გამგეები, ადვოკატები და მმაჩის ორგანოების მუშაკები.

დღემდე კურსებზე კვალიფიკაცია აიმაღლა 1296 მუშაკმა. მათ შორის: 105 სახალხო მოსამართლემ. სასამართლოს 179 აღმასრულებელმა; 215 იურისკონსულტმა; მმაჩის ორგანოების 104 მუშაკმა; სანოტარო კანტორების 93 თანამშრომელმა; 169-ადვოკატმა; 156 სხდომის მდივანმა; იუსტიციის სამინისტროს 19 კონსულტანტმა; აჭარის ასსრ

აფხაზეთის ასსრ იუსტიციის სამინისტროს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იუსტიციის განყოფილების 10 მუშაკმა, ოლქის საოლქო სასამართლოს 8 წევრმა.

მეთოდური საბჭოს მიერ რეკომენდირებულ პროგრამებში ასახვას პოულობენ ის საკითხებიც, რომელთა უფრო ღრმად გაშუქებას მოითხოვს მსმენელთა ესა თუ ის კონტიგენტი. ბუნებრივია, რომ დღეისათვის, როდესაც კურსებზე სწავლების ვადა ერთი თვეა ანუ 26-სამუშაო დღე, 150-საათიან სასწავლო პროგრამაში საჭირო დიფერენცირება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამ მხრივ უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს ზოგიერთ სხვა მოკავშირე რესპუბლიკას, მაგალითად, ლატვიას, ყაზახეთს, უკრაინას, სადაც სწავლება 2-თვიანია და შედეგიც უფრო ეფექტურია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების თანახმად კურსებზე სასამართლოსა და იუსტიციის დაწესებულებათა მუშაკებმა კვალიფიკაცია უნდა აიმაღლონ ხუთ წელიწადში ერთხელ. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ის ცოდნა რაც მათ კვალიფიკაციის ასამაღლებელ ერთთვიან კურსებზე მიიღეს ასეთი ხანგრძლივი დროისათვის არასაკმარისია, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ კანონმდებლობის სრულ-



ყოფისა და გამოყენების ფორმების ცვა-  
 ლებადობას.

თვით მსმენელებიც ანკეტებში, რომ-  
 ლებიც მათ ურიგდებათ სწავლების და-  
 მთავრების ბოლოს, სხვა კითხვებთან  
 ერთად პასუხობენ ასეთ კითხვაზეც:  
 არის თუ არა საკმარისი ხუთ წელიწად-  
 ში ერთხელ კვალიფიკაციის ამოღება?  
 ყველა მოითხოვს, რომ ეს ვადა შემ-  
 ცირდეს ორი წლით, ე. ი. მიეცეთ შესა-  
 ძლებლობა ყოველ სამ წელიწადში ერთ-  
 ხელ აიმაღლონ კვალიფიკაცია. ეს ჩვე-  
 ნის აზრით ანგარიშგასაწევია.

დასამალი არ არის, რომ მსმენელები,  
 რომლებიც პირველად გადაიან კურსებს  
 სკეპტიკურად არიან განწყობილი, ფიქ-  
 რობენ რა უნდა შესძინოს მათ კურსებ-  
 მა. ასეთი სკეპტიციზმი უფრო ახასია-  
 თებს იმ ამხანაგებს, რომლებსაც აქვთ  
 პრაქტიკული მუშაობის დიდი გამოცდი-  
 ლება. მაგრამ კვალიფიკიურ პროფესორ-  
 მასწავლებელთა ლექციების, გამოცდი-  
 ლი პრაქტიკოსი მუშაკების საუბრების,  
 სემინარული თუ პრაქტიკული მეცადი-  
 ნობების ჩატარების შემდეგ ასეთ მსმე-  
 ნელთა სკეპტიკური განწყობა ნელდება  
 და ისინი ცხოველი ინტერესით აღიქვა-  
 მენ ყველა იმ პრობლემას, რომელსაც  
 აშუქებს ესა თუ ის ლექტორი.

აი რას წერენ შთაბეჭდილებათა წიგ-  
 ნში კურსდამთავრებულნი:

ზ. კილაძე (ხულოს რაიონის ნოტარი-  
 უსი): „მიუხედავად იმისა, რომ ხულო-  
 ში ერთი თვეა ნათესავის ყურადღების  
 ქვეშაა ორი მცირეწლოვანი შვილი, ისე  
 კმაყოფილი ვარ კურსებისა, რომ მიმ  
 ნელდება კიდევ წასვლა“.

შ. ჩამბა (აჭარის ასსრ იუსტიციის სა-  
 მინისტროს კონსულტანტი). „ცხოვრებ.  
 წამოჭრის ხოლმე ახალ-ახალ საკით-  
 ხებს, რომლებიც მოითხოვენ სათანადო  
 მოწესრიგებას კანონით. როგორც სა-  
 კავშირო, ისე რესპუბლიკურმა კანონ-  
 მდებლობამ გარკვეული ცვლილება გა-  
 ნიცადა. ჩვენმა ლექტორებმა პრაქტი-  
 კულ მასალებზე დაყრდნობით შესანიშ-

ნავად დაიყვანეს მსმენელებამდე ყვე-  
 ლა სიახლეთა არსი. გასაგებია რომ ყვე-  
 ლა ამ სიახლეს პრაქტიკულად გამოვი-  
 ყენებთ ჩვენს შემდგომ მუშაობაში“.

რ. დოლიძე (სოხუმის რაიონის სა-  
 ხალხო მოსამართლე): „საქართველოს  
 სსრ იუსტიციის სამინისტრო კურსების  
 მეშვეობით აკეთებს აუცილებელ და  
 მეტად საჭირო საქმეს. თანამედროვე  
 იურისტი სისტემატიურად უნდა იმაღ-  
 ლებდეს და იღრმავებდეს ცოდნას.“

მიმაჩნია, რომ პრაქტიკულად მომუ-  
 შავე იურისტი ყოველ წელს ან ორჯერ  
 სამ წელიწადში უნდა იქნეს მოწვეული  
 კურსებზე“.

შ. ბენიშვილი (ოქტომბრის რაიონის  
 იურიდიული კონსულტაციის გამგის  
 მოადგილე):

„აღნიშნული კურსები უნდა ჩამოყა-  
 ლიბებულყოფილად გაცილებით ადრე, ვიდრე  
 1971 წელს. მე კურსების მიმართ სკეპ-  
 ტიკურად ვიყავი განწყობილი, ამჟამად  
 კი მადლობის მეტი არაფერი მეთქმის“.

ლ. დათიკაშვილი (საქართველოს სსრ  
 ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს  
 სამედიცინო-გინეკოლოგიური სამეცნიერო  
 კვლევითი ინსტიტუტის სოცუფლებრი-  
 ვი კაბინეტის გამგე):

„იუსტიციის სამინისტროსთან არსე-  
 ბულ მუდმივმოქმედ კურსებს დიდი  
 სარგებლობა მოაქვს იურისტისათვის  
 როგორც კანონმდებლობაში შეტანილი  
 ცვლილებების გაცნობისა, აგრეთვე გან-  
 ვლილი მასალის გაღრმავებისათვის. და-  
 საწყისში რატომღაც სულ სხვა წარ-  
 მოდგენა მქონდა კურსებისადმი, მაგ-  
 რამ დღეს როცა კურსებს მუშაობის  
 დამთავრებამდე რაღაც ორი დღე დარჩა  
 მინდა ავღნიშნო, რომ ვნანობ, რომ იგი  
 უფრო ხანგრძლივი არ იყო“.

ასეთსავე აზრს გამოთქვამენ სხვა  
 კურსდამთავრებულებიც.

კურსებზე დიდი ყურადღება ექცევა  
 პრაქტიკულ მეცადინეობებს, მაგალი-  
 თად, სახალხო მოსამართლეთა კონტი-  
 გენტის სწავლებისას პრაქტიკული მე-

ცადინეობები ეწყობა შემდეგნაირად: სახალხო სასამართლოდან ხდება გამოთხოვა კანონიერ ძალაში შესულ სისხლისა და სამოქალაქო საქმეებისა, რომლებიდანაც განაჩენის ან გადაწყვეტილების ამოღების შემდეგ ეს საქმეები ურიგდებათ მსმენელებს გასაცნობად.

ისინი წერენ ამ საქმეებზე განაჩენებს თუ გადაწყვეტილებას. რა თქმა უნდა პროცესის გარეშე, ამგვარად განაჩენის ან გადაწყვეტილების შედგენა არ შეიძლება სრულყოფილად ჩაითვალოს, მაგრამ მაინც ირკვევა მსმენელის ცოდნა არა მარტო საქმის სწორად დაკვალიფიციერებაში, არამედ, თუ როგორია მისი წერის კულტურა, მსჯელობის სტილი, წიგნიერება და სხვ.

ასეთი პრაქტიკული მეცადინეობები მოიწონა სახალხო მოსამართლეთა კონტიგენტმა. აღსანიშნავია, რომ იგი დადებითად შეფასდა საკავშირო იუსტიციის ორგანოების მუშაკთა დახელოვნების ინსტიტუტის მიერ და განზოგადებულია კავშირის მასშტაბით.

არ შეიძლება მაღლიერების გრძნობით არ მოვიხსენიოთ ყველა ის პროფესორ მასწავლებელი, პრაქტიკოსი მუშაკი, რომლებიც აქტიურად არიან ჩამოყალიბებული კურსების საქმიანობაში, გვაქვს რეკომენდაციებსა თუ მითითებებს, რათა უფრო დაიხვეწოს სწავლების ფორმები.

მსმენელებისათვის ეწყობა ე. წ. მრგვალი მაგიდა, სადაც ისინი ხედებიან ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკებს. ასეთ შეხვედრებზე მსმენელები აყენებენ პრობლემურ საკითხებს, რომლებიც გამომდინარებენ პრაქტიკული მუშაობიდან და საჭიროებენ დაზუსტებას, მოწესრიგებას და ა. შ.

საქართველოს იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსები როდი იფარგლება მხოლოდ იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვა-

ლიფიკაციის ამაღლებით. ის თავისი ძალებით არსებით დახმარებას უწევს ყველა იმ უწყებას, რომელთა თანამშრომლები საჭიროებენ სამართლებრივი კულტურის ამაღლებას.

მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდა ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების გარანტიაა.

მოსწავლე ახალგაზრდობის სამართლებრივი ცოდნის ამაღლებისათვის სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ, სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა 1971 წლის 12 აგვისტოსა და 1971 წლის 10 დეკემბერს მიიღეს ერთობლივი დადგენილებები „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პედაგოგიურ სასწავლებლებში, ინსტიტუტებსა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლო დაწესებულებებში საბჭოთა სამართლის საფუძვლების სწავლების გაუმჯობესების შესახებ“.

ჩვენი რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX-X კლასებში „საბჭოთა სამართლის საფუძვლები“ ფაკულტატურად ისწავლება ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. მონაცემები უკვე დადებითია. მომწიფდა საკითხი, რომ რესპუბლიკის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში იკითხებოდეს საბჭოთა სამართლის საფუძვლების კურსი ერთ-ერთ ძირითად დისციპლინად.

სკოლაში სამართლის საფუძვლების სწავლებასთან დაკავშირებით წამოიჭრა პრობლემა, ვინ და როგორ ასწავლოს ეს საგანი.

სკოლებში ამ საგანს ასწავლიან იურისტები (ადვოკატები, აღმასრულებლები, იურისკონსულტები და ზოგჯერ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებიც კი), რომლებიც ახლოს არ არიან სკოლასთან, საკმარისად არ იცნობენ

სასწავლო მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, სწავლების პროცესის გააქტიურების გზებსა და საშუალებებს.

სწორედ ამ პრობლემის გადასაჭრელად საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ წინადადებით შიმართა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, რათა სკოლებში საბჭოთა სამართლის საფუძვლებს ასწავლიდნენ სკოლებშივე მომუშავე ისტორიის მასწავლებლები, რომლებიც მომზადებული იქნებოდნენ იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ რესპუბლიკურ კურსებზე. ისინი აქ სპეციალური პროგრამით შეისწავლიდნენ „საბჭოთა სამართლის საფუძვლებს“.

და აი 1974-წლის თებერვალ-მარტში 30 ისტორიის მასწავლებელი ისმენდა მეცნიერ-იურისტების, პრაქტიკოსი მუშაკების ლექციებს „საბჭოთა სამართლის საფუძვლებში“ 106-საათიანი სასწავლო პროგრამით.

სასწავლო კურსის დამთავრების შემდეგ მსმენელებს გადაეცათ მოწმობები, რომლითაც მათ ეძლევათ უფლება სკოლებში ჩატარონ საბჭოთა სამართლის საფუძვლების გაკვეთილები.

ამით საჭირო და სასარგებლო საქმე გაკეთდა. ამაზე მეტყველებს შთაბეჭ-

დილებათა წიგნი, სადაც კურსდამთავრებულები დიდ კმაყოფილებას გამოთქვამენ ამ ღონისძიებით.


ვფიქრობთ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო უფრო ინტენსიურ ხასიათს მისცემს ისტორიკოსთა მოვლინებას კურსებზე, რაც სკოლებში საბჭოთა სამართლის საფუძვლების მაღალ დონეზე სწავლების გარანტია იქნება.

ასევე სასარგებლო ინიციატივა წამოაყენა საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირმა, იმის შესახებ, რათა კურსების მეშვეობით კვალიფიკაცია აიმაღლონ იმ ჟურნალისტებმა, რომლებიც მორალურ-სამართლებრივ პრობლემებზე მუშაობენ. ა. წ. მარტში და ნოემბერში 100-მდე ჟურნალისტმა აიმაღლა კურსებზე თავისი კვალიფიკაცია.

იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს როგორც ეხედავთ უკვე გარკვეული ტრადიციები აქვს.

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ტრადიციები კიდევ უფრო გამდიდრდეს, კურსები იქცევა იურისტთა კვალიფიკაციის შემდგომი ამაღების მნიშვნელოვან სასწავლო ბაზად.

# რეპროდუცირებული ქართული სწავლული იურიდიკის ნაშრომები კოლონურ ჟურნალში\*



ბა ადამიანის ქცევის მექანიზმზე, მის ხასიათზე, ანობიერ და არაცნობიერ პროცესებზე. მას ბევრი მიმდევარი ჰყავს და ახლა უკვე თამამად შეიძლება ვილაპარაკოთ საქართველოში განწყობის ფსიქოლოგიის სკოლის შექმნაზე<sup>1</sup>. უზნაძის თეორია ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის ცნობილი პოლონეთის იურისტთა შორის, მაგრამ ეს თეორია სახსლის სამართალში მისი გამოყენების თვალსაზრისით ყურადსაღებია.

განწყობის თეორიას საფუძველი ჩაუყარა დ. უზნაძის ექსპერიმენტებმა, რომლებიც მოწინააღმდეგე სიმპიომის წნევის ძალის, სმენისა და სხვა შეგრძნების შენარჩუნების შესაძლებლობას<sup>2</sup>. გამაღიზიანებლების ზემოქმედებით გარკვეული ქცევის ჩადენა მზაობის მდგომარეობის გამოიწვევებას იწვევს.

მრავალმა გამოკვლევამ უზნაძე იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ სპეციფიური მდგომარეობის დადგომა შესაძლებელია არა მარტო ექსპერიმენტების დროს. ასეთი მდგომარეობა დამახასიათებელია ადამიანის მიზნობრივი და მოწესრიგებული ქცევისათვის. ამ თეზისს დიდი მნიშვნელობა აქვს ნევენტროლული ხასიათის<sup>3</sup> ქვეცნობიერი ფსიქიკური პროცესების ასხინისათვის.

განწყობა დაკავშირებული ნერვულ სისტემაში ფუნქციონალურ ცვლილებებთან, უზნაძის აზრით, არის სუბიექტის არაცნობიერა მდგომარეობა. ცნობიერის და არაცნობიერის ფსიქიკურ პროცესებს შორის არსებობს მჭიდრო ორმხრივი კავშირი. ერთი მხრივ, განწყობა, რომელიც ჩნდება მოთხოვნილებისა და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციის აღმოცენებასთან დაკავშირებით, გადამწყვეტ ზემოქმედებას ახდენს შეგნებული პროცესების არს-

შავგულიძის მონოგრაფია ნაყოფია იმ გამოკვლევებისა, რასაც საქართველოს მეცნიერები ეწევიან. საქართველო ცნობილია თავისი ძველი კულტურის მდიდარი ტრადიციებით. აქ დღესაც კონკრეტურაზრებულია და ვითარდება ცოცხალი, მეცნიერული აზრი. ნაშრომი ინტერესს იწვევს პრობლემის ორიგინალური გადაწყვეტის გამო. ავტორი დ. უზნაძის განწყობის თეორიაზე დაყრდნობით ცდილობს გადაჭრას ზოგიერთი სისხლისამართლებრივი პრობლემა. რომელიც დაკავშირებულია აფექტში ჩადენილ დანაშაულთან. ეს თეორია ახალი შეხედულების ძიე-

\*თ. შავგულიძე, აფექტი და სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბილისი, 1973, გამოცემლობა „მეცნიერება“. რეცენზია დაიბეჭდა ჟურნალ Prawo i prawo-ს 1974 წლის მერვე ნომერში. იბეჭდება უცნიშვნელო შემოკლებით.

<sup>1</sup> მათ ძიეკუთვნიან რ. ნათაძე, ი. ბეალავა, ვ. ნორაკიძე, ნ. ელიავა, ნ. ადამაშვილი, ა. ფრანგიშვილი და სხვ.

<sup>2</sup> ასეთი შეგრძნება ვლინდება ექსპერიმენტით, რომლის დროსაც ადამიანი მრავალჯერ აძლევს ერთნაირი ზომის, მაგრამ სხვადასხვა წონის ბურთს (ამასთან მძიმე ბურთს აძლევს მარჯვენა ხელში). შემდეგ აძლევს ერთნაირი წონის ბურთს. ადამიანს მაინც უნარჩუნდება შეგრძნება, რომ ბურთი მარჯვენა ხელში მძიმეა, რადგან მანამდე მას ამ ხელში ნამდვილად მძიმე ბურთი ეჭირა.

<sup>3</sup> ეს ტერმინი იხმარება ფსიქოლოგიაში ისეთი მდგომარეობის განსაზღვრისათვის, რომელიც უპირისპირდება ქაოსურ მდგომარეობას, შემთხვევითობას ადამიანის ფსიქიკური ფუნქციონირების პროცესებში.



ზე; მეორე მხრივ, ობიექტური ფაქტორების გაცნობიერებულმა ახასამ გარკვეულ სიტუაციაში შეიძლება არსებითი შემოქმედება მოახდინოს განწყობის შექმნაზე. დიდ როლს ამაში ობიექტივაცია ასრულებს.

ერთნაირი გამაღიზიანებლების მრავალჯერადი შემოქმედების შემთხვევაში ადამიანს უმტიცილება განწყობა (ფიქსირებული განწყობა), რის შედეგადაც განწყობა შეიძლება გამოვლინდეს სიტუაციაში, რომელიც დროში მნიშვნელოვნად სცილდება მისი აღმოცენების მომენტს. გარემო პირობების შეცვლა იწვევს განწყობის გაქრობას და ახლის აღმოცენებას. ეს ადამიანს საშუალებას აძლევს შეეგუოს ახალ გარემო პირობებს; იგი ლაპარაკობს დინამიურობაზე, რომელიც განწყობისთვისაა დამახასიათებელი.

უზნაძის საინტერესო თეორია განავითარა განწყობის ფსიქოლოგიის ქართულმა სკოლამ. ამ თეორიისადმი სულ უფრო და უფრო მეტ ინტერესს იჩენენ სამეცნიერო წრეები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც.

პოლონელი ფსიქოლოგები თავისი არსით განწყობის მსგავს ცნებებს ხმარობენ, თუმცა მიმართავენ განსხვავებულ ტერმინოლოგიას. ამავე დროს ისინი განწყობას არ თვლიან ადამიანის საქმიანობის მარეგულირებელი მექანიზმის უმნიშვნელოვანეს ელემენტად. ფაქტორის მნიშვნელობა, რომელზეც დამოკიდებულია ორგანიზმის აქტივობა და მიმართულება მიიყრება მოტივს. ასევე ძირითად როლს ადამიანის საქმიანობის სფეროში ანიჭებენ ემოციურ პროცესებს. ემოციის წყაროს წარმოადგენს არსებულ განწყობათა კონფორტაცია სინამდვილესთან. სიტუაცია, რომელიც ხელს უწყობს მოლოდინის რეალიზაციას, წარმოადგენს დამატებითი ემოციების წყაროს (კმაყოფილების, დეკმაყოფილების მდგომარეობა); ხოლო სიტუაცია, რომელიც არ შეესაბამება მოსალოდნელს ან არ შეიცავს განწყობის რეალიზაციისათვის საჭირო ელემენტებს, ნეგატიური ემოციის წყაროს წარმოადგენს (მწუხარება, მოუსვენრობა, რისხვა და ა. შ.).

საბჭოთა მცენიერებაში არის ცდები დ. უზნაძის განწყობის თეორია გამოიყენონ ზოგიერთი სისხლის-სამართლებრივი პრობლემის გადაწყვეტისათვის. მათ განეკუთვნება თ. შავგულიძის ნაშრომიც „აფექტი და

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა“.

პირველი სადავო დებულება, სადაც განწყობის თეორია დიდ დახმარებას უწევს მცენიერებას, ეს არის პრობლემა, რომელიც უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკავშიროთ არა მარტო ნებელობით, არამედ იმპულსურ ქცევასაც. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება აფექტში ჩადენილი დანაშაულიც (თუ ქცევას განვიხილავთ ნებელობით ან იმპულსურ მოქმედებად, როგორც ამას თ. შავგულიძე აკეთებს)<sup>4</sup>. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დააკვირება იმპულსურ მოქმედებასთან, ავტორის აზრით, დასაბუთებულია ადამიანის უნართი დაუპირისპირდეს მოთხოვნილების იმპულსს განწყობის აქტუალიზაციის გზით. განწყობა ამასთან, ყოველთვის როდი პოულობს რეალიზაციას შესაბამის მოქმედებაში. ადამიანი, რომელსაც სივარტის მოწყობის მოთხოვნილება გაუჩნდა, მოუკიდებს სივარტეს, რირელიც მის წინ დევს, ან გაასხენდება რა ექიმის აკრძალვა — თავს შეიკავებს ასეთი მოქმედებისაგან. რამდენადაც პირველ შემთხვევაში მოქმედება შეიძლება ჩადენილი იქნეს არაცნობიერად, ამდენად მეორე შემთხვევაში აკრძალვა სუბიექტის შეცნებაში აიხსნება როგორც ამკრძალავი ინფორმაცია და შეფარებას განწყობის გადასვლას მოქმედებაში.

აფექტის მდგომარეობაში მყოფ ადამიანს ასევე აქვს აფექტის დაძლევის შესაძლებლობა, ვინაიდან მას მანც რჩება ქცევის შერჩევის შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში ავტორი ეყდრნოა საბჭოთა ფსიქოლოგების ბ. ტეპლოვის და ს. რუბინშტიინის აზრს, რუბინშტიინის აზრით აფექტის პირველ ფაზაში, ე. ი. ფაზაში, როდესაც ჩნდება შურისძიების მოთხოვნილება, არსებობს განწყობის მოტივაციურ სფეროში გადატანის და ამასთან აფექტის დაძლევის შესაძლებლობა.

ფაქტორთა სისტემას, რომელიც ახასიათებს განწყობას და რომელიც არსებითი შევსავლენას ახდენს მოქმედების სქემის შერჩევაზე, შავგულიძე ასევე განიხილავს სოციალური ფსიქოლოგიის სიბრტყეში. ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებში ფუნქციონირებს გარკვეული ქცევის ნორმები, რომელთა

4 მათ მიეკუთვნება წარმოსახვა, აზრი, ემოციები, ნებელობითი გადაწყვეტილების აქტი.  
 5 პოლონურ სამართლებრივ ლიტერატურაში აფექტური დანაშაულის პრობლემას მიეძღვნა ა. გუბინსკის მონოგრაფია. ავტორი ამტკიცებს, რომ ლიტერატურაში არ არის დებულება, როცა ლაპარაკია თვით მექანიზმზე, რომელიც გრძობობათა განცდა ძლიერი დაძაბვის დროს იხსნება ადამიანის ინტელექტუალურ და ევოლუტარულ სფეროზე. უფრო ახალ ლიტერატურაში გაბატონებულია აზრი, რომ ასეთი მდგომარეობა ჩნდება თავის ქალის ქერკში მომხდარი დასტურებების გამო.  
 6 ავტორი არ იძლევა მკვეთრ გამიჯნას იმპულსურ და ნებელობით მოქმედებას შორის, ის ენებობა უზნაძეს, რომელიც ასევე ამტკიცებს, რომ ნებელობითი მოქმედების შემთხვევაში ცალკეული ქცევა მიედინება „თავის თავად“, სუბიექტის მიერ მკაფიო გაცნობიერების გარეშე, რითაც გამოიხატება მისი მსგავსება იმპულსურ ქცევასთან.

კონტროლის ქვეშაც იგი იმყოფება. ეს კონტროლი — თვითკონტროლია. ვინაიდან ადამიანი აფასებს თავის მოქმედებას სხვის ნამდვილ და შესაძლებელი რეაქციისაგან გამომდინარე, ამიტომ იგი ირჩევს მოქმედების განსაზღვრულ სქემას, იმ ჯგუფის რეაქციის მხედველობაში მიღებით, რომელიც მისთვის ეტალონურ ჯგუფს წარმოადგენს.

ადამიანს შესაძლებლობა აქვს შექმნას თავისი „მე“ იმის წარმოდგენით თუ არა ფაის აქვს მას სხვა ადამიანთა თვალში. მას უნარი აქვს აგრეთვე შეარჩოს ისეთი მოქმედება, რომელიც შეესაბამება საზოგადოების საკულდებულო ნორმებს. ასეთი კონტროლის ქვეშ იმყოფება აგრეთვე ადამიანი მანანაც, როცა იგი იმპულსურად მოქმედებს. სოციალურ კონტროლს შეუძლია გავლენა მოახდინოს მოთხოვნალების დაკმაყოფილების სიტუაციისაგან გარკვეული ობიექტის ამორიცხვის გზით (მაგ., გამორიცხვის კაცობაობა, როგორც შიმშილის დაკმაყოფილების საშუალება, გვ. 35). დანაშაულის ჩადენა ეს არის სამართლებრივი კონტროლის გადალახვა თვითკონტროლის უნარის შენარჩუნების პირობებში (გვ. 38).

შავგულიძე განწყობის თეორიას იყენებს აფექტში ჩადენილი დანაშაულის ბრალის ფორმის განსაზღვრისას, რომელიც სისხლის სამართალში ტრადიციულად განზრახს დანაშაულად ითვლება. მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება დანაშავე აფექტის დროს, ეჭვს აღუძრავს დანაშავეს თავისი მოქმედების გაცნობიერების შესაძლებლობაზე. ავტორი აფექტის დროს განზრახვის არსებობის დასასაბუთებლად უზნაძის განწყობის თეორიას მიმართავს. განწყობის წყალობით ხდება ადამიანის მიერ დგომარეობის გარკვეული ცოდნის აქტუალიზაცია, მისი წყალობით ადამიანი იყენებს ამ ცოდნას მიზანდასახულად და მოწესრიგებულად. ავტორს მოყავს მაგალითი, რომელშიც დანაშავეს მოქმედების აღწერა ხატონად მეტყველებს იმ ცოდნის აქტუალიზაციაზე, რომელიც საჭიროა მოცემულ სიტუაციაში მიზნის მისაღწევად (მეგვლეობისათვის), განცდილი შეგრძობისთვის ზეგავლენით დანაშავეს უზნდება შურისძიების მოთხოვნა, რაც ემოციურ სფეროში აისახება რისხვის აფექტად. ის გარბის თავის ოთახში იმიტომ, რომ იცის კედელზე თოფი ჰკიდია. არ ესმის მსხვერპლს წიგნით, რომელიც ხელთ აქვს, ვინაიდან იცის, რომ ეს იარაღი არ არის ეფექტური. დანაშავე მისდევს მსხვერპლს და ცდილობს ახლო მანძილიდან მოახვედრის თავში. იმიტომ, რომ ესმის ასეთი გასროლა უფრო რეალურია მიზნის მისაღწევად (გვ. 89).

განწყობის წყალობით იმპულსური მოქმედების დროს აფექტის მდგომარეობაში აქტუალიზირდება არა მარტო ცოდნა, რომელიც შეესება საგნების, მოვლენების და მის ურთიერთკავშირის ფაქტობრივ მხარეს, არამედ მათი შეფასებითი მხარეც. ამ შემთხვევაში მოქმედების ფაქტობრივი და შეფასებითი

თი მხარე ერთიანობა და ცალ-ცალკე არ აღიქვება. ამიტომ ის, ვინც კლავს აფექტის მდგომარეობაში, ანგარიშს აძლევს თავის თავს არა მარტო იმაში, რომ გასროლა შეიძლება სასიკვდილო იყოს, არამედ იმაშიც, რომ ის მკვლეულია და რომ მისი მოქმედება საზოგადოებრივად საშიშია (გვ. 90). მოქმედების, განსაკუთრებით იმპულსურის, ფსიქოლოგიური მხარის ანალიზს ავტორი მიჰყავს დასკვნაში, რომ შექანიზმი, რომელიც ამოძრავებს ადამიანს და რომელშიც ძირითად მნიშვნელობას განწყობა თამაშობს, ასაბუთებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აფექტში ჩადენილი მოქმედებისათვის. განწყობა ასევე არსებით ზეგავლენას ახდენს შეგნების მონაწილეობაზე. ასეთი მოქმედების რეგულირებაში, ეს შესაძლებლობას იძლევა შეერაცხოს დანაშავეს განზრახვი ბრალი.

გ. თ. შავგულიძის ნაშრომი წარმოადგენს ცდას თავი დააღწიოს ტრადიციული ფსიქოლოგიის ცნებათა წრეს და ადამიანის მოქმედების მომწესრიგებელი მექანიზმის გასარკვევად სისხლის სამართალში გამოიყენოს თანამედროვე საბჭოთა ფსიქოლოგიის უახლესი მიღწევები. ავტორი მთლიანად არ უარყოფს სისხლის სამართალში დადგენილ ტრადიციული ფსიქოლოგიის ტერმინოლოგიას, იგი სარგებლობს ცნებებით „ნება“, „ნებელობითი მოქმედება“. თანამედროვე ფსიქოლოგიაში ცნებას „ნება“ ბრალს სდებენ, რომ იგი გულისხმობს რაღაც ნივთიერებას ან ნივთს, რომელიც ხელმძღვანელობს მოქმედებას და რომ ამ ცნებას აქვს ფილოსოფიური საფუძველი დაკავშირებით ძველ პრობლემათა „თავისუფალი ნება და დეტერმინიზმი“. ასევე უთითებენ, რომ „ნება“, როგორც შეგნების გამოვლინების განსაკუთრებულ სახეს, თავის საფუძველში მჭიდროდ შეერთებულია სხვა მოვლენებზე, ხოლო ფსიქოლოგიაში ხმარებული ინტერსუბიექტიური გამოთქმა „ნება“, „ნების მოქმედება“, თითქმის მთლიანად შეცვლილია ტერმინით „მოტივაცია“.

უკეთეს რა ანალიზს აფექტურ დანაშაულთან დაკავშირებული პრობლემების თავისებურებას, ავტორს მოაქვს სასამართლო პრაქტიკის მაგალითი. განსაკუთრებით საინტერესო მისაზრებებია გამოთქმული პრობლემებზე, რომლებიც ამართლებენ აფექტის აღმოცენებას, აფექტის წარმოშობის უყარობაზე, აფექტში ჩადენილი დანაშაულისა და აუცილებელი მოგერიების მოქმედების გამოჩენაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ შავგულიძის შრომას, რომელიც ეძღვნება აფექტში ჩადენილი დანაშაულის პრობლემატიკის ფსიქოლოგიურ-სამართლებრივ გამოკვლევას არსებითი მნიშვნელობა აქვს სისხლსამართლებრივი მეცნიერების განვითარებას თბოვს იმ კავშირის განვითარებას, რომელიც ახლდობს მას ცოდნის სხვა დარგებთან. თ. შავგულიძის ნაშრომი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ამ მიმართულებით.



# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

## პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის  
24 იანვრის დადგენილების შესრულების მიზნინარმოვან შეილავის  
სასარგავლოდ ალიმენტის დაკისრების და გადახდვინების  
განხორციელების მკომარმოვან თაოგაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1975 წლის 5 ნოემბერს განიხილა თუ როგორ ხორციელდება შეილების სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრებისა და გადახდვინების კანონმდებლობა. დადგენილებაში ნაქვამია, რომ ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, შესაბამისმა მუდმივმა კომისიებმა განახორციელეს ღონისძიებანი, რათა სასამართლოები სწორად და კანონით დადგენილ ვადებში იხილავდენ დავეზ ალიმენტის დაკისრებისა და გადახდვინების შესახებ შინაგან საქმეთა ორგანოებმა გააუმჯობესეს ალიმენტის გადახდისაგან თავისამრიდებელ პირთა ძებნა.

ამასთან ერთად ამ კანონმდებლობის განხორციელების საქმეში ჯერ კიდევ აქვს ადგილი სერიოზულ ნაკლოვანებებს.

არც თუ იშვიათად სასამართლოები სასარჩელო განცხადებებს განიხილავენ კანონით დადგენილი ვადების დარღვევით. 1975 წლის პირველ ნახევარში ვადების დარღვევით განხილულია ამ კატეგორიის საქმეთა თითქმის შეიდი პროცენტი. მავალითად, რუსთავის სახალხო სასამართლომ ი. გვანცელაძის სასარჩელო განცხადება განიხილა თვე-ნახევრის დაგვიანებით, ბორჯომის რაიონის სახალხო სასამართლომ კი ზ. კვეციშვილის განცხადება სამი თვის დაგვიანებით.

ზოგიერთი სახალხო სასამართლო საქმეთა ზერელედ განხილვის შედეგად არასწორად განსაზღვრავს ალიმენტის ოდენობას, უშეუბნებლად შეცდომებს.

ადგილი აქვს სასამართლოების მიერ საალსრულებო ფურცლების ვაცემისა და მათი დანიშნულებისამებრ დაგვიანებით გადაგზავნის შემოხვევებს. მარტო იუსტიციის სამინისტროს ხაზით მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, ვასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით, თითქმის ოცდაექვსი პროცენტით ვიზარდა ამ საკითხებზე საჩივრების რაოდენობა (დმანისის, წალკის, ქ. თბილისის 26 კომისიის და კალინინის რაიონების სახალხო სასამართლოები).

ხშირად სასამართლოები საქმეს არ ურთავენ ცნობებს მოპასუხეთა სამუშაო ადგილი-

სა და ბევრის კმაყოფილება ყოფნის შესახებ, გადაწყვეტილებებში სრულყოფილად არ არის აღნიშნული მოპასუხეთა დემოგრაფიული ცნობები. გადაწყვეტილებების აღსრულებას აძენლებს ისიც, რომ საქმეთა განხილვა ხშირად ხდება მოპასუხის დაუსრულებლად (ზეგდიდის ქალაქისა და რაიონის სახალხო სასამართლოები).

სასამართლოები არ ასრულებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზემოხსენებული დადგენილების პირველი მუხლის „ა“ პუნქტის მოთხოვნას და ამ კატეგორიის საქმეთა მხლოდ უმნიშვნელო ნაწილს განიხილვენ გამსვლელ სესიაზე მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენლების მონაწილეობით. სათანადო ყურადღება არ ექცევა პროფილაქტიკურ ღონისძიებას — კერძო განხილების გამოტანას. ამ საკითხებზე იშვიათად ეწყობა ლექცია-მოხსენებები, კითხვა-პასუხის საღამოები, ნაკლებად ქვეყნდება მასალები ადგილობრივ პრესაში, რადიოში და სხვ.

ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს 1974 წელს და 1975 წლის პირველ ნახევარში ამ კატეგორიის არც ერთი საქმე არ განუხილავს გამსვლელ სესიაზე. განხილვაში არ მონაწილეობდნენ აგრეთვე საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ზოგიერთ წარმომავალ-დაწესებულებაში უხეშად ირღვევა ალიმენტის დაკისრებისა და მისი გადაგზავნის წესები. საალსრულებო ფურცელი ხშირად, დიდი დაგვიანებით ან სულ არ იგზავნება დანიშნულებისამებრ და სხვ. (ქ. თბილისის მე-6 მსუბუქი ტაქსომოტორების ავტოსატრანსპორტო საწარმო, სსრკ ავრ-ს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქარფელოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი, № 3 ავტოსატერიო საწარმო და სხვ.).

მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებმა გააუმჯობესეს ალიმენტის ურჩ ვადამხდელთა და თავისამრიდებელთა ძებნა, ამ ხაზით ჩატარებული მუშაობები ჯერ კიდევ საკმარისი არ არის. (ალიმენტის გადახდისაგან თავისამრიდებელთა 16,6 პროცენ-

ტი წლებულს 1 ოქტომბრის მდგომარეობით დაქვნილი არ იყო).

ქალაქებისა და რაიონების პროკურატურის მუშაები იშვიათად ლეგულობენ მონაწილეობას სასამართლო პროცესებში და საჭიროების შემთხვევაში არ აყენებენ იმ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხს რომლებიც უგულებელყოფენ მოქმედ კანონებს ალიმენტის შესახებ.

ეს ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოები, სამინისტროები და უწყებები, ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ შვილების სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრებისა და ვადახდევინების წესის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნების და ამ საკითხზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 24 იანვრის დადგენილებების შესრულებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.

ჩაითვალა, რომ საქართველოს სსრ პროკურატურის, იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სხვა სამინისტროებისა და უწყებების, ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მუშაობა შვილების სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრებისა და ვადახდევინების საქმეში ჯერ კიდევ ვერ პასუხობს მოქმედ კანონმდებლობასა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 24 იანვრის დადგენილების მოთხოვნებს.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უმაღლეს სასამართლოსთან ერთად დაევალა დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი სასამარ-

თლო ორგანოებში არსებულ ნაკლოვანებათა უმოკლეს ვადაში აღმოსაფხვრელად, ამასთან ძირითადი ყურადღება უნდა დაეთმოს პროფილაქტიკური ხასიათის მუშაობის მკვეთრ გაუმჯობესებას;

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაისახა მიიღოს ყველა ზომა ალიმენტის ურჩ გადახედვლათა დაქვნიისათვის.

საქართველოს სსრ პროკურატურას დაევალა გააძლიეროს საპროკურორო ზედამხედველობა ალიმენტის დაკისრებისა და გადახდევინების წესის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის ზუსტად განხორციელებაზე. პროკურორებმა უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ აღნიშნული კატეგორიის საქმეთა განხილვაში და პროფილაქტიკური ხასიათის ღონისძიებების გატარებაში.

დადგენილებით გათვალისწინებულია, რომ რესპუბლიკის სამინისტროების და უწყებების ხელმძღვანელებმა მიიღონ ზომები მათდამი დაქვემდებარებულ წარმოება-დაწესებულებებში ალიმენტის დაკავებისა და გადაგზავნასთან დაკავშირებული კანონების ზუსტად შესრულებაზე.

მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ევალებათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 24 იანვრისა და ამ დადგენილების გათვალისწინებით დასახონ კონკრეტული ღონისძიებები შვილების სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრებისა და გადახდევინების წესის შესახებ კანონმდებლობის შესასრულებლად.



# სახელმწიფო არბიტრაჟი

## 1. პირგასამტეხლო, რომელიც ჩამოეწერა მოპასუხეს, დაუბრუნდება მას უკან პირგასამტეხლოს გადახდევინებისაგან განთავისუფლების შესახებ გამოცემული განკარგულების შემდეგ (სახბაჟის თანხის გარდა)

სახელმწიფო არბიტრაჟმა 1975 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილებით თერჯოლის რაიონსამომხმარებლო კავშირის დამზადების კანტორას ქუთაისის საკონსერვო ქარხნის სასარგებლოდ დააკისრა პირგასამტეხლო თანხა 3318 მანეთის ოდენობით 1974 წლის მოსავლის სასოფლო სამეურნეო პროდუქტების ნაკლებმიწოდებისათვის. პირგასამტეხლოს თანხის გარდა მოპასუხეს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურებაც. იმასთან დაკავშირებით, რომ დამამზადებელი ორგანოები 1974 წელს განთავისუფლებული იყვნენ კუროკვანი ხილის მიუწოდებლობის პირგასამტეხლოს გადახდისაგან. თერჯოლის რაიონსამომხმარებლის კანტორამ არბიტრაჟს მიმართა თხოვნით გამოტანილი გადაწყვეტილების შეცვლისა და დაკისრებული თანხის გადახდისაგან განთავისუფლების შესახებ. განმცხადებელს მიეთითა, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის 1963 წლის 26 იანვრის № ი-1-3 ინსტრუქციული წერილის თანახმად სანქციებიდან განთავისუფლების შესახებ განკარგულების გამო-

ტანამდე მისჯილი პირგასამტეხლო უბრუნდება მოპასუხეს, როდესაც განკარგულებაში მითითებულია გადახდევინებული თანხის დაბრუნება, ანდა, თუ პირგასამტეხლოს მისჯილი თანხა ჩამოეწერა მოპასუხეს გადახდევინებისაგან განთავისუფლების შესახებ განკარგულების გამოცემის შემდეგ.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში განცხადებას უნდა ერთოდეს ცნობა სამეურნეო ორგანოს ხელმძღვანელისა და მთავარი ბუღალტერის ხელის მოწერით, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილების შესაბამისად თანხა ჩამოწერილია ამ ორგანიზაციის ანგარიშიდან მითითებით როლის (თარიღი) მოხდა ჩამოწერა. სახელმწიფო ბაჟი დაბრუნებას არ ექვემდებარება.

თერჯოლის რაიონსამომხმარებლის კანტორამ წარმოადგინა ცნობა, რომ ჩამოწერა მოხდა 1975 წლის 7 მარტს, რამაც მისცა მას საფუძველი მოეთხოვა პირგასამტეხლოს გადახდილი თანხის დაბრუნება.

## 2. ცალმხრივი უარი ხელშეკრულების შესრულებაზე და მისი პირობების ცალმხრივი შეცვლა არ დაიშვება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევების გარდა

მსტერის მუშაობის ფაბრიკამ კოოპოსისტორგის თბილისის ბაზასთან დადებულ ხელშეკრულებისა და მისივე განწყობის შესაბამისად გადაუტვირთა ცეკავშირის წნორის ბაზას 40000 მან. მუშაობა. საქონლის მიღებისას წნორის ბაზამ მოახდინა მიმწოდებლის ანგარიშის ნაწილობრივი აქცეპტი 23794 მანეთის თანხაზე „დაუკვეთავი საქონლის“ მიწოდების საფუძველზე და გაუნდებელი საქონელი დააბრუნა უკან. ვინაიდან დავა სპარტენტზიო წესით ვერ მოგვარდა, მსტერის ფაბრიკამ აღძრა სარჩელი სახელმწიფო არბიტრაჟში, რომლითაც მითითოვა მოპასუხეს გადაეხადა ჯარიმა ანგარიშის უსაფუძვლოდ ნაწილობრივი აქცეპტისათვის.

სახელმწიფო არბიტრაჟში დავის განხილვის დროს წნორის ბაზამ სარჩელი არ იცნო და განაცხადა, რომ კოოპოსისტორგის დადებული ხელშეკრულების პირობებით უნდა მიეწოდებია

2 მანეთის ღირებულების მუშაობა, მოსარჩელემ კი მიაწოდა სხვადასხვა ღირებულების საქონელი, მათ შორის 2 მანეთზე ნაკლები ღირებულებისა და ამით დაარღვია ხელშეკრულების პირობა. გარდა ამისა, ბაზამ განაცხადა, რომ მან თავის დროზე გააფრთხილა მიმწოდებელი, რომ მუშაობაზე არ არას მოთხოვნილება და ამიტომ საერთოდ ითხოვდა მისი მიწოდების შეწყვეტას და სათანადო ცვლილების შეტანას ხელშეკრულებაში. სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად. ზედამხედველობის წესით შეტანილ განცხადებაში გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ წნორის ბაზამ გაიმეორა თავისი მოთხოვნები. საჩივარი დატოვებულია უშედეგოდ. მომჩივანს მიეთითა, რომ მიწოდების ხელშეკრულებასთან დართულ სპეციფიკაციაში გათვალისწინებული იყო მისაწოდებელი მუშაობის საშუალო ფასი,

რომელსაც მოსარჩლე იცავდა, ხოლო თუ მოპასუხე საჭიროდ სთვლიდა დადებული ხელშეკრულების პირობის შეცვლას ასორტიმენტის ნაწილში მას უნდა ემოქმედა სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების 22-ე მუხლით და პრე-

ტენზიების წარდგენისა და განხილვის წესების შესახებ 23 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად და ცალმხრივად არ უნდა განეცხადებია უარი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონლის მიღებასა და განადგებაზე.

**3. სახელმწიფო არბიტრაჟი არ განიხილავს სარჩელს თუ დავა ერთხადაიმავე საგანზე, იმავე საფუძველით და იგივე მხარეებს შორის წინათ გადაწყვეტილი იყო არბიტრაჟში**

ერთერთმა საწარმომ აღძრა წინასახელშეკრულებო დავა ვორთქილოვგრადის ენერგოქარხანასთან მისაწოდებელი საიზოლაციო პროდუქციის სპეციფიკაციაზე. დავის განხილვის დროს გამოიჩინა, რომ ხელშეკრულება მხარეებმა დადეს 1973 წელს ორი წლით. ხელშეკრულების დადებისას წამოიჭრა უთანხმოება იმავე საგანზე, სახელდობრ სპეციფიკაციის გამო, რომელიც სახარბიტრაჟმა განიხილა 1974 წლის მარტში და გამოიტანა სათანადო გადაწყვეტილება. მიუხედავად ამისა, მიმწოდებელმა აღძრა, ხოლო სახარბიტრაჟმა განმეორებით განიხილა ეს დავა 1975 წლის იანვარში და გამოიტანა გადაწყვე-

ტილება, რომლითაც შესცვალა თავისი აღრინდელი გადაწყვეტილება ამავე საგანზე.

სახარბიტრაჟის გადაწყვეტილება გაასაჩივრა მყიდველმა — ვორთქილოვგრადის ენერგოქარხანამ. მთავარმა არბიტრმა მხედველობაში მიიღო, რომ სამეურნეო დავების განხილვის წესების 57-ე მუხლის ძალით სახარბიტრაჟი არ იხილავს სარჩელს თუ ერთხადაიმავე საგანზე, იმავე საფუძველით და იგივე მხარეებს შორის წამოჭრილი დავა წინათ გადაწყვეტილი იყო არბიტრაჟის მიერ, ვაუტქმა სახარბიტრაჟის 1975 წელს გამოტანილი გადაწყვეტილება და საქმე წარმოებით მოსპო.


**4. დადებული ორივე მხარისათვის სავალდებულო საგემო დავების საფუძველზე წლიური ხელშეკრულება მოქმედებს 1 იანვრიდან, დამოუკიდებლად იმისა, თუ როდის იყო დადებული ხელშეკრულება, გარდა ცალკეული კონკრეტული პირობებისა, რომლებიც არ შეიძლება გავრცელდეს ხელშეკრულების დადებამდე განვლილ პერიოდზე**

ერთერთმა საწარმომ და ქუთაისის ელექტროტექნიკურმა ქარხანამ 1973 წლის ნოემბერში დასდეს ხელშეკრულება ელექტროძრავების მიწოდებაზე. ხელშეკრულების დადების დროს წამოიჭრა უთანხმოება მისაწოდებელი ელძრავების კომპლექტურობაზე. დავა განსახილველად გადაეცა სახარბიტრაჟს. საბოლოო გადაწყვეტილება ამ დავაზე მიღებულ იქნა 1974 წლის სექტემბერში. სახარბიტრაჟმა იცნო მიმწოდებლის ვალდებულება მიეწოდებინა მყიდველისათვის ელძრავები მყიდველის მიერ მოთხოვნილი კომპლექტით. იმავე 1974 წლის დეკემბერში მყიდველმა აღძრა ორი სარჩელი, რომლითაც მიმწოდებლისაგან თხოვლობდა ჯარიმას 1974 წლის იანვარ-თებერვალში უკომპლექტო პროდუქციის მიწოდებისათვის და პირგასამტეხლოს 1974 წლის პირველ ნახევარში პროდუქციის ნაკლებიწოდებისათვის, ვინაიდან უკომპლექტო პროდუქტია მიწოდებაში არ ჩაითვლება. ამავე დროს მოსარჩლე ითხოვდა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის აღდგენას, ვინაიდან ვადის გაშვება გამოწვეული იყო წინასახელშეკრულებო დავის სახარბიტრაჟში დავეიანებით განხილვით.

ბო დავა საბოლოოდ გადაწყდა მხოლოდ სექტემბერში და მანამდე მიმწოდებელი არ სთვლიდა თავს ვალდებულად მიეწოდებინა მყიდველისათვის დაკომპლექტებული ელექტროძრავები. ამასთან დაკავშირებით შეკითხვა გაიგზავნა სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟში. სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟმა 1975 წლის 27 თებერვლის წერილით № ს-7 განმარტა, რომ № 16.513. 217-72 ტექნიკური პირობები აღგენს, რომ ელექტრო ძრავა უნდა მიწოდებულ იქნას სათანადოდ დაკომპლექტებული და ამიტომ მიმწოდებლის პასუხისმგებლობა იწყება 1974 წლის 1 იანვრიდან. სახარბიტრაჟმა იხელმძღვანელა ამ განმარტებით და სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის 1963 წლის 15 ოქტომბრის № ი-1-53 ინსტრუქციით, რომლის თანახმად წლიური ხელშეკრულება დადებული ორივე მხარისათვის სავალდებულო საგემო დავების საფუძველზე მოქმედებს 1 იანვრიდან დამოუკიდებლად იმისა, თუ როდის იყო დადებული ხელშეკრულება, გარდა ცალკეული კონკრეტული პირობებისა, რომლებიც არ შეიძლება გავრცელდეს ხელშეკრულების დადებამდე განვლილ პერიოდზე და დააკმაყოფილა ორივე სარჩელი.

# აღმოსავლეთა ზღვრულნი

## სიბიერის გუბანი



არიან ადამიანები, რომლებიც ათეული წლების მანძილზე სასახელო ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან.

ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის მშრომელთა დეპუტატების საჩხერის რაისაბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი დიმიტრი დავითის ძე ფატარიძე.

დიმიტრიმ 1940 წელს დაამთავრა ბორჯომის რაიონის ახალდაბის საშუალო სკოლა და მუშაობა დაიწყო კოლმეურნეობაში. 19 წლისავე არი იყო, როცა ის 1942 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში და მალე უშუალოდ ებმება ბრძოლებში. მას ბრძოლა უხდებოდა: ლენინგრადის, მესამე ბალტიისპირეთისა და მე-სამე უკრაინის ფრონტებზე. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ლატვიის დედაქალაქის რიგის, აგრეთვე ვენისა და სხვა ქალების განთავისუფლებისათვის წარმოებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში. 1947

წლის მარტამდე დ. ფატარიძე საბჭოთა არმიის რიგებში მსახურობს.

1947 წლის მაისიდან დ. ფატარიძე უმწიკვლოდ მსახურობს შინაგან საქმეთა ორგანოებში.

საბრძოლო ნათლობა მან ბორჯომის შინაგან საქმეთა განყოფილებაში მიიღო. სადაც ერთი წელი და სამი თვე დაჰყო.

დ. ფატარიძე 1948-1950 წლებში ამთავრებს თბილისის მილიციის უფროსთა შემადგენლობის სკოლას, ხოლო 1959-1965 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს (სადაც განყოფილება).

1973 წლის მაისიდან ფატარიძე მილიციის პოდპოლკოვნიკის წოდებით მუშაობას იწყებს მშრომელთა დეპუტატების საჩხერის რაისაბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსად.

მან როგორც გამოცდილმა ოპერატიულმა მუშაკმა, მთავარი ყურადღება დაუთმო დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლასა და პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებას.

დიმიტრი დავითის ძე ფატარიძე დაჯილდოებულია 16 მედლით, აქედან რვა მედალი მიღებული აქვს შინაგან საქმეთა ორგანოებში ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის. გარდა ამისა იგი დაჯილდოებულია მილიციის ფრიადოსნის სამკერდე ნიშნით, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორი ქების სიგელით, მიღებული აქვს მადლობები და ფულადი ჯილდოები.

52 წლის ასაკი არც თუ ისე ცოტაა, მაგრამ მილიციის პოდპოლკოვნიკი დიმიტრი დავითის ძე ფატარიძე ახალგაზრდული ენერჯითა და მგზნებარებით განაგრძობს თავის რთულ და საპატიო საქმიანობას.

ა. ანასაზვილი



# ოფიციალური მასალა

## ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის  
234-ე მუხლის ცვლილებათა შეთანხმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 234-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 234.** სისტემატური მაწანწალობა ან მათხოვრობა

სისტემატური მაწანწალობა ან მათხოვრობა, აგრეთვე ხანგრძლივი დროის განმავლობაში სხვაგვარი პარაზიტული ცხოვრება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით.

იგივე ქმედობა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც წინათ გასამართლებული იყო ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვამჩაძე**

თბილისი, 1975 წლის 5 ნოემბერი.

## ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტი-საზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების ძალადაპარგულად ცნობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

1. ძალდაკარგულად იქნეს ცნობილი:

„იმ პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტი-საზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 14 მაისის ბრძანებულების 1—6 მუხლები (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1970 წ., № 5, მუხ. 77);

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზი-

დიუმის 1970 წლის 14 მაისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1970 წ., № 5, მუხ. 76).

2. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნეს 234<sup>1</sup> მუხლი.

3. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს ციფრი „234!“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვამჩაძე**

თბილისი, 1975 წლის 5 ნოემბერი.



# ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ღ ე ბ ე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურებისა ან დაზიანებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხლის მეორე ნაწილის სანქცია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ქოჩინიძე  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭავაძე

თბილისი, 1975 წლის 5 ნოემბერი.

# ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ღ ე ბ ე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებითა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაემატოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს შემდეგი შინაარსის 59<sup>1</sup> და 81<sup>1</sup> მუხლები:

„**მუხლი 59<sup>1</sup>**. გარემოებანი, რომლებიც უნდა დადგინდეს არასრულწლოვანთა საქმეების გამო არასრულწლოვანთა საქმეების წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს, ამ კოდექსის 59-ე მუხლში მითითებული გარემოებების გარდა, აგრეთვე უნდა დადგინდეს შემდეგი გარემოებები:

1. არასრულწლოვანის ასაკი (დაბადების რიცხვი, თვე, წელი).
2. აღზრდისა და ცხოვრების პირობები.
3. არასრულწლოვანის მიერ დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი პირობები და მიზეზები.
4. იყვნენ თუ არა სრულწლოვანი წამქეზებლები და სხვა პირები, რომლებმაც არასრულწლოვანი დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩააბეს.

არასრულწლოვანის გონებრივი ჩამორჩენილობის დროს, თუ ეს დაკავშირებული არ არის

სულიერ დაავადებასთან, უნდა გამოირკვეს, აგრეთვე, — შეეძლო თუ არა მას მთლიანად შეეგნო თავისი მოქმედების მნიშვნელობა. ამ გარემოებათა დასადგენად უნდა დაიკითხოს არასრულწლოვანის მშობლები, მისი მასწავლებლები, აღზრდელნი და სხვა პირები, რომლებსაც შეუძლიათ საჭირო ცნობების მიცემა. ასევე გამოთხოვილ უნდა იქნეს სათანადო დოკუმენტები და ჩატარდეს სხვა საგამომძიებლო და სასამართლო მოქმედებანი.

აუცილებელ შემთხვევებში, არასრულწლოვანის საერთო განვითარების მდგომარეობისა და მისი გონებრივი ჩამორჩენილობის დონის დასადგენად, უნდა ჩატარდეს ექსპერტიზა ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის სპეციალისტების მიერ (ფსიქოლოგი, პედაგოგი) ან აღნიშნული საკითხები გადასაწყვეტად გადაეცეს ექსპერტ-ფსიქიატრს“.

„**მუხლი 81<sup>1</sup>**. აღკვეთის ღონისძიების გამოყენება არასრულწლოვანის მიმართ დაკავება და დაპატიმრება, როგორც აღკვეთის

ღონისძიება არასრულწლოვანის მიმართ, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ გამოჩაკლის შემთხვევებში, როდესაც ეს გამოწვეულია ჩა-

დენილი დანაშაულის სიმძიმით და იმ საფუძვლების არსებობისას, რომლებიც მითითებულია ამ კოდექსის 82-ე, 88-ე და 121-ე მუხლებში“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწანიძე**  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვამჩაძე**

თბილისი, 1975 წლის 5 ნოემბერი.

## ბ რ ძ ე ნ ე ბ უ დ ე ბ ე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცების წინააღმდეგ კანონით გათვალისწინებული სისხლის სამართლებრივი ზომების უფრო ეფექტურად გამოყენების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 126-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „95-ე I ნაწ.“ შეიცვალოს ციფრით „95“ და ამავე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „95-ე II ნაწ.“.

2. შემდეგ კარისა და ოცდამეთოთხმეტე თავის სათაურს სიტყვის „ხულიგნობის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცების“.

3. მე-400 მუხლის სათაურსა და ამ მუხლის ტექსტს სიტყვის „ხულიგნობის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცების“.

4. 401-ე მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების „პირველი ნაწილით“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და 95-ე მუხლის პირველი ნაწილით“.

5. 402-ე მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების „მეორე ნაწილით“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და 95-ე მუხლის მეორე ნაწილით“.

ამავე მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების „პირველი ნაწილით“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და 95-ე მუხლის პირველი ნაწილით“.

6. 405-ე მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების „პირველი ნაწილით“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და 95-ე მუხლის პირველი ნაწილით“.

7. 406-ე მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების „პირველი ნაწილით“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და 95-ე მუხლის პირველი ნაწილით“.

ამავე მუხლის მესამე ნაწილს სიტყვის „ხულიგნობის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცების“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწანიძე**  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვამჩაძე**

თბილისი, 1975 წლის 5 ნოემბერი.

## რ ე რ ვ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**„სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წერილობანი გაბატონებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესებისა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 29 მაისის ბრძანებულების პირველ მუხელში რედაქციური ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში აღგენს:

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების წერილობანი გაბატონებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესებისა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 29 მაისის ბრძანებულების პირველი მუხლი (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1973 წ., № 5, მუხ. 81) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დაწესდეს, რომ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წერილობანი გაბატონება, თუ იგი ჩადენილია პირველად, გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას — პატიმრობას ვადით ათიდან თხუთმეტ დღემდე ან გამასწორებელ სამუშაოებს ვადით ერთიდან ორ თვემდე ხელფასიდან ოცი პროცენტის დაქვითვით ან ჯარიმას ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე ანდა საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებების გატარებას, ყველა შემთხვევაში მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ქოჩინიძე**  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვბუაძე**

თბილისი, 1975 წლის 5 ნოემბერი.

# ინფორმაცია

## სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია სამართლის პროპაგანდის კომპლექსური სამუშაოების

23-24 ოქტომბერს ქ. ერევანში გაიმართა სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია თემაზე: „სამართლის პროპაგანდის ეფექტურობის ამაღლება და კანონმდებლობის სისტემატიზაციის სამუშაოთა სრულყოფა,“ რომლის საქმიანობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის პროკურატურის მუშაკებმა; კონფერენცია ესწრებოდნენ აგრეთვე რსფსრ და უზბეკეთის სსრ პროკურატურის წარმომადგენლები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის პროკურატურის სამართლის პროპაგანდისა და სისტემატიზაციის განყოფილების უფროსმა იუსტიციის მეორე კლასის სახელმწიფო მრჩეველმა კ. პავლიშვიტმა.

კანონიერების განმტკიცებასა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილებაში უდიდესი როლი ენიჭება მოსახლეობის სამართლებრივ აღზრდასა და სამართლის პროპაგანდას, მისი ქმედითობისა და ეფექტურობის ამაღლებას. ამ მხრივ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, სახელმწიფო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა შესამჩნევად გაააქტიურეს მუშაობა. სამართლებრივი აღზრდა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად იქცა.

პროკურატურის ორგანოების სამართლებრივი პროპაგანდა პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სხვა მასობრივ ღონისძიებებთან ერთად ხელს უწყობენ მშრომელთა აღზრდას ჩვენი კანონისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

კ. პავლიშვიტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ამ მუშაობის დონე ჯერ კიდევ ჩამორჩება თანამედროვე მოთხოვნებს. სამართლის პროპაგანდა ხშირად მიზანს ვერ აღწევს, დაბალია მისი ქმედითობა და ეფექტურობა, გონივრულად და მიზანშეწონილად არ არის გამოყენებული მისი ფორმები და მეთოდები.

საწარმოო კოლექტივებში, მიკრორაიონებში, სოფლებსა და ქალაქებში სამართლის პროპაგანდა ეწყობა კანონიერებისა და მართლწესრიგის მდგომარეობის გაუთვალისწინებლად.

თავის გაგონებაში იგი ვერ აქცევს იმ პირებს, რომლებიც უგულვებელყოფენ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, უგულვებელყოფენ მოქმედი სამართლის ნორმებს.

არასაკმაოდ ხორციელდება ღონისძიებანი ახალგაზრდობის სოციალისტური მართლმშენების ფორმირებისათვის, საბჭოთა კანონების მოთხოვნათა განუხრელი შესრულებისადმი. მათი პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის.

ყველა პროკურორი და გამომძიებელი ჯერ კიდევ არ მონაწილეობს აქტიურად სამართლის პროპაგანდაში.

კ. პავლიშვიტმა აღნიშნა, რომ სისტემატიზაციის განყოფილებების მუშაობა ხელს უწყობს მოქალაქეთა სამართლებრივ აღზრდას, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის დადგენილი თუ როგორი უნდა იყოს ამ საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი შინაარსი, როგორ უნდა აისახოს ნორმატიული აქტების აღრიცხვა და კლასიფიკაცია სამეცნიერო საფუძვლებზე, ამაზე ამომწურავი პასუხი ჯერ კიდევ არა გვაქვს.

მომხსენებელმა შეეხო იმ ამოცანებს, რომლებიც დღეს დგას სამართლებრივი პროპაგანდის საქმეში პროკურატურის ორგანოების წინაშე. მან აღნიშნა, რომ ამ დარგში პროკურატურის ორგანოების საქმიანობის შემდგომი სრულყოფა, სამართლებრივი აღზრდის მეთოდების და ფორმების შემდგომი სრულყოფა, მისი ეფექტურობის ამაღლება, კანონმდებლობის სისტემატიზაციის სრულყოფა, ნამდვილ მეცნიერულ საფუძვლებზე მისი დაფუძნება პროკურატურის ორგანოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია, აღნიშნა მომხსენებელმა, ხელს შეუწყობს პროკურატურის ორგანოების პრაქტიკული მუშაობის გამოცდილების გამდიდრებას.

აზერბაიჯანის სსრ პროკურორის მოადგილე ვ. კ. გიულ მამედოვი შეჩერდა რესპუბლიკაში საბჭოთა კანონიერების პროპაგანდის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა, მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ამაღ-





ლების, კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და სხვა საკითხებზე. პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე მან ცხადყო, რომ კარგად ორგანიზებული პროპაგანდა გავლენას ახდენს სამართალდარღვევათა შემცირებაზე, რომ აზერბაიჯანის ზოგიერთ რაიონში დამნაშავეობის შემცირება აიხსნება სამართლებრივი აღზრდისა და სამართლის პროპაგანდის კარგი ორგანიზაციით. მომხსენებელმა დაასახელა აზერბაიჯანის ზოგიერთი რაიონი, სადაც სამართლებრივი აღზრდის ღონისძიებების განხორციელების შედეგად სამართალდარღვევათა შემცირება 50 პროცენტს შეადგენდა.

სამართლის პროპაგანდის ეფექტურობის ამაღლების პრობლემები — ასეთი იყო სსრ კავშირის პროკურატურის საკავშირო ინსტიტუტის სამართლებრივი აღზრდისა და დამნაშავეობასთან ბრძოლაში საზოგადოების მონაწილეობის პრობლემების სექტორის გამგის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ა. ბაიჯოვის მოხსენება. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ სამართლის პროპაგანდა არის იდეოლოგიური მუშაობის მნიშვნელოვანი უბანი, რომელს ეფექტურობა შეიძლება ამაღლდეს თუ სწორად არის განსაზღვრული პროპაგანდის მიზანი და შინაარსი, თუ პროპაგანდას მტკიცედ იცავს იდეოლოგიური მუშაობის იმ პრინციპებს, რომლებიც გამოქვეყნებული და შემოწმებულია პრაქტიკით.

სომხეთის სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე ზ. მელიქსეტიანი გამოვიდა მოხსენებით თემაზე: კოორდინაცია სამართლის პროპაგანდის ეფექტურობის ამაღლების აუცილებელი პირობაა. სომხეთის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის პრაქტიკა, თქვა მან, იმას გვიჩვენებს რომ მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის კოორდინაცია, ე.ი. ადმინისტრაციული ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი ღონისძიებანი დადებით შედეგებს იძლევიან მოქალაქეთა სამართლებრივი კულტურის ამაღლების ეფექტურობაზე.

იუსტიციისა და სასამართლო ორგანოებში, აღნიშნა მომხსენებელმა, დაგროვდა სათანადო გამოცდილება სამართლის პროპაგანდის ორგანიზაციისა და კოორდინაციის დარგში. ამიტომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ამ სამუშაოთა ხელმძღვანელობის მეთოდურ მხარეს, ე. ი.სამართლის პროპაგანდის პროფესიულ-იურიდიული შინაარსის მაღალი დონის უზრუნველყოფას იმ სახელმწიფო ორგანოთა და ორგანიზაციათა მხრივ, რომლებიც მოწოდებული არიან უზემღმდვანელონ ამ

საქმეს. შემდეგ მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის დამოუკიდებელ უბანს წარმოადგენს სამართლებრივი პროპაგანდის თეორიისა და მეთოდოკის მეცნიერული შემუშავება, რომლის ნაყოფიანებასაც სამწუხაროდ ჩვენ განვიცდილით.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა თადეოსიანმა, ყურნალ „სოციალისტიჩესკია ზაკონოსტ“-ის მთავარმა რედაქტორმა კონდრაშკოვმა. მათი გამოხსენებები მიეძღვნა სამართლის პროპაგანდისა და სამართლებრივი აღზრდის ეფექტურობის პრობლემას. ორატორებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ ზოგიერთ ამხანაგს ხშირად გულუბრყვილო წარმოდგენა აქვს სამართლის პროპაგანდის ეფექტურობაზე. ისინი ფიქრობენ, რომ სამართლის პროპაგანდის ღონისძიებათა რიცხობრივი მაჩვენებლების ზრდა მაშინვე იძლევა უკუგებას, ე. ი. სამართალდარღვევათა რიცხვის შემცირებას. სინამდვილეში სამართალდარღვევათა შემცირება ეს არის ხანგრძლივი პროცესი. მიზანწრაფული და კარგად ორგანიზებული პროპაგანდა დამნაშავეობის შემცირებაზე გავლენას ახდენს უფრო შორეულ მომავალში. ამიტომ ჩვენ არ უნდა გვაშინებდეს სამართალდარღვევათა გამოვლინების რიცხვის ზრდა. იგი დროებითი, წარმავალი მოვლენაა.

საქართველოს სსრ პროკურორის უფროსმა თანაშემწემ ე. ბახუტაშვილმა თავისი გამოხსენებით მიუძღვნა რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების საქმიანობას მოზარდი თაობის სამართლებრივ აღზრდის, კანონისადმი, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი, ახალგაზრდობის ღრმა პატივისცემის სულისკვეთებით აღზრდის საკითხებისადმი.

ქ. ქუთაისის პროკურატურის მუშაობის გამოცდილება სამართლის პროპაგანდისა და სისტემატიზაციის, სამართლებრივი ღონისძიებების ქმედითობისა და ეფექტურობის ამაღლებისადმი — ასეთი იყო ა. ბარაბაძის გამოხსენების თემა.

რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების უფროსის მოადგილემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. ჩიტლოვმა ილაპარაკა სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებაზე ინფორმაციის როგორც სამართლებრივი აღზრდის ქმედითი ფაქტორ შესახებ.

საქართველოს სსრ პროკურორის თანაშემწის, ყურნალისტა კავშირის წევრის კ. ნარმაზაძის

საუბრის თემა იყო მოქალაქეთა საწარმოო კოლექტივებში და საცხოვრებელ ადგილებში სამართლის პროპაგანდის ორგანიზაციის თავისებურებათა საკითხები.

განყოფილების პროკურორმა მწერალმა ი. ჩაღუნელმა მსმენელებს მოუთხორო იმის შესახებ თუ როგორ იყენებენ ჩვენი რესპუბლიკის მწერლები მხატვრულ ლიტერატურას ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდისათვის.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ სომხეთის სსრ პროკურატურის მუშაკები პ. სტ. რობიანი, უ. ხარატიანი, ვ. ფრანგულიანი. აზერბაიჯანის პროკურატურის მუშაკები ს. აღიევი, ზ. ზეინალოვი, შ. ქერიმოვი და სხვ.

ეკვი არ არის, რომ სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია სარგებლობას მოუტანს პროკურატურის ყველა მუშაკს სამართლის პროპაგანდის გაუმჯობესებასა და მისი ეფექტურობის ამაღლებაში.

## მოთხრობა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროზე

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში გამართა ქალაქ თბილისის რაიონების, ქალაქ რუსთავის, აგრეთვე გარდაბნისა და მცხეთის რაიონების სახალხო სასამართლოების მოსამართლო ორგანოების საქმიანობის შედეგები 1975 წლის პირველ ნახევარში.

მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ზ. რატიანი. მან გააანალიზა სახალხო სასამართლოების საქმიანობა წლის პირველ ნახევარში, ყურადღება გაამახვილა ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე, ილაპარაკა მათი აღმოფხვრის გზებზე.

მოხსენებელმა აღნიშნა, რომ საღირებეტივო ორგანოების გადაწყვეტილებები სოციალისტური კანონიერების განმტკიცების შესახებ ძალიან დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს, როგორც სამინისტროს ხელმძღვანელობას, ასევე სასამართლო ორგანოებს და იუსტიციის ყველა დაწესებულებას. საჭიროა ძირფესვიანად გარდაგვიტანოთ მთელი ჩვენი საქმიანობა ამ დადგენილების შესაბამისად. გვაძლიეროთ მუშაობა ყველა უბანზე. სასამართლო ორგანოების საქმიანობის შედეგები გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით თუმცა უფრო უკეთესია, მაგრამ ეს არ გვაძლევს თვითდაშვიდების უფლებას. ზოგიერთ სასამართლოში საქმეებს ჯერ კიდევ ვადის დარღვევით იხილავენ, არასწორია დასჯითი პრაქტიკა, ხან თანადო ყურადღება არ ექცევა დამნაშავეობის პროფილაქტიკას. სისხლის სამართლის საქმეების ვადის დარღვევით განხილვის მაღალი პროცენტია ორჯონიძის სასამართლოში, სა-

მოქალაქო საქმეებისა ლენინის რაიონის სასამართლოში. განაჩენების შეცვლამ იმატა ქ. რუსთავის სასამართლოში, გაუქმებამ — გარდაბნის რაიონის სასამართლოში. ზ. რატიანი დაქსწრეთ ელაპარაკა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაზე — სახალხო მოსამართლეთა არჩევნებზე, მოუწოდა მათ განახორციელონ ყველა ზომა, რათა უკეთეს შედეგებს მიაღწიონ 1975 წელს.

მოხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოში მოხდა ფრიად არასასიამოვნო ფაქტი. აღმასრულებელმა ბოცვაძემ თანამდებობის ბოროტად გამოყენების გზით მიითვისა განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო თანხა. აღმასრულებელ ბოცვაძეს ჩეკით გამოჰქონდა დებოზიტის თანხები და ფულს ითვისებდა, რიცხავდა შემსალაროში თავის ანგარიშზე. სასამართლოს თავჯდომარემ ა. წიქარიძემ მოაღუნა ყურადღება, რამაც საშუალება მისცა ბოცვაძეს ჩაედინა დანაშაული. ეს ფაქტი შავი ლაქაა როგორც ჩვენი სამინისტროსათვის ასევე სასამართლო ორგანოებისათვის და ამსახურებს მკაცრ გაიცხვას.

გასულ წელს კოლეგიამ განიხილა ბოცვაძის საკითხი. მუშაობაში მას აღმოაჩნდა დარღვევები და კალინინის სახალხო სასამართლოს ხელმძღვანელობის წინაშე დაისვა საკითხი, რათა შეესწავლათ მისი საქმიანობა, ემსჯელათ ამ თანამდებობაზე მისი დატოვებისა თუ არ დატოვების შესახებ. სასამართლოს ხელმძღვანელობამ ეს არ შეასრულა. იუსტიციის სამინისტროს თხოვნით საფინანსო ორგანოებმა შეამოწმეს აღმასრულებლის საქმიანობა და და-



ნაშაული გამოაშკარავდა. ამჟამად ამ საქმეზე მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

მოსხენების ირგვლივ აზრი გამოთქევეს:

სტატისტიკის განყოფილების უფროსმა ა. ფალავანდიშვილმა, რომელმაც თათბირის მონაწილეებს გააცნო სტატისტიკური მონაცემები რაიონის მიხედვით სასამართლოების საქმიანობის შედეგებზე, გაამახვილა ყურადღება ნაკლოვანებებზე.

ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ ს. ბოსტოლანაშვილმა აღნიშნა, რომ რაიონის სახალხო სასამართლომ განახორციელა ღონისძიებანი საღირებეტივო ორგანოების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. მონაცემებიც უკეთესია სისხლის სამართლის საქმეებზე 1975 წლის პირველ ნახევარში, არ არის საქმეთა განხილვის ვადების დარღვევა, სწორად ხორციელდება დასჯითი პრაქტიკა და სხვა. მომავალში მეტი ყურადღება დაეთმობა იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, რასაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს სასამართლოს საქმიანობაში.

26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ა. გეგია: მან თათბირის მონაწილეებს გააცნო სასამართლო საქმიანობის შედეგები. გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით წლეულს 20 პორცენტით შემცირდა ვასამართლებულ პირთა რაოდენობა, დამაკმაყოფილებელია დასჯითი პრაქტიკა. რაიონში მეტად მაღალია მოსამართლეთა დატვირთვა, რაც გავლენას ახდენს საქმეთა განხილვის ვადებსა და ხარისხზე. შედარებით ცუდი მონაცემებია სამოქალაქო საქმეთა გადაწყვეტილებათა სტაბილობის მხრივ, რაც სხვადასხვა მიზეზით აიხსნება. ხშირად ზემდგომი სასამართლოები ერთი და იგივე სამოქალაქო საქმეზე რამდენიმეჯერ ურთიერთ საპირისპირო მოტივებით აუქმებენ გადაწყვეტილებებს.

კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ ა. წიქარიძემ თქვა, რომ სამარცხვინო ფაქტი მოხდა კალინინის რაიონის სასამართლოში. აღმასრულებელმა ბოცვაქემ ჩაიდინა დანაშაული, თანამდებობის ბოროტად გამოყენებით მიითვისა სახელმწიფო თანხები. მისი დანაშაულის გამოაშკარავება ძნელი იყო სასამართლოს ხელმძღვანელობისა და იუსტიციის სამინისტროს რევიზორებისათვის. აუცილებელი გახდა საბანკო ოპერაციების საფინანსო დარგის კვალიფიციური მუშაკების ჩართვა მისი დანაშაულებრივი საქმიანობის მხილებისათვის. ბოცვაქემ მითვისებული თანხები უკანვე დააბრუნა, თუმცა ეს მას არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან.

სასამართლოს საქმიანობის მაჩვენებლები ცუდი არ არის. ყველაფერი კეთდება, რათა

1975 წელი უკეთესი შედეგებით დაგამთავროთ.

კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ მ. გაბიაშვილმა აღნიშნა, რომ კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს მუშაობა ჯერ კიდევ ვერ პასუხობს გაზრდილ მოთხოვნებს, რასაც სასამართლოს წინაშე აყენებენ ზემდგომი ორგანოები. ცუდი მდგომარეობაა საქმეთა განხილვის ვადების დაცვისა და განაჩენების შეცვლის მხრივ. რაიონის მოსამართლეები, სხვა რაიონებთან შედარებით უფრო დატვირთულები არიან, რადგან სასამართლო ემსახურება სპატიმრო ადგილებს, საიდანაც ბევრი მასალა შემოდის პატიმრების ვადამდე პირობით განთავისუფლების შესახებ.

პირველი მისის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა მ. გუმბარიძემ ვიცლად გააანალიზა რაიონის სასამართლოს მონაცემები ექვსი თვის მანძილზე, რომელიც შედარებით უკეთესია გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით. რამდენიმე თვის წინ სასამართლოს მუშაობა კომპლექსურად შეამოწმა სამინისტრომ და საკითხი განიხილა კოლეგიამ. კოლეგიის დადგენილება უკვე მიღებულია და იგი მალე იქცევა მსჯელობის საგნად.

საქარხნო რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ გ. კერესელიძემ თქვა, რომ რაიონის სასამართლო დიდი ხანი არ არის შეიქმნა, მონაცემები ცუდი არა გვაქვს. მინიმუმამდეა დაყვანილი ვადის დარღვევით საქმეთა განხილვა. სასამართლომ მიიღო ახალი შენობა და მიეცა მუშაობის ნორმალური პირობები. წინა წელთან შედარებით გაუარესდა დასჯითი პრაქტიკა. ეს იმიტად არის გამოწვეული, რომ შემოდის ისეთი საქმეები, როგორცაა ავტოსაგზაო შემთხვევა მსუბუქი დაზიანებით, რაზედაც დამნაშავეებს ხშირად ეფარდებათ არასპატიმრო ღონისძიებები.

საერთო მონაცემები — თქვა ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ ი. დლოტმა — არ არის ცუდი. შემცირდა სამოქალაქო საქმეთა განხილვის ვადების დარღვევა. მონაცემების სტაბილობაზე გარკვეული გავლენა იქონია იმანაც, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გვაკლდა მოსამართლეები. სამინისტროს ხელმძღვანელობამ უნდა იზრუნოს სამუშაო პირობების გაუმჯობესებისათვის. სამარცხვინოა, რომ ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს ყველაზე უვარიგსი შენობა აქვს.

ზ. ცეტიშვილმა (ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე): რუსთავის სასამართლომ, თქვა მან, წლეულს შედარებით უკეთ იმუშავა. ქალაქის სასამართლოებს დიდი და-

ტვირთვა აქვთ. განაჩენების სტაბილობა კარგი გვაქვს, მხოლოდ იმატა შეცვლის პროცენტმა და ამჟამად ექვი თვის მონაცემები სასურველი არ არის.

**დ. იაშვილი** — გარდაბნის რაიონის სახ. სასამართლოს თავმჯდომარემ: ბოლო ორი წელია, რაც ჩვენ შეგვექმნა მუშაობის ნორმალური პირობები. ყოველივე ამან კი ვაგვლენა იქონია სასამართლოს საქმიანობის მონაცემების გაუქმობის საფრთხეზე. ვადების დარღვევა 5 პროცენტია. სამოქალაქო საქმეებზე გაუქმების პროცენტი შედარებით მაღალია.

**ა. კობახიძე** (მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე): შარშანდელთან შედარებით მონაცემები უკეთესი გვაქვს. ვვიკირს ტექნიკური მუშაკების მხრივ და სამინისტროს ხელმძღვანელობას ვთხოვთ დახმარებას.

**გ. ლილუაშვილი** — სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსმა დამსწრეთა ყურადღება შეაჩერა მოქალაქეთა მიღებისა და საჩივრების განხილვა — გადაწყვეტის საკითხებში დაშვებულ შეცდომებზე. ხშირად მოსამართლეები უგულვებელყოფენ მოქალაქეთა საჩივრებს, არ იხილავენ მათ დაწესებულ ვადებში, აჭიანურებენ ზომების მიღებას, ბევრჯერ სასამართლოების თავმჯდომარეები არ ღებულობენ სასარჩელო განცხადებებს და ამასთან არ გამოაქვთ განჩინება.

**გ. ცქიტიშვილი** — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ თქვა, რომ კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოში მომხდარი ფაქტი ფრიად სავანაშაოა, საქიროა სასამართლოს თავმჯდომარეებმა და სახალხო მოსამართლეებმა გააძლიერონ კონტროლი აღმასრულებლების მუშაობაზე. სამინისტროში შექმნილია საატესტაციო კომისია და მოწოდება აღმასრულებლების მუშაობა. ჩვენი მიმა-

რთვის საფუძველზე ფინანსთა სამინისტრომ დაიწყო აღმასრულებლების საქმეების შემოწმება სადებოზიტო თანხების გაცემა — ჩამოწერის ნაწილში. ვაფრთხილებელი არიან ახალციხის და სიღნაღის სასამართლოს აღმასრულებლები არასწორი მუშაობისათვის. სადებოზიტო თანხის გამოტანა ბანკიდან ხდება ჩეკით, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე. იგი ვალდებულია გაერკვეს რა დანიშნულებით უნდა გაიცეს ეს თანხები. კალინინის სასამართლოს აღმასრულებელ ბოცვაძეს გამოტანილი თანხები შეჰქონდა პირად ანგარიშზე. აუცილებელია მკაცრი კონტროლი დაწესდეს აღმასრულებლებზე და პერიოდულად შეამოწმონ მათი საქმიანობა. სამინისტრო განუხრებლად ზრუნავს სასამართლოების მატერიალური მომარაგების თვალსაზრისით. დაგეგმილია რამდენიმე რაიონის უზრუნველყოფა ახალი შენობებით. აგრეთვე სასამართლოების აღჭურვა ტექნიკით.

თათბირის შედეგები შეაჯამა ზ. რატინმა, რომელმაც აღნიშნა, რომ როგორც ექვსი თვის მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, დასჯითი პრაქტიკა ჯერ კიდევ ვერ პასუხობს გაზრდილ მოთხოვნებს. მოსამართლეები კრიტიკულად უნდა მიუღწეონ ისეთი კატეგორიის საქმეების განხილვას, როგორცაა სახელმწიფო ქონების წვრილმანი გატაცება. სუსტია დასჯითი პრაქტიკა ავტოავარიის საქმეებზე. ამჟამად მიმდინარეობს დიდი მუშაობა არსებული კანონმდებლობის სისტემატიზაციისათვის. აუცილებელია დიდი ყურადღება დაეთმოს მოქმედი კანონმდებლობის და ნორმატიული აქტების სისტემატიზაციას.

აუცილებელია გაფართოვდეს სწავლული იურისტებისა და პრაქტიკოსი მუშაკების კონტაქტი, უფრო მეტი ყურადღება მიექცეს იურიდიული მეცნიერების პრაქტიკაში დანერგვას, პრაქტიკისა და თეორიის მიღწევების შემდგომ სრულყოფას.

### სამხსენირო-პრაქტიკული კონფერენცია

„პრესის როლი სამართლებრივ-მორალური ნორმების დაცვასა და განმტკიცებაში“ — ასეთი იყო თემა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციისა, რომელიც მ. წ. 10 ოქტომბერს მოაწყო საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სამართლისა და მორალის საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტთა სექციამ, საქართველოს ალკცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და კულტმასობრივი მუშაობის განყოფილებამ და

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამნაშავეობასთან ბრძოლის საპეცნიერო-საკონსულტაციო საბჭომ.

კონფერენცია მოკლე შესავალი სიტყვი გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამნაშავეობასთან ბრძოლის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა **ბ. ხარაზიშვილმა**.

მოხსენებით თემაზე — სამართლებრივი პრო-

პაგანდა ბოლო წლების რესპუბლიკურ პრესაში — გამოვიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **ო. გამყრელიძე**. მან მიმოიხილა ბოლო ორი წლის მანძილზე პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული წერილები, რომლებშიც გაშუქებულია მართლწესრიგის განმტკიცებისა და მოქალაქეთა კანონით გარანტირებული უფლებების დაცვის საკითხები.

„ახალგაზრდობის სოციოლოგიური პრობლემები რესპუბლიკურ პრესაში“ ამ თემაზე კონფერენციის მონაწილეებს ესაუბრა პროფესორი **ვ. ქვაჩაზია**.

დოც. **ო. გაბიძაშვილი** თავის გამოსვლაში შეეხო თუ როგორ შუქდება ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდის საკითხები პრესის ფურცლებზე.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი **ლ. ისაკაძე**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასპირანტი **გ. ნაჭყებია**.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მუშაობის შედეგები შეჯამა საქართველოს სსრ ქურნალისტთა კავშირის თავმჯდომარემ **დ. მჭედლიშვილმა**, რომელმაც რწმენა გამოთქვა, რომ ქურნალისტები და იურისტები გაახშირებენ ასეთ საქმიან შეხვედრებს, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი პრესის ფურცლებზე მაღალკვალიფიციური, მაღალიდეური და საინტერესო სტატიების გამოქვეყნებას სამართლის და ახალგაზრდობის სოციოლოგიის პრობლემებზე.

დ. ნ.



# ბიბლიოგრაფია

## ქერნალ „საბჭოთა სამართალში“ 1975 წელს გამოქვეყნებული მასალების ს ა ქ ი ე ბ ე ლ ი

### მოწინავე, სარედაქციო სტატიები, ოციციალური ცნობები

იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების მუშაკთა რესპუბლიკური აქტივის კრება. № 1, გვ. 3-4.

რესპუბლიკური პარტიული აქტივის კრება. № 4, გვ. 3-4.

საბჭოთა ხალხის უკვდავი გმირობა დიდ სამამულო ომში. № 3, გვ. 3-5.

საქართველოს სსრ პროკურატურის მუშაკთა აქტივის კრება. № 1, გვ. 3.

ყოველმხრივ დავიცვათ საბჭოთა კანონები. განვამტკიცოთ სოციალისტური კანონიერება. № 5, გვ. 3-7.

15 ივნისი არჩევნების დღეა. № 2, გვ. 3-6.

### სახელმწიფო და სამართლის თეორია, ისტორია, აკლიტიკური მომღვრეობის ისტორია, სახელმწიფო, ადმინისტრაციული, საერთაშორისო სამართალი

მეტრეველი ვ. — ნიკო ნიკოლაძე სამართლის რაობისა და დანიშნულების შესახებ. № 4, გვ. 64-69.

უვანია გ. — ევროპაში უშიშროების საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები. № 5, გვ. 7-21.

სავანელი ბ. — პროფ. გ. ნანეიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლის საკითხისათვის. № 1, გვ. 25-29.

ფარვიზფური ბ. — საბჭოთა კავშირისა და ირანის თანამშრომლობის სამართლებრივი და ეკონომიური ასპექტები. № 4, გვ. 44-55.

ჩინჭელაშვილი მ. — იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუცია. № 3, გვ. 6-15.

### სამოქალაქო სამართალი, პროცესი, სამეურნეო, სოფლანო სამართალი, არბიტრაჟი

ბენიძე ვ. — ავტორთა უფლებების საიმედო ქომაგი. № 6, გვ. 55-62.

გელუჯაშვილი ლ. — ზიანით წარმოშობილ ვალდებულებებში არასრულწლოვანთა ქონებრივი უფლება-მოვალეობანი. № 6, გვ. 18-26.

ბილ ვალდებულებებში არასრულწლოვანთა ქონებრივი უფლება-მოვალეობანი. № 6, გვ. 18-26.

ლოკვერი ი. — მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის შემოღება დასავლეთ საქართველოში. № 3, გვ. 62-64.

კიკვაძე ო. — ბრალეულობის პრეზუმპცია ზიანის მიყენებისას და სასამართლო პრაქტიკა. № 4, გვ. 28-30.

ლომსაძე ნ. — ახალი კანონი სასარგებლო წიაღისეულის შესახებ. № 5, გვ. 21-27.

მაჭავარიანი მ. — თვითნებურად აშენებული საცხოვრებელი სახლების შესახებ. № 2, გვ. 21-26.

მისკარიანი ე. — მშობლებსა და შვილებს შორის უფლება-მოვალეობათა წარმოშობის საფუძვლები. № 1, გვ. 18-24.

შარაშენიძე ვ. — შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის ზოგიერთი საკითხი. № 2, გვ. 7-14.

შარაშენიძე ვ., წიქორიძე ნ. — მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნის წესების დაცვის პრაქტიკა. № 4, გვ. 15-27.

შენგელია რ. — მულღეთა ქონებრივი პასუხისმგებლობა პირადი და საერთო ვალისათვის. № 4, გვ. 5-14.

წერეთელი ნ. — სამეურნეო ორგანოთა ბრალეული პასუხისმგებლობის საკითხისათვის. № 5, გვ. 27-35.

ხეცურაიანი ჯ. — კომუნისტური მორალის მნიშვნელობა სამოქალაქო სამართლის ნორმების ფორმირებაში. № 6, გვ. 8-18.

ცაგურია თ. — ქალის შრომითი უფლებები სსრ კავშირში. № 2, გვ. 15-20.

ჯორბენაძე ნ. — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამართლებრივი მდგომარეობის განვითარება. № 5, გვ. 43-55.

მეცნიერული კადრების მომზადების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები. № 4, გვ. 56-63.

### სისხლის სამართალი, პროცესი, პრიმიწლოვანთა, პრიმიწაღისტიკა

ბაბილაშვილი ჯ. — პასუხისმგებლობა ავტორთანსპორტის გატაცებისათვის. № 6, გვ. 43-54.



**ზუბოვი ი., ლენაუ მ.** — მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგიერთი საკითხი. № 1, გვ. 5-12.

**ნაჭყეია გ.** — ინდიტერმინიზმისა და დეტერმინიზმის ზოგიერთი საკითხი ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში. № 2, გვ. 27-37.

**ნაჭყეია გ.** — მოქმედების აუცილებლობის ბუნება და პასუხისმგებლობის დასაბუთების პრობლემა საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით. № 6, გვ. 27-42.

**პაჭკორია ს.** — ეთიკური დამოკიდებულება დანაშაულთან როგორც დამნაშავეს თვისუფნაობის ელემენტი. № 3, გვ. 51-61.

**უგრეხელიძე მ.** — დაუდევრობის დროს მორალური ბრალის დასაბუთებისათვის. № 1, გვ. 5-12.

**უგრეხელიძე მ.** — ჯერომ ჰოლის შეხედულება დაუდევრობის დასაბუთებაზე და მისი კრიტიკა. № 3, გვ. 39-50.

**ჭოღოშვილი რ.** — სამსჯავრო გამოძიების ზოგიერთ პროცესუალურ და ფსიქოლოგიურ თავისებურებათა შესახებ. № 4, გვ. 31-39.

### ადმინისტრაციული ორგანოების

#### მუშაობის პრაქტიკა

**კვარაცხელია ც.** — მუდმივად ვამდლოთ კადრების კვალიფიკაცია. № 6, გვ. 71-74.

**მეგრელიშვილი გ.** — საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის როლი დამნაშავეობის პროფილაქტიკაში. № 1, გვ. 30-36.

**პაპიაშვილი გ.** — საპასპორტო რეჟიმის სრულყოფისათვის. № 4, გვ. 40-44.

**ულენტი ა.** — სამართლებრივი პროპაგანდის ქმედითობისათვის. № 1, გვ. 37-39.

**ქუმისაშვილი ა.** — კერძო განჩინებები სამოქალაქო სამართლის საქმეებზე. № 6, გვ. 68-70.

**ხიდუშელი ქ.** — იურიდიული ფაქტების დადგენის საქმეების განხილვისას სასამართლოთა შეცდომების შესახებ. № 6, გვ. 63-67.

**ჯაფარიძე მ.** — ავამდლოთ შინაგან საქმეთა ორგანოებში გამოძიების ხარისხი. № 5, გვ. 35-42.

### პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

**ბოგომილსკა მ.** — რეცენზია ქართველი სწავლული იურისტის წიგნზე პოლონურ ჟურნალში. № 6, გვ. 75-77.

**დევდარიანი გ.** — სასარგებლო წიგნი. № 3, გვ. 85-90.

**დოლიძე ი.** — პასუხი განაწყენებულ რეცენზენტს. № 2, გვ. 58-68.

**ენუქიძე თ.** — „ქართული სამართლის ძეგლების“ გამოცემის გამო. № 1, გვ. 74-85.

**ენუქიძე თ.** — ისევ „ქართული სამართლის ძეგლების“ გამოცემის გამო. № 1, გვ. 85-90.

### თარიღები

**ერისკაცი (ნ. კეცხოველის შესახებ).** № 2, გვ. 51.

**კ. კეთილაძე** — უნაგაროდ ვემსახუროთ ხალხს. № 6, გვ. 3-7.

**მაყაშვილი ვ.** — გ. ანდრონიკაშვილის ბიოგრაფიის რამდენიმე ფურცელი. № 2, გვ. 37-44.

**მეტრეველი ტ., ჭავჭავაძე გ.** — ამაგდარი პედაგოგის და იურისტის ცხოვრების გზა. № 4, გვ. 70-71.

**მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე.** № 1, გვ. 40-53.

**ნუტუშიძე ა.** — მებრძოლი სულის ადამიანი. № 1, გვ. 86-88.

**პაპიაშვილი ვ.** — სამხედრო იუსტიცია და პროკურატურა დიდი სამამულო ომის წლებში. № 3, გვ. 27-38.

**ხარატიშვილი გ.** — ქართველი იურისტი ქალები. № 2, გვ. 45-50.

### მხატვრული ნაწარმოებები,

#### ნარკვევები, სხვადასხვა

**ანასაშვილი ა.** — სიმშვიდის გუშაგი. № 6, გვ. 82.

**ვისოცი ს.** — ცოცხლებს შორის გაუჩინარებულნი. № 5, გვ. 84-87.

**კარპინსკი შ.** — ბედნიერი ქორწინება. № 4, გვ. 95-96.

**კეცხოველი ნ.** — ხევისკაცობა. № 2, გვ. 51-57.

**მხატვრის ღიმილი.** № 2, გვ. 96.

**ნანობაშვილი დ.** — შინმოუხსეველი. № 3, გვ. 83-84.

**ნარევი.** № 2, გვ. 92-95.

**ოცდაათი წელი სხდომის მდივნად.** № 3, გვ. 85-86

### ოფიციალური მასალა

კანონი: სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების წიადის კანონმდებლობის საფუძვლები. № 5, გვ. 55-66.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ. № 1, გვ. 54-73.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა — სახალხო განათლების შესახებ. № 4, გვ. 72-88.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 6 მაისის ბრძანებულება — „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავთან დაკავშირებით ამნისტიის შესახებ. № 4, გვ. 89.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 16 მაისის ბრძანებულება — „ქალთა საერთაშორისო წელთან დაკავშირებით ამნისტიის შესახებ. № 4, გვ. 89-90.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 27 იანვრის ბრძანებულება — უხარისხო მშენებლობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ. № 2, გვ. 69.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 21 თებერვლის ბრძანებულებები:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. დამატებათა და ცვლილებათა შესახებ. № 2, გვ. 69-70.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის 472-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ. № 2, გვ. 70.

საქართველოს სსრ კანონის „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე. № 2, გვ. 71.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 27 მარტის ბრძანებულება — სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ საქართველოს სსრ კანონის შემოღებასთან დაკავშირებით სოციალურ საქანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე. № 2, გვ. 71-73.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 5 მაისის ბრძანებულება — თბილისის საქალაქო სასამართლოს შექმნის შესახებ. № 3, გვ. 2.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 28 აგვისტოს ბრძანებულებები:

ნარკომანიით დაავადებულთა იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ. № 5, გვ. 68-69.

ქრონიკული ალკოჰოლიკების იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ. № 5, გვ. 70-71.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 1 ოქტომბრის

ბრძანებულება — „სახალხო განათლების შესახებ“ კანონის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოციალური საკანონმდებლო აქტის ძალადაქარგულად ცნობის შესახებ. № 5, გვ. 76-77.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 5 ნოემბრის ბრძანებულებები:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 234-ე მუხლში ცვლილებათა შეტანის შესახებ. № 6, გვ. 83.

იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების ძალადაქარგულად ცნობის შესახებ. № 6, გვ. 83.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურებისა ან დაზიანებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ. № 6, გვ. 83.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებათა შეტანის შესახებ. № 6, გვ. 84-85.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცების გამო სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესის შეცვლის შესახებ. № 6, გვ. 85.

„სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესებისა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 23 მაისის ბრძანებულების პირველ მუხლში რედაქციული ცვლილებების შეტანის თაობაზე. № 6, გვ. 86.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს 1975 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება — თბილისის საქალაქო სასამართლოს არჩევის შესახებ. № 5, გვ. 72-75.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. № 6, გვ. 76-79.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიაზე. № 5, გვ. 78-84.

არბიტრაჟის პრაქტიკა. № 1, გვ. 89-91; № 2, გვ. 74-76; № 6, გვ. 80-82.

ინფორმაცია. № 1, გვ. 76-89; № 2, გვ. 76-89; № 3, გვ. 91-96; № 4, გვ. 94; № 5, გვ. 87-98; № 6, გვ. 87-93.

მოკლე ცნობები. № 2, გვ. 90.



# ნაკროლოები

## ნ. ს. ლომსაძე



ქართველ სწავლულ იურისტთა რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი ადამიანი, პროფესორი ნიკოლოზ სერგოს ძე ლომსაძე, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე საბჭოური სამართლის პროპაგანდის საქმეს შეაღწია.

ჩვენგან უდროოდ წავიდა კაცი, რომელიც გვხიბლავდა თავისი ადამიანური სითბოთი, კეთილბუნოვნობით, პრინციპულობით და წმიდა ზრახვებით. მშობლიური მესხეთის გარემოცვაში დასრულდა მისი სიცოცხლის უკანასკნელი ამოსუნთქვა და თან წარიტაცა ჯერ კიდევ ბევრი განუხორციელებელი ოცნება.

ნ. ლომსაძე დაიბადა 1909 წელს ახალქალაქის რაიონის სოფელ ჩუნჩხანში, 1935 წელს წარჩინებით დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, იმავე წელს ჩაირიცხა ასპირანტურაში სამოქალაქო სამართლის კათედრაზე. ამასთან ერთად 1936-37 წლებში მუ-

შაობდა წაღვის რაიონის პროკურორად, შემდეგ — უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, დოცენტად.

დიდ სამამულო ომში მონაწილეობის შემდეგ ნ. ლომსაძე კვლავ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას დაუბრუნდა. მან ქართველ იურისტთა შორის ერთ-ერთმა პირველმა თავისი სამეცნიერო საქმიანობა საკოლმეურნეო და მიწის სამართლის აქტუალური პრობლემების კვლევას მიუძღვნა. მეცნიერმა 1947 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია საკოლმეურნეო საკუთრების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, შემდგომში კი — სადოქტორო დისერტაცია ბუნების სამართლებრივი დაცვის პრობლემებზე. მას 100-ზე მეტი შრომა აქვს გამოქვეყნებული, მათ შორის — 10-მდე მონოგრაფია.

ნ. ლომსაძე სამეცნიერო მუშაობასთან ერთად ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა — ოთხი ათეული წლის მანძილზე შეუცვლელად კითხულობდა ლექციებს (საკოლმეურნეო და მიწის სამართალი; ბუნების დაცვის კანონმდებლობა). ამასთან ერთდროულად მუშაობდა მესხეთ-ჯავახეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მასალათა შესწავლა-გამოკვლევაზე.

ნ. ლომსაძე იყო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოს წევრი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შტატგარეშე ლექტორი, საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკური საბჭოს წევრი.

მარტო ჩვენს გულეებში კი არა, ვინც მის გვერდში ვიდევით და ვსაქმიანობდით, არამედ ყველა მათგანის მეხსიერებაში, ვინაც ოდესმე შესაძლებლობა ჰქონდა მასთან შეხვედრისა, არასოდეს წაიშლება ნიკო ლომსაძის ნათელი სახე, დაფასებული იქნება მისი უანგარო ღვაწლი.

ამხანაგების ჯგუფი

### შეცდომების გასწორება

უფრონაღის 1975 წლის მე-5 ნომრის მე-4 გვერდზე მე-5 აბზაცის მე-2 სტრიქონი ზედმეტია.

მე-5 გვერდზე, ზემოდან 21-ე, 28-ე და 32-ე სტრიქონებში, გაპარულია კორექტურული შეცდომები. სიტყვები „მოსახელობის“ და „მოსახელობაში“ უნდა იკითხებოდეს „მოსახლეობის“ და „მოსახლეობაში“.

42-ე გვერდზე, ქვევიდან მე-3 სტრიქონი აბზაცით არ უნდა იკითხებოდეს.

72-ე გვერდზე, ქ. თბილისის სასამართლოს არჩევნების შესახებ გადაწყვეტილებაში, რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო გამორჩენილი არიან თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრები: ქურდაძე მანანა ვლადიმერის ასული და დათუაშვილი ანდრო ლეონიდეს-ძე.

86-ე გვერდის ტექსტის ბოლოში გამოტოვებულია სტრიქონი („გაგრძელება იქნება“).

92-ე გვერდზე, I სვეტის ბოლოდან 24-ე და 25-ე სტრიქონებზე გადაადგილებულია. უნდა იკითხებოდეს: „დროს არ არის გათვალისწინებული დამნაშავეს მიერ ამ მავნე შედეგის გამოწვევა“.

92-ე გვერდზე, II სვეტის, ზემოდან მე-18 სტრიქონი უნდა იკითხებოდეს: „სსკ 241-ე მუხლით. მსგავსი შეცდომების“.

640/57



ფაბო 50 663.

ИНДЕКС 70185

# საბჭოთა სამართალი № 6

(На грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР  
и Министерства Юстиции Грузинской ССР